


სოციალურ  
მეცნიერებათა  
ჰეფტორები

N 3, 2022



**V**ECTORS OF  
SOCIAL SCIENCES



საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
INTERNATIONAL SCIENTIFIC PEER-REVIEWED JOURNAL

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
სამეცნიერო ჟურნალი

# სოციალურ მეცნიერებათა ვებჟურნალი

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი  
ჟურნალი

N 3 2022

თბილისი 2022

## სარედაქციო კოლეგია

### ანა ფირსხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

### გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

### მოდარძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

### საბა ფლემინგსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

### შთაფან შლენჟერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

### ეპარტო კლაინი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

### მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

### ანდრეა აპოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

### ჯოაჰან ფრანსკაე

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

### მარკუს პერბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

### იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

### ეკატერინა ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

## დარბოზრივი მიმართულებები:

### სამართალი

მიმართულების თავმჯდომარე: სერგო ჭელიძე  
მიმართულების ედიტორები: თეა ჯუღელი  
ბესიკ ლოლაძე  
გიორგი ციცაგი

### ეკონომიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თენგიზ თაქთაქიშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლაშა ზივზივამე  
პაატა შურღია  
დავით ჩახვაშვილი

### ადმინისტრირება/მართვა

მიმართულების თავმჯდომარე: რუსუდან ბერიაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ლარისა პატარია  
ლევანი დუნდუა  
თამარ კაკუტია

### ფსიქოლოგია

მიმართულების თავმჯდომარე: ნოდარ სარჯველაძე  
მიმართულების ედიტორები: მადონა კეკელია  
ინა შანავა  
გიორგი დონაძე  
ლია ქურხული

### ჟურნალისტიკა

მიმართულების თავმჯდომარე: თინათინ ზაქარაშვილი  
მიმართულების ედიტორები: ია მახარაძე  
მარინე გერმანიშვილი

### პოლიტიკის მახინარებაები

მიმართულების თავმჯდომარე: აკაკი აბზიანიძე  
მიმართულების ედიტორები: ეკა დარზაიძე  
მარინე იტრიაშვილი  
ქრისტინე მაჭარაშვილი

## თექნიკური რადაქმორები:

ანა ცეცხლაძე

ნათია გუგუნაშვილი

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უაკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

## სარჩევი

<b>მართინ დალი, კაროლ სტრგალა, კატარინა მართონ-გადო</b>	<b>5</b>
თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის განხორციელებაში	
<b>გიორგი რაზმაძე</b>	<b>15</b>
ინვაირონმენტალისტური კინო და სამართლიანი საზოგადოების პრინციპები	
<b>კაროლ იენე</b>	<b>28</b>
ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგია და დასაქმების შესაძლებლობები	
<b>ქეთევან ვაზირიშვილი-ნოზაძე, ელენე ფანცხავა, თამარ კანაშვილი</b>	<b>39</b>
ევროპის „მწვანე შეთანხმება“ და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე	
<b>გიორგი ხარშილაძე</b>	<b>53</b>
საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები, პერსპექტივა და ზეგავლენის ზოგიერთი გამოვლინებანი ევროპის „მწვანე შეთანხმების“ პირობებში	
<b>ანასტასია მენშიკოვა, ირინა ბურჩენკო</b>	<b>68</b>
ევროპის მწვანე შეთანხმება - ღრმა კოგნიტური ილუზიის ჭრილში დანახული ახალგაზრდობის ეკო-ცნობიერება	
<b>ქეთევან ლათარია, ნათია ხაზარაძე</b>	<b>78</b>
მოსახლეობის მიერ ბიო-პროდუქტების გამოყენების ანალიზი ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მაგალითზე	

## თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის განხორციელებაში

### მარტინ დალი,

ეკონომიკის დოქტორი,  
ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი,  
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მოწვეული პროფესორი,

### კაროლ სტრზალა

ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი, სამართლის მაგისტრი,  
ლაზარსკის უნივერსიტეტი,

### კატარზინა მარტონ-გადო

მეცნიერების მაგისტრი,  
ლაზარსკის უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ევროპის მწვანე შეთანხმება 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალიტეტის მისაღწევად ევროკავშირის ეკონომიკის გარდაქმნის მცდელობას წარმოადგენს. აღნიშნული ქმედება კლიმატის არასასურველი ცვლილებებისა და გარემოს დეგრადაციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას ემსახურება. შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიების როლი ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელებისას საინტერესო შეკითხვას ბადებს. ხსენებულ სამეცნიერო შეკითხვაზე პასუხის გასაცემად წინამდებარე კვლევა რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი: პირველი ნაწილი გაანალიზებული საკითხებისადმი შესავალს ეთმობა, მეორე ნაწილი ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითად კონცეფციებს განიხილავს, ხოლო მესამე ნაწილი ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის განხორციელებისას თანამედროვე ტექნოლოგიების როლს მიმოიხილავს.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპის მწვანე შეთანხმება, ახალი ტექნოლოგიები, ევროკავშირი

### შესავალი

2019 წლის დეკემბერში ევროკავშირის პრეზიდენტმა ურსულა ვონ დერ ლეიენმა ევროპის მწვანე შეთანხმების სახელით ცნობილი ევროპის განვითარების ახალი სტრატეგია წარმოადგინა, რომელიც 2050 წლისთვის ევროპის ეკონომიკის მიერ კლიმატ-ნეიტრალიტეტის მიღწევისადმი მიმართულ პოლიტიკურ ინიციატივას გულისხმობდა. ინიციატივის თანახმად, 2050 წლისთვის ევროპის მასშტაბით ნახშირორჟანგის ატმოსფეროში გაფრქვევა მისი ტყის მასივის მიერ შთანთქმის, ან მიწისქვეშა საცავებში შენახვის რაოდენობას არ შეიძლება



აღმატებოდეს.<sup>1</sup> ამავდროულად, 2030 წლისთვის ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევის 60 პროცენტით შემცირების ამბიციური გეგმების გაფართოებაც აქტიურად განიხილება. სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის ფონზე, ევროპის მწვანე შეთანხმების მიზანს რესურსების ეფექტიანობის გაზრდა, დაბინძურების დონის შემცირება და კონტინენტზე ბიომრავალფეროვნების დაცვა წარმოადგენს. ევროკავშირის მწვანე შეთანხმებას მისი წინამორბედი ევროკავშირისეული განვითარების, ენერგეტიკული, ან კლიმატის ცვლილებისკენ მიმართული სტრატეგიებისგან მისი ყოვლისმომცველი და ჰოლისტური მიდგომა გამოორჩევს<sup>2</sup>. თანმხლები გეგმის თანახმად, განხორციელებისათვის საჭირო ახალი საკანონმდებლო ჩარჩო და რეკომენდაციები წინ უნდა უსწრებდეს ევროპული კანონმდებლობის გადახედვასა და ადაპტაციას.

ევროპის მწვანე შეთანხმების პრაქტიკაში განხორციელება 2050 წლისთვის ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორის დეკარბონიზაციას გულისხმობს. კლიმატ-ნეიტრალიტეტისკენ მიმართული ყოველი ღონისძიება ნახშირის სრულ ელიმინაციას მოიაზრებს. განახლებადი ენერჯის წყაროების წილი მნიშვნელოვნად უნდა იქნას გაზრდილი. კლიმატ-ნეიტრალიტეტი განახლებადი ენერჯის წყაროებსა და ატმოსფეროდან ნახშირორჟანგის გამოდევნის ტექნოლოგიებში ინვესტიციების გაზრდილ რაოდენობას მოითხოვს. ევროპის ეკონომიკის ყველა სექტორი და ევროპელების ცხოვრების სტილიც კი დადგება შორსმდებელი ცვლილებების წინაშე, დაწყებული მათი მოხმარების ჩვევებისა თუ დასვენების ფორმებით, დამთავრებული ბიზნესისა და მრეწველობის სტრუქტურით. კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისადმი მიმართული საჯარო დებატების ძირითადი არგუმენტი ეკონომიის გაწევასა და მოხმარების არსებული მოდელების მოდიფიცირებას ეხება. აღნიშნული არგუმენტის სისწორისა და მართებულობის მუხედავად, ეკონომიკის თეორია შენიშნავს, რომ ადამიანის მოთხოვნილებები უსაზღვროა და მოხმარების პარალელურად იზრდება. უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კაპიტალისტური ეკონომიკის მოდელი მუდმივ ზრდას ეფუძნება. შესაბამისად, ევროპული მწვანე შეთანხმების განხორციელების პრინციპები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებში ინოვაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ფართომასშტაბიან გამოყენებას გულისხმობს. ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის განხორციელებაში თანამედროვე ტექნოლოგიების როლის შესახებ მოცემული თეზისი სამეცნიერო შეკითხვას ბადებს, რომელზე პასუხის გაცემასაც წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით.

## 1. ევროპის მწვანე შეთანხმების საფუძველი, შინაარსი და ამოცანები

ევროპის ეკონომიკისა და მისი პოლიტიკის წინაშე მდგარი ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში კლიმატ-ნეიტრალიტეტის მიღწევისას ეკონომიკურ პროცესებზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური გავლენის მინიმალიზირებას შეეხება. აღნიშნული გამოწვევა ყოვლისმომცველ სტრატეგიასა და

---

<sup>1</sup> Bolesta, K., Korolec, M., Climate policy as an independent element of the European Union's foreign policy: conclusions for Poland, "Sprawy Międzynarodowe", No. 1, 2020, p. 53.

<sup>2</sup> Nowak, Z., Europejski Zielony Ład – na drodze do neutralności klimatycznej UE, „Biuletyn PISM”, No. 66, 2021.

ადეკვატურ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ევროკომისიის მიერ დასახული ამოცანების თანახმად, ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელება ეკონომიკის, მრეწველობის, წარმოებისა და მოხმარების, მოცულობითი ინსტრუქტურის, ტრანსპორტის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, საგადასახადო სისტემისა და სოციალური შემწეობის მასშტაბით სუფთა ენერგომატარებლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს. ყველაზე მეტი ცვლილების წინაშე ბუნებრივი ეკოსისტემის აღდენის, რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სფეროები დადგება. სწორედ ამ სფეროებში მომხდარი ცვლილებები მოუტანს ევროკავშირის ეკონომიკას, საზოგადოებასა და ეკოლოგიას ყველაზე მეტ სარგებელს<sup>3</sup>. გაზრდილი ინოვაციის ფონზე საჭირო ციფრული და ტექნოლოგიური გარდაქმნა ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს.

კლიმატ-ნეიტრალიტეტი ევროკავშირის მთლიან ეკონომიკას უნდა შეეხოს. ევროპის მწვანე შეთანხმება სუფთა და წრიული ტიპის ისეთ ეკონომიკაზე გადასვლასაც გულისხმობს, რომელიც დაბინძურების შემცირებასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე იქნება ორიენტირებული. მნიშვნელოვანი ასპექტი სამართლიანი გადასვლისა და ინდივიდუალური შემხებლობის მქონე სოციალურ საკითხებთან იქნება დაკავშირებული. ევროპის მწვანე შეთანხმება ეკონომიკის მიღმაც გრძელდება, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთათვის ახალი სოციალური და ეკოლოგიურად მდგრადი ხედვის ჩამოყალიბებას გულისხმობს<sup>4</sup>.

ენერგეტიკის ტრანზიციის უპრეცედენტო ტემპით მიმდინარეობს. ფოტოვოლტური მოწყობილობებიდან ელექტროენერჯის გლობალური წარმოება 2010-2018 წლებს შორის 1630 პროცენტით, ხოლო ხმელეთზე განლაგებული ქარის ტურბინებიდან 272 პროცენტით გაიზარდა<sup>5</sup>. ერთის მხრივ, აღნიშნული მიღწევა ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციისა და განახლებადი ენერჯის წყაროების (RES) ბაზრის განვითარებაში მსოფლიოს მასშტაბით ინვესტიციებისა და კომპანიების მიერ ინვესტიციების ჩადებითა და, მეორე მხრივ, ქვეყნების, მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გაზრდილი კლიმატ-ამბიციის მოცულობით გახდა შესაძლებელი. ნახშირორჟანგის მსოფლიოში უდიდესი გამომწერქვევი სახელმწიფოების მიერ უკანასკნელ საერთაშორისო დოკუმენტს, ეგრეთ წოდებულ პარიზის შეთანხმებას, ხელი 2015 წელს მოეწერა. მის ხელმომწერებს შორის ევროკავშირი და პოლონეთიც შედიან.

პარიზის შეთანხმების ხელმომწერმა ქვეყნებმა მსოფლიო ტემპერატურის ინდუსტრიამდელი დონის ორ გრადუსამდე შენარჩუნებასა და 1.5 გრადუსამდე ზრდისთვის ხელის შეშლა დაისახეს მიზნად. ევროკავშირის კლიმატ-ნეიტრალიტეტისა და განახლებადი ენერჯის წყაროების თვალსაზრისით მსოფლიო ლიდერობის ამბიცია გააჩნია, რაც არა მხოლოდ

<sup>3</sup> Communication from the Commission. The European Green Deal, Brussels, 11.12.2019, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1576150542719&uri=COM%3A2019%3A640%3AFIN>. [უ.გ.06.06.2021].

<sup>4</sup> Gawlikowska-Fyk, A., Polska w Zielonym Ładzie – korzyści, możliwości i ocena SWOT, „Opinie i ekspertyzy OE-307”, Chancellery of the Senate, Warsaw 2020, p. 4.

<sup>5</sup> International Energy Agency, <https://www.iea.org/data-and-statistics/data-browser/?country=WORLD&fuel=Energy%20transition%20indicators&indicator=ETISharesInPowerGen> [უ.გ.06.02.2022].



კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის, არამედ ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი იარაღია. ევროკავშირის მიერ ფორმულირებული ე.წ. „სამი ოცის“ ამოცანა, რომელიც 2020 წლისთვის განახლებადი ენერჯის წყაროებიდან მიღებული ენერჯისა და ენერგოეფექტურობის ზრდას, ხოლო ნახშირორჟანგის გამოფრქვევის 20 პროცენტით შემცირებას გულისხმობს, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის პრელუდიას წარმოადგენს<sup>6</sup>. შემდგომ ნაბიჯს 2050 წელს ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის მეშვეობით კლიმატ-ნეიტრალიტეტის მიღწევა შეადგენს. მის მიზანს „ევროკავშირის თანამედროვე, ენერგოეფექტური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის მქონე სამართლიან და წარმატებულ საზოგადოებად გარდაქმნა წარმოადგენს, რომელიც 2050 წელს სათბურის აირების გაფრქვევისა და ენერგოდამოკიდებულებისგან თავისუფალი იქნება“.<sup>7</sup>

ევროპის მწვანე შეთანხმება შემდეგ სტრატეგიულ ელემენტებზე იქნება დამყარებული: ენერგოეფექტურობა, განახლებადი ენერჯის წყაროები, სუფთა მობილობა, კონკურენტუნარიანი მრეწველობა და წრიული ეკონომიკა, ქვეყნებს შორის ინფრასტრუქტურისა და დამაკავშირებელი ხაზების განვითარება, ბიოეკონომიკის ჩამოყალიბება და ნახშირორჟანგის შესაკავებელი და შემნახველი ჩასადენი ჭების მოწყობა. ევროკავშირის მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად აღიარებული ევროპის მწვანე შეთანხმება 1990 წლის დონესთან შედარებით 2030 წლისთვის ნახშირორჟანგის გამოფრქვევის დონის სულ მცირე 55 პროცენტით შემცირებას გეგმავს.<sup>8</sup> აღნიშნული, ნახშირორჟანგის ემისიის კვოტირების სქემის (ETS) გადახედვასთან, გაფართოებასთან და კვოტირების ფასის გაზრდასთანაა დაკავშირებული.<sup>9</sup>

ევროპის მწვანე შეთანხმება ევროკავშირის სამრეწველო პოლიტიკის გადახედვას და 2030 წლისთვის მოწინავე ტექნოლოგიების შემდეგი დარგებისთვის კომერციული გამოყენების შესაძლებლობის მიცემას გულისხმობს:

- სუფთა წყალბადი;
- საწვავის ელემენტები და ალტერნატიული საწვავის ტიპები;
- ენერჯის აკუმულირება;
- ნახშირბადის შეკავება, აკუმულირება და უტილიზაცია.

საკუთარი მიზნების მიღწევისას ევროპის მწვანე შეთანხმება ციფრული ტექნოლოგიების, გაციფრულების, გადამუშავების, შენობების რესტავრაციის, მულტიმოდალური ტრანსპორტისა და ჯანსაღი კვების სფეროებსაც ითვალისწინებს, ისევე როგორც მდგრადი განვითარების კონცეფციასა და ევროკავშირის მომავალი წლების სამიზნე მოქმედებებისა და

---

<sup>6</sup> Marszałuk, P., Markowski, M., Europejski Zielony Ład – geneza, wprowadzenie i planowane rezultaty, <https://crido.pl/blog-business/europejski-zielony-lad-geneza-wprowadzenie-i-planowane-rezultaty/>, 2.02.2021 [უ.გ.06.02.2022].

<sup>7</sup> Communication on The European Green Deal COM (2019) 640 final link: [https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:b828d165-1c22-11ea-8c1f-01aa75ed71a1.0016.02/DOC\\_1&format=PDF](https://eur-lex.europa.eu/resource.html?uri=cellar:b828d165-1c22-11ea-8c1f-01aa75ed71a1.0016.02/DOC_1&format=PDF), [უ.გ.06.02.2022].

<sup>8</sup> The European Council endorsed this objective in its conclusions of 10-11 December 2020.

<sup>9</sup> Marszałuk, P., Markowski, M., Europejski Zielony ...

მიზნების გაწერას. სამომავლო მოქმედებისას ბიზნესებმა შემდეგი ასპექტები უნდა გაითვალისწინონ:

- პლასტმასის ნაწარმის შემცირებითა და გადამუშავებული მასალით გაჯერებული ეკოდიზაინი;
- ნარჩენების, მათ შორის შესაფუთი ნარჩენების პრევენცია;
- მწარმოებლის გაზრდილი პასუხისმგებლობა (EPR);
- დეკარბონიზაციასა და ნახშიროჟანგის ელიმინაციის სერტიფიცირებაზე აქცენტის გაკეთება;
- არაკომერციულ მონაცემთა ანგარიშგება;
- საჯარო მწვანე შესყიდვა (GPP).

ევროკავშირის კლიმატთან დაკავშირებული ამბიციები უამრავ ბიზნესზე იქონიებს პირდაპირ გავლენას. ნახშიროჟანგის გაფრქვევის შემცირების გაძლიერებისა და კლიმატ-ნეიტრალიტეტის მიზნის მიღწევას ნახშირზე დამოკიდებულ ენერგოსექტორზეც ექნება გავლენა, რომელიც ყველა სხვა ბევრ მოვლენასთან ერთად ელექტროენერჯის ფასის ზრდასაც გამოიწვევს, რაც ყოველ ბიზნესსა და მომხმარებელს გაზრდილი ფასებით ემუქრება. აღნიშნული პროცესი ბევრ წევრ სახელმწიფოში უკვე შესამჩნევია. ამავდროულად, ნამარხ საწვავზე დამოკიდებული და გამოფრქვევის უფლებების შესყიდვისა და ვალდებულების მქონე სამრეწველო სექტორის შემოსავლებიც დაიკლებს.

ევროპის მწვანე შეთანხმება არა მხოლოდ საფრთხეებს ეხება, არამედ ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო ძლიერ წამხალისებელ ზომებსაც მოიაზრებს. 1,074.3 მილიარდი ევროს მოქნე ევროკავშირის 2021-2027 წლის გრძელვადიანი ბიუჯეტი ხსენებული მიზნების მხარდაჭერაზეა მორგებული. ევროკავშირის შემდეგი თაობის გაჯანსაღების სახსრების 750 ევროს ოდენობის ბიუჯეტთან ერთად, ევროკავშირი რესურსების სახით მომავალ წლებში 1.8 ტრილიონ ევროსაც მიიღებს. ევროკავშირის, მათ შორის ევროსაბჭოს კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განმსაზღვრელი 2020 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებების თანახმად, მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩოს დანახარჯის სულ მცირე 30 პროცენტი კლიმატურ პროექტებს უნდა დაეთმოს, ხოლო ევროკავშირის შემდეგი თაობის სახსრების 37 პროცენტი ეროვნული გაჯანსაღების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით უნდა იქნას განკარგული, რაც ეკოლოგიური გარდაქმნისთვის მხარდაჭერას მოიაზრებს.<sup>10</sup>

## 2. ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენა

კოვიდ-19-ის პანდემიის გამოცდილებამ მსოფლიო ეკონომიკის მოულოდნელი ცვლილებების მიმართ დაუცველობა, მგრძობიარობა და ახალი რეალობის მიმართ თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და ადაპტაციის უნარი თანაბრად დაგვანახა. ეკონომიკური ტრანზაქციების გაციფრულება, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ტექნოლოგიების

<sup>10</sup> იქვე

განვითარება, ანდა გამოყენებადი ბიოტექნოლოგიების შემუშავება პანდემიასთან ეფექტურ ბრძოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების მცირე ჩამონათვალს წარმოადგენს. ინოვაციური ტექნოლოგიები გაზრდილი სათბურის აირების გამოფრქვევით, თანმხლები კლიმატის ცვლილებით, ნახშირბადის შემცირებითა და ეკოლოგიურად სუფთა საკვებით განპირობებულ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავების ეფექტურ იარაღად შეიძლება ჩაითვალოს.

ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ფინანსები, ტანსაცმლის ინდუსტრია, ელექტროაპარატურა და პლასტმასის ნაწარმი 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალიტეტის მისაღწევად ევროკავშირის ეკონომიკის ცვლილებების გამტარებელი უამრავი სექტორიდან მცირე ჩამონათვალს წარმოადგენს. ინოვაცია და ახალი ტექნოლოგიები აღნიშნულ ცვლილებებში წამყვან როლს ითამაშებენ. ევროკომისიის თანახმად, „ახალი ტექნოლოგიები, მდგრადი გადაწყვეტები და ინოვაცია ევროპის მწვანე შეთანხმების მიღწევისას ძირითადი აქტორები იქნებიან. სუფთა ტექნოლოგიებში კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებისთვის, ევროკავშირის საერთო ბაზარსა და ეკონომიკის სფეროებში ახალი ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანი განვითარების ზრდის დემონსტრირება და ინოვაციური ღირებულების დარიცხვის ჯაჭვის შემუშავება მოეთხოვება“.<sup>11</sup> ეგრეთ წოდებული თანამედროვე მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისა და დახვეწის კონტექსტში ევროპის გლობალური ლიდერის პოზიციიდან აღნიშნულ პროექტში ჩართვის ხაზგასმაც მნიშვნელოვანია.

ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა ნივთების ინტერნეტი, 3/4D ბეჭდვა, გაზრდილი რეალობა/შერეული რეალობა/ვირტუალური რეალობა (AR/MR/VR), კიბერ-ფიზიკური სისტემები (CPS), რობოტეხნიკა, უახლესი ადამიანურ-მანქანური ინტერფეისი (HMI), ხელოვნური ინტელექტი (AI), დიდ მონაცემთა ახალი ტექნოლოგია, მანქანური სწავლება (ML), ღრმა სწავლება (DL), 5/6 G კავშირი, ანუ ბლოკჩეინი უამრავ სფეროში გამოიწვევს გარღვევას.<sup>12</sup> მწვანე ტექნოლოგიებს, რომლებიც მათი ალტერნატიული სახეობებისგან განსხვავებით გარემოს ნაკლებად აზიანებენ, ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევაში დახმარების აღმოჩენაც ძალუძთ. ისინი აერთიანებენ დაბინძურების კონტროლის მექანიზმებსა და პროცესებს, ნაკლები რესურსების მომხმარებელ პროდუქციასა და მომსახურებას, ისევე როგორც რესურსების უფრო მეტი ეფექტურობით გამოყენების გზებს. აღნიშნული ტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენებას ზოგადად, თან სდევს ხარჯის შემცირება, ვინაიდან ენერჯის და ნედლეულის ნაკლები გამოყენება გაუმჯობესებულ კონკურენტუნარიანობას, ნაკლებ გამოფრქვევებს და ნარჩენების შემცირებას უწყობს ხელს. პოტენციურ სარგებელს კონკრეტული ქვეყნების განვითარებაზე უდიდესი გავლენა შესაძლოა ქონდეს. სწორად შერჩეული ტექნოლოგიის მიწოდებამ სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, შესაძლოა ადგილობრივ და გლობალური გარემოზე ნაკლები წნეხის მოტანით გამოიწვიოს.

ეკო-ტექნოლოგიები დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფის შემცირებას, ხოლო ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, შესაძლოა საკმაოდ წაადგეს. ისინი არა

<sup>11</sup> See: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN-PL/TXT/?uri=CELEX:52019DC0640&from=EN>, [უ.გ.06.02.2022].

<sup>12</sup> Fraga-Lamas, P., & Fernández-Caramés, T. M. (2020). Leveraging Blockchain for Sustainability and Open Innovation: A Cyber-Resilient Approach toward EU Green Deal and UN Sustainable Development Goals. In C. Thomas, P. Fraga-Lamas, & T. M. Fernández-Caramés (Eds.), *Computer Security Threats*. IntechOpen. <https://doi.org/10.5772/intechopen.92371>.

მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიებს, არამედ მთლიან ტექნოლოგიურ სისტემებს, წარმოების პროცესებს, პროდუქციას, მომსახურებას, ორგანიზაციულ პროცედურებსა და მართვას წარმოადგენენ. ეკოლოგიური ინოვაციების სრული გამოყენების წერტილამდე პოტენციურად მიმყვან ეკო-ტექნოლოგიებს, გარემოს დაცვის პოლიტიკისა და სახელმწიფო ინოვაციების პოლიტიკის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი ელემენტის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ. ეკოლოგიურ გამოწვევებთან გამკლავების ფონზე, მათ ამოცანას ტექნოლოგიების ეფექტური მართვა და ეკონომიკური ზრდისა და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება წარმოადგენს.

მომხმარებლის დაცვის ფართოდ გაგებული სფერო ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ბევრ სხვა ასპექტთან ერთად, იგი აერთიანებს საკონტრაქტო პირობების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, მოწყვლადი მომხმარებლის დაცვის, დავის გადაწყვეტის მექანიზმთა გამჭვირვალობის, ქსელთან წვდომის თავისუფლებისა და სანდო ინფორმაციის მიღების უფლების სფეროებს. ამავდროულად, საზოგადოებრივი პოლიტიკა მცირე და მოწყვლადი მომხმარებლის უფლებების დაცვის, ელექტროენერჯის გამომუშავების ძირითადი წყაროებისა და ეკოლოგიაზე მათი გავლენის შეფასების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის დაცვის გარანტიებთან დაკავშირებით საბაზრო მექანიზმებსაც მოიაზრებს. მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საწვავის ტიპის შესახებ ინფორმაციისა და ცნობიერების მნიშვნელობა „დირექტივაში“ ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ იქნა აღიარებული.<sup>13</sup> მიღებული კანონმდებლობა შესაბამის დაწესებულებებს, სხვა უამრავ ასპექტთან ერთად, გასული წლის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის ეკოლოგიური გავლენის შესახებ მოხსენების წარდგენას ავალდებულებს, როგორცაა ნახშირორჟანგის, გოგირდის ოქსიდის, აზოტის ოქსიდის, მტვრისა და რადიოაქტიური დაბინძურების დონეები.

განაწილებული ბლოკჩეინის ტექნოლოგია ევროპის მწვანე შენთახმების ამოცანების მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური ტექნოლოგიათაგანია. წინამდებარე კვლევაში განხილული თემის გადასახედიდან, ენერჯის ერთმნიშვნელოვანი ამოცნობის პროცესში ბლოკჩეინის ტექნოლოგიის შესაძლო გამოყენება, რაც ეკოლოგიაზე ზეგავლენის მომხდენი აქტორების წარმომავლობისა და პარამეტრების მარკირებას გულისხმობს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. ემისიის, ეკოლოგიური ინდიკატორებისა და ელექტროენერჯის გამომუშავების რეალურ დროში აღნუსხვა და მათი მრიცხველთან დაკავშირება ცვლილების ყველაზე მეტად საჭიროების მქონე მიმართულება იქნება. აღნიშნულ მექანიზმს გამომუშავების ყველა წყაროს გაკონტროლება მოუწევს, როგორცაა ქვანახშირის, გაზისა და განახლებადი ენერჯის წყაროების სპეციფიური ემისიური მახასიათებლები. ბლოკჩეინის ტექნოლოგიას სურსათით მომარაგების ჯაჭვის ფუნქციონირების გაუმჯობესებაც შეუძლია, როგორცაა აგრო-სურსათის წარმომავლობის, უსაფრთხოებისა და ხარისხის სფეროები.<sup>14</sup>

<sup>13</sup> Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC, Official Journal of the EU 15.07.2003, L 176/37.

<sup>14</sup> Smit H., Blockchain: The trigger for disruption in the food value chain. [online] RaboResearch. Food & Agribusiness 2017. [http://www.tenenga.it/wp-content/uploads/Rabobank\\_Blockchain\\_The\\_Trigger\\_for\\_Disruption\\_in\\_the\\_Food\\_Value\\_Chain\\_Smit\\_Dec2017.pdf](http://www.tenenga.it/wp-content/uploads/Rabobank_Blockchain_The_Trigger_for_Disruption_in_the_Food_Value_Chain_Smit_Dec2017.pdf) [უ.გ.06.02.2022].



აღნიშნული, სრულ თანხვედრაშია ევროპის მწვანე შეთანხმების ე.წ. „ფერმიდან თეფშამდე“ სტრატეგიასთან. ხსენებული სტრატეგიის მიზანს 2050 წლისთვის კლიმატ-ნეოტრალიტიტის მიღწევაში ევროკავშირის დახმარება და არსებული სასურსათო სისტემის მეტად მდგრად მოდელზე გადაყვანა წარმოადგენს. ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა და საპილოტე პროექტებმა სასურსათო ჯაჭვის ფუნქციონირების გამჭვირვალობაში ბლოკჩეინის ძლიერი პოტენციალი დაადასტურა.<sup>15</sup> მას პროდუქციის წარმომავლობისა და ხარისხის სერტიფიკატებთან დაკავშირებით უტყუარი ინფორმაციის მოწოდება, ყველა დასრულებული ტრანზაქციის ჩათვლით, თანაბრად შეუძლია. ხსენებული ბენეფიტები აგრო-სურსათის სფეროში მოღვაწე, ისევე როგორც მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, ბლოკჩეინზე დაფუძნებული ერთობლივი და ინოვაციური პროექტების განხორციელებისკენ უბიძგებენ.<sup>16</sup>

## დასკვნა

ეკოლოგიური დეგრადაციის ხარჯზე გლობალიზაციის პროცესები და ეკონომიკური განვითარება ქვეყნებს, ეკონომიკურ აქტორებსა და უბრალო მოქალაქეებსაც კი ბუნების დაცვის მხირვ აქტიური ნაბიჯების გადადგმას აიძულებს. ეკონომიკური ზრდით გამოწვეული წნეხის შეზღუდვისა და საფრთხის ქვეშ მყოფი ბუნებრივი რესურსების ინტენსიური დაცვისას, სუფთა ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიური ინოვაციების განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ახალ ტექნოლოგიებს, მათ შორის მწვანე ტექნოლოგიებსაც, გაზრდილი კონკურენტუნარიანობისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში დიდი წვლილი მიუძღვით. გლობალიზაციით გამოწვეული თანამედროვე სირთულეების კვალდაკვალ ეკოლოგიური ინოვაციები ორმაგად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. პროდუქციის, ორანიზაციული პროცესისა, თუ მისი ბუნებიდან გამომდინარე თანამედროვე გადაწყვეტებად ყოფნის ფაქტი, მათ ინოვაციური ეკონომიკური აქტორების გავითარებაში სერიოზული წვლილის შემტან მოვლენად აქცევს. ისინი წარმოების ხარჯების შემცირების, ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის გაზრდისა და ახალ ბაზრებზე შესვლის საშუალებას იძლევიან. აღნიშნულს, თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და უმუშევრობის შემცირებაში უდიდესი როლის თამაში შეუძლია. მეორე მხრივ, საფრთხის ქვეშ მყოფ ბუნებრივ გარემოზე დადებითი გავლენის მოხდენით, ისინი უარყოფითი გავლენის შემცირებასა და მწირი რესურსების, მათ შორის ენერჯის გაზრდილი ეფექტურობის მიღწევასაც უზრუნველყოფენ.

ახალ ტექნოლოგიებში რეალური, სათანადოდ შემუშავებული და ეფექტურად განხორციელებული ინვესტიციებიდან წარმოშობილი შესაძლებლობების უზარმაზარი პოტენციალის შესახებ ევროკავშირის ინსტიტუციებისთვის დიდი ხანია ცნობილია. ეგრეთ წოდებული ევროპის მწვანე შეთანხმება მის უახლეს და ყოვლისმომცველ პროგრამას

---

<sup>15</sup> Ge L., Brewster Ch., Spek J., Smeenk A., Top J.: Blockchain for Agriculture and Food. Findings from the Pilot Study. Wageningen Economic Research, The Hague 2017.

<sup>16</sup> Galvin D., IBM and Walmart: Blockchain for food safety. [on line]. IBM Corporation 2017., [https://www-01.ibm.com/events/ww/e/grp/grp308.nsf/vLookupPDFs/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20/\\$file/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20.pdf](https://www-01.ibm.com/events/ww/e/grp/grp308.nsf/vLookupPDFs/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20/$file/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20.pdf) [უ.გ.06.02.2022].

წარმოადგენს. ინოვაცია და ახალი ტექნოლოგიები, აღნიშნული ცვლილებებისა და მათი თანმდევი ამოცანების შესრულებისას, ძირითად ინსტრუმენტებად უნდა მოიაზრებოდნენ. ევროკომისიის თანახმად, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციის როლი ევროპის მწვანე შეთანხმების ამოცანების მიღწევაში უდიდესია. სუფთა ტექნოლოგიებში კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნების მიზნით, ევროკავშირმა, სხვადასხვა სექტორებისა და საერთო ბაზრის მასშტაბით ახალი ტექნოლოგიების ჩართულობის დონე მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს, რაც ინოვაციური ღირებულების დარიცხვის ახალ ჯაჭვს ჩამოაყალიბებს.

ევროკომისიამ ეგრეთ წოდებულ მწვანე ეკონომიკაზე დაფუძნებული ევროკავშირის ეკონომიკისა და წვერი სახელმწიფოების მწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, მომავალი თვეების განმავლობაში განსახორციელებელ მოქმედებათა გრძელი სია წარმოადგინა. აღნიშნული, სხვა უამრავი ასპექტის გარდა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა სისტემასთან წვდომის გაადვილებასთან ერთად, მათ ეფექტურ განხორციელებასაც გულისხმობს.



### ბიბლიოგრაფია

1. Gawlikowska-Fyk, Aleksandra, Polska w Zielonym Ładzie – korzyści, możliwości i ocena SWOT, „Opinie i ekspertyzy OE-307”, Chancellery of the Senate, Warsaw 2020;
2. Fraga-Lamas, Paula, & Fernández-Caramés, Tiago M., (2020). Leveraging Blockchain for Sustainability and Open Innovation: A Cyber-Resilient Approach toward EU Green Deal and UN Sustainable Development Goals. In Thomas, Ciza, Fraga-Lamas, Paula, & Fernández-Caramés Tiago M., (Eds.), Computer Security Threats. IntechOpen. <https://doi.org/10.5772/intechopen.92371>;
3. Galvin, David, IBM and Walmart: Blockchain for food safety. [on line]. IBM Corporation 2017. [https://www-01.ibm.com/events/wwc/grp/grp308.nsf/vLookupPDFs/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20/\\$file/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20.pdf](https://www-01.ibm.com/events/wwc/grp/grp308.nsf/vLookupPDFs/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20/$file/6%20Using%20Blockchain%20for%20Food%20Safe%20.pdf) [Les seen 06.02.2022];
4. Ge Lan, Brewster Christopher, Spek Jacco, Smeenk Anton, Top Jan: Blockchain for Agriculture and Food. Findings from the Pilot Study. Wageningen Economic Research, The Hague 2017;
5. Bolesta, Krzysztof, Korolec, Marcin, Climate policy as an independent element of the European Union’s foreign policy: conclusions for Poland, “Sprawy Międzynarodowe”, No. 1, 2020;
6. Marszałuk, Paweł, Markowski, Mateusz, Europejski Zielony Ład – geneza, wprowadzenie i planowane rezultaty, <https://crido.pl/blog-business/europejski-zielony-lad-geneza-wprowadzenie-i-planowane-rezultaty/>, 2.02.2021 [Les seen 06.02.2022];
7. Smit, Harry, Blockchain: The trigger for disruption in the food value chain. [on line]. RaboResearch. Food & Agribusiness 2017. [http://www.tenenga.it/wp-content/uploads/Rabobank\\_Blockchain\\_The\\_Trigger\\_for\\_Disruption\\_in\\_the\\_Food\\_Value\\_Chain\\_Smit\\_Dec2017.pdf](http://www.tenenga.it/wp-content/uploads/Rabobank_Blockchain_The_Trigger_for_Disruption_in_the_Food_Value_Chain_Smit_Dec2017.pdf) [Les seen 06.02.2022];
8. Nowak, Zuzanna, Europejski Zielony Ład – na drodze do neutralności klimatycznej UE, „Biuletyn PISM”, No. 66, 2021;
9. Communication from the Commission. The European Green Deal, Brussels, 11.12.2019, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1576150542719&uri=COM%3A2019%3A640%3AFIN>. [Les seen 06.02.2022];
10. International Energy Agency, <https://www.iea.org/data-and-statistics/data-browser/?country=WORLD&fuel=Energy%20transition%20indicators&indicator=ETISharesInPowerGen> [Les seen 06.02.2022];
11. Directive 2003/54/EC of the European Parliament and of the Council of 26 June 2003 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC, Official Journal of the EU 15.07.2003, L 176/37.

## ინვაირონმენტალისტური კინო და საგართლიანი საზოგადოების პრინციპები

**გიორგი რაზმაძე,**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კვლევითი ცენტრი

### აბსტრაქტი

გაეროს პარიზის კლიმატის ცვლილებების სამიტი 2015 წელს ჩატარდა, რომელზეც ჩარჩო კონვენციას მსოფლიოს უამრავმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, მათ შორის საქართველომ. აღნიშნული დოკუმენტი საფუძვლად დაედო ევროკავშირის მწვანე შეთანხმებას, რომელიც 2019 წელს დამტკიცდა და რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი საქართველოსთვის მწვანე ეკონომიკისა და კულტურის წახალისების ვალდებულების აორმაგებს, რაც არათუ არ ხდება, ნამოხვანჭესის მაგალითზეც შიშვლდება ქვეყნის არასწორი ეკონომიკური მოდელით მოწყობის მოცემულობა.

კინო ის მედიუმი, რომელსაც სამყაროს რეორგანიზების ყველაზე გამორჩეული უნარი და მამასადამე, დიდი პოტენციალიც აქვს. კინო, როგორ დისკურსების ეკრანი საუკეთესოდ ასახავს კულტურას, რომელიც სამომხმარებლო ღირებულებების თვალსაწიერიდან ერთნაირად უდგება რიგით ადამიანსა და ბუნებას, გარემოს, ეკოლოგიას. მარქსის ფეტიშიზაციის თეორია, რომელიც იდეოლოგიის ადგილმონაცვლე ტერმინის გაჩენიდან ამოიზარდა, კარგად გვიხსნის კულტურის დამოკიდებულებას ბუნებრივი (თუ ადამიანური) რესურსების მიმართ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კულტურა, რომელიც დისკურსების კონგლომერატს წარმოადგენს, დისკურსების მსგავსად, წარმოებულია იდეოლოგიის მიერ (ზედნაშენი). იდეოლოგია ფლობს ინტელექტუალურ ბერკეტებს, რომლის მეშვეობითაც გაბატონებული ძალების, კლასების დაფუძნება ხდება ამ კლასის ღირებულებების „ნორმად“ წარმოჩენით. მამასადამე, კულტურა მომართულია გადაარჩინოს ძალაუფლების ვერტიკალები პრობლემების მიჩქმალვით, ან არასრული სიმართლის თქმის გზით. თუმცა სწორედ კულტურა გულისხმობს ბუნების კანონებსა და ამ კანონებზე დაფუძნებულ დისკურსებთან დაპირისპირებას. თუმცა პირველ რიგში კაპიტალისტური იდეოლოგია ცდილობს სააზროვნო სისტემების საკუთარ თავზე მორგებას, მათ შორის, კულტურის.

ქართული კინოს ყოველთვის ჰქონდა იდეოლოგიური ხაზი, თუმცა 1960-იანი წლებში ინტელექტუალურ და შემოქმედებით წრეებში კომუნიზმის დევალვაციის პროცესმა

ინდივიდუალიზმის პრობლემაზე გადაიტანა მთელი აქცენტი. მაგალითად, მერაბ კოკოჩაშვილის რამდენიმე ფილმში მთავარი ხაზი ინდივიდსა და გარემოს ურთიერთობაზე იგება, სადაც აპარატი (სახელწიფო) მხოლოდ ცალსახა ბოროტების წყაროდ არის წარმოდგენილი. სწორედ რეგულაციები ქმნიან გარემოსდაცვით კონტექსტს, რაც ერთადერთ გამოსავლად იქცევა მოგების მიღებაზე ორიენტირებული დესტრუქციული სისტემების შესაჩერებლად. ვერც კონკურენცია და ვერც ინდივიდუალური თუ კორპორაციული პასუხისმგებლობა ვერ მოაგვარებს ეკოლოგიურ კატასტროფებს და ადამიანთა ექსტლუატაციის პრობლემებს.

თანამედროვე ქართულ კინოში გარემოზე ზემოქმედებაში უფრო ფართო ჰოლისტური სურათის ამოკითვის სულ უფრო მეტი მცდელობა ჩნდება. სალომე ჯაში იკვლევს ყველაზე მდიდარი ქართველის ახირებას – ასწლოვანი ხეებით დენდროლოგიური პარკის მოწყობის ვნებას, რომელიც ეკოლოგიური კატასტროფის ფონზე კლასობრივ კატასტროფადაც წარმოგვიდგება. ალექსანდრე კობერიძის „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ“ კი სვამს მთავარ კითხვას, თუ “რას ვუპასუხებთ ჩვენს შვილებს“, როდესაც ისინი აღმოაჩენენ რომ უსამართლო სამყაროში ცხოვრობენ, რომელიც ძალაუფლების მქონე ადამიანთა მცირე რაოდენობის სიხარბეს ეწირება.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური ხელოვნება, კაპიტალიზმის ლოგიკა, გარემოსდაცვა, თანამედროვე ქართული კინო.

## შესავალი

ინვირონმენტალისტური მოძრაობა ხელოვნებაში კონცეპტუალურ ხელოვნებასთან ერთად იბადება. მინიმალიზმი, რომლიდანაც ლენდ-არტი წარმოიშვა, ახალი პერსპექტივიდან შეხედავს გარემოსა და ეკოლოგიას. კონცეპტუალური ხელოვნება ჯოზეფ კოსუთის (Joseph Kosuth) მეთაურობით ხელოვნებას პოლიტიკურ შრეს დაუბრუნებს, ჰანს ჰააკე (Hans Haacke) კი ხელოვნებას მოუწოდებს „პოლიტიკურად ანგაჟირებული“ ხელოვნების კეთებისკენ.<sup>1</sup>

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სახელოვნებო პროტესტი უფრო კონკრეტულ და მიწიერ ფორმებს იღებს, ვიდრე ეს მეორე მსოფლიო ომამდე ხდებოდა. თუკი მანამდე ლუის ბუნუელი და მაქს ერნსტი კულტურას როგორც ასეთს აკრიტიკებდნენ, ომისშემდგომი ახალი ტალღები კონკრეტულ პოლიტიკურ დისკუსიაში ერთვებიან. მათი მიზანია იმ სამყაროს კვლევა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი შესაძლებელი გახადა, ომთან ერთად კი მოიაზრებოდა – სეგრეგაცია, კოლონიალიზმი, ექსპლუატაცია, ეკოლოგიური კატასტროფები, მილიტარიზმი და ექსპანსიები როგორც სამხედრო, აგრეთვე კულტურული, გლობალიზმი და ჩაგვრის სხვა ფორმები. წინმდებარე ნაშრომის მიზანია გაიზროს კაპიტალიზმი კაპიტალიზმთან დაპირისპირებული მოძრაობების მაგალითზე როგორც ხელოვნებაში, აგრეთვე მწვანე

---

<sup>1</sup> "Art Is A Weapon: Hans Haacke on How Art Survived the Bush Administration", *Artspace*, 2017 წლის 3 თებერვალი, [https://www.artspace.com/magazine/art\\_101/book\\_report/art-is-a-weapon-hans-haacke-interview-political-art-54590](https://www.artspace.com/magazine/art_101/book_report/art-is-a-weapon-hans-haacke-interview-political-art-54590) [უ. გ. 25.02.2022].

პოლიტიკაში, რომლის მიზანაც პლანეტის სასარგებლოდ წარმოების კონტროლსა და რეგულაციებს გულისხმობს.

### 1. ომის შემდგომ ხელოვნებაში კაპიტალიზმის გააზრების საწყისები

თანამედროვე მწვანე პოლიტიკა დაფუძნებულია ანტიკაპიტალისტურ მოძრაობებზე, რომლებიც 1960-იან წლებში მრავლად ჩნდება დასავლეთში. ინვარიანტმენტალიზმი გულისხმობს ფეტიშისტურ ლოგიკაზე დაფუძნებული კულტურულ-ეკონომიკური მოდელების კვლევას, რომელთა მიხედვითაც ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია ზუსტად ისევე მიმდინარეობს, როგორც მანამდე (და ახლაც) ადამიანურ რესურსებს ეპყრობოდნენ წარჩინებული კლასები. კაპიტალიზმის მხილება და ნიღბის ჩამოხსნა 1960-იან წლებში ყველა ფრონტზე მიმდინარეობდა, დაწყებული კონცეპტუალი ხელოვნებიდან – შეგვიძლია გავიხსენოთ ჰანს ჰააკეს 1972 წელს კრეფელდში მოწყობილი ინსტალაცია „რაინის წყლის გაწმენდი ქარხანა“ (Rhine Water Purification Plant), რომელიც ადგილობრივი ქარხნის მიერ დაბინძურებული რაინის წყალს მუზეუმის ფილტრავდა და აუზში გაშვებულ ოქროს თევზებს სიცოცხლეს უნარჩუნებდა – დამთავრებული „გრინპისის“ საქმიანობით, რომელიც ჰააკეს გამოფენამდე ზუსტად ერთი წლით ადრე შეიქმნა.

დღესაც, როდესაც ამერიკაში, ევროკავშირსა და, მათ შორის, მაგალითად, ჩინეთში გაძლიერებულია ეკოლოგიური მოძრაობა,<sup>2</sup> დასავლეთის ინიციატივით კი თითქმის ყველა ქვეყანა მწვანე შეთანხმებას აწერენ ხელს,<sup>3</sup> განპირობებულია 1972 წელს ერთ-ერთი ძველი გარემოსდაცვითი საზოგადოების „რომის ჯგუფის“ მიერ წამოწყებული კამპანიით, რომელიც ბუნებრივი წიაღისეულისა და სხვა რესურსების ლიმიტების გაცნობიერებას ისახავდა მიზნად.<sup>4</sup>

2015 წელს დადებული ხელშეკრულება<sup>5</sup> ითვალისწინებდა მეცნიერთა გუნდის შექმნას, რომელსაც სპეციალური ანგარიში უნდა წარმოედგინა. სწორედ მეცნიერთა დასკვნების საფუძველზე კი აშშ-მა და ევროკავშირმა დაიწყო მწვანე შეთანხმებაზე მუშაობა, 2019 წელს ევროკავშირმა აღნიშნული დოკუმენტი დაამტკიცა, რომელიც 4 მიმართულებას მოიცავს: 1. ენერგეტიკას, 2. შენონებს, 3. მობილობასა და 4. კვებას.<sup>6</sup> აღნიშნულ შეთანხმებას დაემატა 2020 წელს დამტკიცებული ევროპის კლიმატის პაკტი, რომელიც სამ მიმართულებას აერთიანებს

<sup>2</sup> Lewis, J., Edwards, L., "Assessing China's Energy and Climate Goals", *CAP*, 2021 წლის 6 მაისი, <https://www.americanprogress.org/article/assessing-chinas-energy-climate-goals/> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>3</sup> ევროპის მწვანე შეთანხმება 2015 წელს პარიზში გაფორმდა, რომელსაც 196 ქვეყანა აწერს ხელს. დოკუმენტი მიზნად ისახავს პირველ ნახშირბადნიეტრალურ კონტინენტს 2050 წლისთვის (იგულისხმება ევროპა) და გლობალური დათბობის შეჩერებას.

<sup>4</sup> Meadows, D. H., Meadows, D. L., Randers, J., Behrens, W. W., III, "The Limits to Growth", Universe Books, 1972.

<sup>5</sup> გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცი (პარიზის შეთანხმება), ქართულ ენაზე:

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3702467/0/ge/pdf>, ინგლისურ ენაზე:

[https://unfccc.int/sites/default/files/english\\_paris\\_agreement.pdf](https://unfccc.int/sites/default/files/english_paris_agreement.pdf). [უ. გ. 25.02.2022].

<sup>6</sup> მიქაძე, ე., „ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის“, *ჰაინრიკ ბიოლის ფონდი*, 2021 წლის 18 თებერვალი, [https://ge.boell.org/ka/2021/02/18/evropis-mcvane-shetankhmeba-da-misi-mnishvneloba-sakartvelostvis#\\_ftnref9](https://ge.boell.org/ka/2021/02/18/evropis-mcvane-shetankhmeba-da-misi-mnishvneloba-sakartvelostvis#_ftnref9) [უ. გ. 25.02.2022].

და ამ სამივე მიმართულებაში ანდივიდის პასუხისმგებლობაზე კეთდება აქცენტს.<sup>7</sup> ეს მიდგომა ძალიან გავს 1970-იან წლებშივე წამოწყებულ დიდი კორპორაციების ვერაგულ კამპანიებს – მაგალითად, „კოკა-კოლამ“ მარკეტინგული სტრატეგია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც გარემოს დაბინძურებაში *ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას*<sup>8</sup> ესმებოდა ხაზი და მთელი პასუხისმგებლობას მომხმარებლებს ეკისრებოდათ.<sup>9</sup> აღნიშნულ კამპანიაში კორპორაცია მყიდველს მოუწოდებდა ნარჩენების სწორი მართვისკენ და არაფერს ამბობდა საკუთარ წარმოებაზე, რომელიც მოგების გაზრდის მიზნით, მინის ბოთლებიდან პლასტმასის შეფუთვაზე გადავიდა, რაც დღემდე პლანეტის ერთ-ერთ მთავარ დამაბინძურებელ კომპონენტად მიიჩნევა. ოკეანეების დაბინძურებაში „კოკა-კოლას“ Big Soda-ს რიგით მეორე კორპორაცია „პეპსი“ მოსდევს.<sup>10</sup>

მსხვილ კაპიტალისტურ ძალებთან ბრძოლა თანამედროვე ხელოვნების განუყოფელი ნაწილი გახდა. ხელოვნებმა საკუთარ თავზე იტვირთეს ის როლი, რასაც თავს ვერ ან არ ართმევდა როგორც მედია და არასამთავრობო სექტორი,<sup>11</sup> აგრეთვე სახელმწიფო სამსახურები და ზოგადად პოლიტიკოსები, რომლებიც სწორედ დიდ კორპორაციებთან გარიგებაში იმყოფებიან და ხშირად სხვა ქვეყნებში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ხანდახან სამხედრო ინტერვენციებსაც კი აწყობენ.<sup>12</sup>

„კოკა-კოლა“ იქცა ა.შ.შ.-ის სიმბოლოდ, რადგან ის მანამდე გეორგ ლუკაჩის ტერმინს თუ ვიხმართ, რეიფიკაციას დაექვემდებარა, ანუ ამერიკული პოლიტიკის კონტექსტში მასობრივი

<sup>7</sup> ევროკომისია, "The European Green Deal", ბრიუსელი, წლის 11 იანვარი, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1576150542719&uri=COM%3A2019%3A640%3AFIN>, [უ. გ. 25.02.2022].

<sup>8</sup> პერსონალური პასუხისმგებლობა წამოადგენს კონსერვატივისა და ლიბერტარიანიზმში იდეას, რომ ადამიანები პასუხისმგებლები არიან მათ მიერ ჩადენილ ან გამოწვეულ ქმედებაზე. კორპორაციები ამ იდეას ადამიანებთან და პლანეტასთან მიმართებით პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად მიმართავენ. მათი აზრით, შაქრის ანდა ნიკოტინის მოხმარება ადამიანის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. აგრეთვე, ეკოლოგიის შემთხვევაში, პლანეტას არა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, არამედ ამ პროდუქციის მომხმარებლები აბინძურებენ.

<sup>9</sup> Nestle, M., "Soda Politics: Taking on Big Soda (and Winning)", Oxford University Press, 2015, p. 280.

<sup>10</sup> Big Soda წამოადგენს ტერმინს, რომელიც Big Oil და Big Tobacco-ს მსგავსად გულისხმობს გაზიანი სასმელების მწარმოებელი კორპორაციების კონგლომერატს. ამ შემთხვევაში, Big Soda-ს ორი კორპორაცია ითვლება პლანეტის ოკეანეების მთავარ დამაბინძურებელ კომპანიებად. მოძრაობა Break Free From Plastic ყოველწიურად ატარებს ფართომასშტაბიან კვლევებს ოკეანეების დაბინძურების კუთხით, რომელშიც „კოკა-კოლა“ და „პეპსი“ მეოთხე წელია ლიდერობენ. იხ. "Holding Corporations Accountable for the Plastic & Climate Crisis, 2021", *BRANDED*, Vol. IV., 2021, <https://www.breakfreefromplastic.org/wp-content/uploads/2021/10/BRAND-AUDIT-REPORT-2021.pdf>, [უ. გ. 25.02.2022].

<sup>11</sup> ნოამ ჩომსკი იკვლევს ამერიკული მედიისა და არასამთავრობო სექტორის ერთიანობას ხელისუფლებასთან. იხ. ჩომსკი, ნ., ჰერმანი, ს. ე., „თანხმობის წარმოება: მასმედიის პოლიტიკური ეკონომიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2020.

<sup>12</sup> Nestle M., იხ. სქოლიო 9, გვ. 207. „PepsiCo ხელმძღვანელი პრეზიდენტი ნიქსონს 1970-იან წლების დასაწყისში დახმარებას სთხოვს კორპორაციის ინტერესების დაცვის კუთხით ჩილეში, რომელიშიც გაიმარჯვა შეერთებული შტატების კორპორაციების მიმართ არაკეთილგანწყობილმა ძალამ. ა.შ.შ.-ის ინტერვენციამ ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს დამხობა და მკვლელობა გამოიწვია. „პეპსის“ მსგავსი ჩარევა მიეწერება გვატემალას შიდა საქმეებშიც. დიდი ხანია რაც „კოკა-კოლასაც“ ადანაშაულებენ გვატემალაში 1978 წელს პროფკავშირების ლიდერის მკვლელობაში, რომელიც მათსავე კომპანიაში მუშაობდა. „კოკა-კოლის“ შრომითი უფლებების პრობლემა ამ ქვეყანაში 1990-იან წლებამდე გაგრძელდა, რასაც კომპანიის ძალადობრივ პოლიტიკაზე პროტესტის ნიშნად პროფკავშირთა ორგანიზაციების მხრიდან ბოიკოტი მოჰყვა“..



წარმოების ეს პროდუქტი განივთდა როგორც კაპიტალიზმის სიმბოლო. ცივი ომის დროს „კოკა-კოლა“, „მალბორო“ და „ლივანის“ თავისუფლების ერზრაცებს წარმოადგენდა რკინის ფარდის მიღმა მცხოვრები ადამიანებისთვის, რომელთათვისაც ფარდის მიღმა არსებულ პოპკულტურაში სამომხმარებლო ურთიერთობების აპოლოგეტიკა დასავლეთის მიმართ ფეტიშისტურ გრძობებს აღძრავდა.

გაზიანი სასმელების ონტოლოგია, როგორც ზოგადად ქიმიური საკვების ინდუსტრია, მომხმარებლად ყოფნის დაშვებაზეა დაფუძნებული, რომლის ლოგიკაშიც მომხმარებელიც ექვემდებარება რეიფიკაციას. ამ ჩაკეტილ წრეში კაპიტალი – ფული – ავტონომიური ფეტიშიზაციის ობიექტი ხდება. შემდგომ ეტაპზე კაპიტალიზმი ცხადდება როგორც წმიდათა წმიდა რიგითი მომხმარებლებისთვის, რომელთა ცხოვრების ყოველი ასპექტი მოხმარებაზე მყარდება – გართობაც კი მხოლოდ ვაჭრობასთან ასოცირდება (სავაჭრო მოღვაწეების თავისუფალი დროის გატარებისთვის). პოლიტიკოსები კი ფულის ფეტიშიზაციას პოლიტიკური თეოლოგიის სპექტრში განიხილავენ და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას ამჯობინებენ კაპიტალის დაგროვების არც თუ ისე ცხადი იდეის დოგმატად გამოცხადებას.<sup>13</sup> კაპიტალიზმის კანონიკური მიდგომებიდან გადახვევა, მაგალითად, ეკონომიკის განვითარების შენელება, მდიდრებისთვის გადასახადების გაზრდა, სოციალური სახელმწიფოს გაფართოებაზე ზრუნვა და სხვა, ერესად ცხადდება.<sup>14</sup>

დონალდ ტრამპს ა.შ.შ. 2017 წელს პარიზის შეთანხმებიდან გამოყავს, მოტივით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დაეხმარება ამერიკულ კომპანიებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაში.<sup>15</sup> ტრამპი დრომოჭმულ მოსაზრებას ემყარება, რომ ადამიანი ბუნებისა და კულტურის ბინარულობაში ცხოვრობს, როგორც ამას კლოდ ლევი-სტროსი განმარტავდა, თუმცა პრიმიტიული საზოგადოებების მაგალითზე,<sup>16</sup> და რომ ბუნების მოთვინიერება, გარკვეულწილად, არამხოლოდ ნორმაა, არამედ კულტურის ვალიცაა.

<sup>13</sup> ნივთთან ფანტასმაგორიული ურთიერთობის ასახსნელად, რასაც ფეტიშიზაციას უწოდებს, მარქსი „რელიგიურ ბუნდოვან სფეროს“ მიმართავს. იხ. მარქსი, კ., „კაპიტალი“, ტომი პირველი, წიგნი I, სახელგამი, 1954, გვ. 96. ამ მოსაზრებას განავრცობს მაქს ვებერი ვებერი ცნება disenchantment-ში მოიაზრებს, რაც ქართულად „განჯადოებად“ ითარგმნება (de-magic-ation). იხ. M. Weber, "The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism", London and New York: Routledge, 2005. კაპიტალიზმს როგორც რელიგიას განიხილვას ვალტერ ბენიამინიც ესეში „კაპიტალიზმი როგორც რელიგია. ის ამბობს – „კაპიტალიზმი წინდა სახის რელიგიური კულტურა, დოგმების გარეშე“. იხ. Benjamin, W. "Capitalism as Religion", 1921, <https://cominsitu.wordpress.com/2018/06/08/capitalism-as-religion-benjamin-1921/> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>14</sup> 2019 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 74-ე სესიის გახსნაზე წარმოთქმულ სისტვაში დონალდ ტრამპმა პლანეტის მთავარ მტრად სოციალიზმი დაასახელა: „ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა, რომელიც ჩვენი ქვეყნების წინაშე დგას არის სოციალიზმის აჩრდილი. ის არის ერების დამღუპველი და საზოგადოებების დამანგრეველი“. იხ. Remarks by President Trump to the 74th Session of the United Nations General Assembly, United Nations Headquarters, New York, 2019 წლის 24 სექტემბერი, <https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/remarks-president-trump-74th-session-united-nations-general-assembly/> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>15</sup> Easley, J., "Trump cements 'America First' doctrine with Paris withdrawal", The Hill, 2017 წლის 2 ივნისი, <https://thehill.com/homenews/administration/336014-trump-cements-america-first-doctrine-with-paris-withdrawal>, [უ. გ. 25.02.2022].

<sup>16</sup> Lévi-Strauss, C., "The Elementary Structures of Kinship", Beacon Press, 1971, გვ. 3.



სწორედ ბუნების დავქემდებარებაზეა სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება“ (2021), რომელიც შეკვეთილის დენდროლოგიური პარკის შექმნის ისტორიას გვიყვება, თუმცა რეალურად გვანახებს ძალაუფლების რენტგენს, სურათს თუ როგორ მოხდა ბუნების წინააღმდეგ გალაშქრება და დენდროლოგიური პარკის არა გაშენება (ანუ ხეების გაზრდა, როგორც ეს ზოგადად სახეობათა დაცვის პარკის იდეაში დევს) არამედ შექმნა მრავალწლიანი ხეებით.

## 2. ქართული კინო და კაპიტალიზმი

შეკვეთილის პარკის უკან დგას ყველაზე მდიდარი და გავლენიანი პოლიტიკოსი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც მის რეზიდენციასთან ახლოს გადაწყვიტა ტყე-პარკის მოწყობა. ჩვენ ამ დეტალებს თითქმის ვერ ვხედავთ ფილმში, თუმცა დროთა განმავლობაში გმირების საუბრებიდან ვიგებთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისგან ივანიშვილის წარმომადგენლები ყიდულობენ ხეებს. ზოგი უარს ამბობს, ზოგი თანხმდება ისევ და ისევ გაუსაძლისი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე.<sup>17</sup>

ფილმი იწყება ტყის გამოსახულებით, რომელშიც თეთრი ბოლი იკვლევს გზას. მას მოჰყვება სპეცტექნიკის ხმაური და მუსიკა, რომელიც მაყურებელს ბუნებაზე მოსალოდნელი იერიშისთვის ამზადებს. და მართლაც, ფილმშიც და მანამდე მედიაში ვიხილეთ ეკოლოგიური კატასტროფები, რაც თითოეული ხის ამოთხრასა და ტრანსპორტირებას მოჰყვებოდა. ჩვენ ასევე ვაკვირდებოდით სახელმწიფოს ჩამოშლას, რომელიც არათუ მხოლოდ უძღურებას გამოხატავს კაპიტალის წინაშე, არამედ მის სამსახურში დგებოდა. ხეების გადატანის ეპოპეის შედეგი კი, სალომე ჯაშისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, კეთილისა და ბოროტების მიღმა მყოფი მოვლენა<sup>18</sup> – შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკი, რომელშიც ხეები საბელებითაა დამაგრებული, ხელოვნურად გაშენებული ტყე სარწყავი სისტემით ირწყვება, ბილიკებზე კი ელექტრო მანქანები გადაადგილდებიან.

ეს პარკი არამხოლოდ ბუნების მოთვინიერებას, არამედ ადამიანის ბუნების დაქვემდებარების სიმბოლოდაც წარმოგვიდგება. ის რასაც ძველი დროის ფეოდალები საკრალური ლეგიტიმაციით ახერხებდნენ, თანამედროვე კაპიტალისტი ფეოდალები<sup>19</sup> ძალაუფლებას

---

<sup>17</sup> სალომე ჯაში სხვადასხვა ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებს ხის გაყიდვის მოტივაციაზე, რომ მიღებულ თანხად ზოგმა შვილის ოპერაცია დააფინანსა და ა.შ. შდრ. გ. ნადიბაიძე, „სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი 'მოთვინიერება'“, *ინდიგო*, 2021 წლის 1 თებერვალი, <https://indigo.com.ge/articles/salome-jashis-dokumenturi-filmi-motviniereba/> [უ. გ. 25.02.2022]; რაზმაძე, გ., „სამოთხე... სამოთხე?... ინტერვიუ სალომე ჯაშთან“, *კინო*, #3, 2021, გვ. 75.

<sup>18</sup> რაზმაძე, გ., *იხ სქოლიო 17*, გვ. 77.

<sup>19</sup> ტერმინი „მსხვილ კაპიტალისტთა ფეოდალიზმი“ იხმარა ჯორჯ სტიუარტ მილმა ნაშრომში „სოციალიზმი“ (მილი,ჯ. ს., „სოციალიზმი. ქალთა დაქვემდებარება“, გამომცემლობა „ibooks“, 2021, გვ. 25), რომელიც თავის მხრივ ემყარებოდა ჟოზეფ ფურიეს ცნებას „ინდუსტრიულ ფეოდალიზმს“ (la féodalité industrielle), რასაც ვრცლად განმარტავს ასევე ფრანგი სოციალისტი მოაზროვნე ვიქტორ კონსიდერანი „სოციალურ ბედში“ (Considerant, V., "Destinée Sociale", tome premier, Au Bureau de la Phalange, 1835, გვ. 194).

ფულს აფუძნებენ, მით უფრო, როდესაც ამ სისტემაში ფული მხოლოდ გაცვლით ღირებულებას არ ატარებს და ის ფეტიშიზაციის წყალობით მითოსური თუ მეტაფიზიკური ლეგიტიმაციის წყაროდ იქცევა.

სალომე ჯაში ძალაუფლების ბაღში იპარება, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბზე ვრცელდება, როგორც ეს ცნობილმა ინგლისელმა კრიტიკოსმა პიტერ ბრედშოუმ აღნიშნა.<sup>20</sup> დენდროლოგიური პარკის გადაღება სალომე ჯაშის პოლიტიკური მანიფესტაციაა, რომელიც ზუსტად ისე ამხელს ძალაუფლებას, როგორც ჰააკე თავის მუზეუმების სერიასა და სხვა საგამომიებო პროექტებში ეპყრობოდა ინსტიტუციებსა და ამ ინსტიტუციებს უკან მდგომ ძალაუფლებისა და კაპიტალის მქონე პერსონებს („მომას გამოკითხვა“, „სოციალური სისტემა რეალურ დროში“, „მანე/პროექტი“, „შოკოლადის მეფე“ და სხვ.).

ჯაში ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მას ხშირად ეკითხებიან, რატომ აგრძელებს ცხოვრებას საქართველოში, რაზეც ის პასუხობს – „იმიტომ რომ ეს გაბრაზებულს მხდის“ (Because it makes me angry).<sup>21</sup> სწორედ სატელევიზიო იმიჯი გახდება ამ ფილმის ინსპირაცია, ზღვაში შეცურული ხე, რომელიც ბუნების დაქვემდებარების ხატად იქცა.

ჯაში ერთხანს ტელევიზიაშიც მუშაობდა და კარგად იცნობს ამ მედიუმს – სატელევიზო გამოსახულების ძალას, რომელიც მისი ფილმის ინსპირაციაც გახდა. მასობრივი კომუნიკაციები ზუსტად იგივე როლს ასრულებენ თანამედროვე სამყაროში, რასაც კლასიკური ფეოდალიზმის ეპოქაში ხელოვნება ითავსებდა, რომელიც მმართველი ელიტების, მაშასადამე, კლასების ღირებულების კვლავმწარმოებელი იყო. მარქსმა მას ზედნაშენი უწოდა, რომელიც ჩაგვრაზე იყო დაფუძნებული იმდენად, რამდენადაც ჩაგვრის ინსტრუმენტების განმტკიცებით იყო დაკავებული.<sup>22</sup>

ხელოვნების თეორეტიკოსი ბორის გროისი თანამედროვე იმიჯებს იდეოლოგიის გამტარ და მსახურ მოვლენად განიხილავს. მაგალითად იღებს ტერორიზმს და ამ შედარებით ახალი ფენომენის საყურადღებო ასპექტებს განმარტავს:

„... როგორც ჩვენთვის გამიზნული ფარული და შემამფოთებელი რეალობის „ხატები“, რომელიც ჩვენი დროის გლობალური პოლიტიკის რეალობას წარმოადგენს. ვიტყვი, რომ ეს იმიჯები თანამედროვე პოლიტიკური ხატებია, რომლებიც ჩვენს კოლექტიურ წარმოსახვაზე დომინირებს.“<sup>23</sup>

<sup>20</sup> Bradshaw, P., "Taming the Garden review – fascinating study of a billionaire's destructive folly", *The Guardian*, 2022 წლის 25 იანვარი, <https://www.theguardian.com/film/2022/jan/25/taming-the-garden-review-fascinating-study-of-a-billionaires-destructive-folly> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>21</sup> Wissot, L., "It Was Such a Jiggle of Consciousness, Such a Beautiful Monstrosity...", *filmmaker*, 2021 წლის 1 თებერვალი, <https://filmmakermagazine.com/111029-it-was-such-a-jiggle-of-consciousness-such-a-beautiful-monstrosity-salome-jashi-on-her-sundance-debuting-taming-the-garden/#.Yfbsuy8RphA> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>22</sup> ბალიბარი, ე., „მარქსის ფილოსოფია“, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, გვ. 83.

<sup>23</sup> Groys, B., "Art Power", The MIT Press, 2008, p. 125.

გლობალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ მასკომუნიკაციურ მედიუმებში არსებული იდეოლოგია, რომელიც საქონლის ფეტიშიზაციაზე დგას, ემსახურება *მსხვილ კაპიტალისტთა ფეოდალიზმის* გამტკიცებას. უამრავი მანიპულაციის მიუხედავად, გარემოსდაცვითი საკითხები ის რუბიკონია, რომელსაც მანუპულაციური ლოგიკა ვერ ლახავს – მარგარეტ ტეტჩერიც კი გაერო-ს ტრიბუნიდან საუბრობდა კლიმატის დაცვის აუცილებლობაზე (თუმცა, ზოგიერთის აზრით, გარემოს დაცვაზე მსჯელობა ქვანახშირის მომპოვებელთა პროფკავშირების განადგურებისთვის დასჭირდა, თუმცა ამის პირდაპირი მტკიცებულებები არ მოგვეპოვება).<sup>24</sup>

მაშასადამე, წინა წლების აქტივიზმმა გარკვეულწილად შედეგი გამოიღო, თუმცა მწვანე პოლიტიკა ჯერ ისევ უთმობს სასაქონლე ფეტიშიზმს. ევროკავშირის მწვანე შეთანხმებაშიც კი ვხედავთ უამრავ დათმობასა და ლოიალურ დამოკიდებულებას დიდი კორპორაციების მიმართ, რომლებსაც 2030 წლამდე და, შესაძლოა, 2050 წლამდეც კი ეძლევათ საშეღავათო პირობები. და სწორედ ასეთ დროს დაისმის ალექსანდრე კობერიძის არც თუ ისე რიტორიკული შეკითხვა, რომელსაც ის მის ფილმში „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვურურებთ“ (2021) აჟღერებს: – „რას ვეტყვით ჩვენ შვილებს...“

კობერიძის ფილმში უამრავი მნიშვნელოვანი კადრი, ეპიზოდი თუ სცენაა, რომელზეც როგორც ესთეტიკური და ფორმალისტური თვალსაზრისთ, ასევე შინაარსობრივი და მეტაფორული კუთხითაც ბევრის თქმა შეიძლება. თუმცა ამ ჯერად გამოვყოფდი ავტორის პირდაპირ მიმართვას, რომელიც ფილმის ე.წ. ანტრაქტში, პირველ და მეორე ნაწილებს შორის არის წარმოთქმული ბერძნული თეატრის საუკეთესო ტრადიციებში.

„აღბათ არ იქნება ურიგო ორი სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ როდის მოხდა ამბავი, – ამბობს ნარატორი – რომელსაც ერთად ვადევნებთ თვალებს. – როგორი იყო ეს დრო? – დრო იყო უსასტიკესი. დაუნდობელი. ეჭვი არ მეპარება, ამ დროს როგორც უსასტიკესს მოიგონებენ მომავალი ადამიანები. როგორც ჩვენ გვიჭირს წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ეწეოდნენ ადამიანები ყოველდღიურ საქმიანობას, როდესაც მათ გარშემო უმძიმესი დანაშაულები ხდებოდა, ასევე ვერ ახსნიან მომავალი თაობები ჩვენს გულგრილობას იმის მიმართ, თუ რაც ხდება ჩვენს გარშემო. მაგალითად ის, თუ როგორც ვექცევით ჩვენს დებს და ძმებს ცხოველთა სამყაროდან, გაუგონარია ისტორიისათვის. ამ წელს, მხოლოდ ხანძრებში სხვადასხვა კონტინენტზე – ხანძრებში რომელთა მიზეზი სიხარბეა – დაახლოებით 1 250 000 000 ცოცხალი არსება დაიღუბა. მილიარდ ორას ორმოცდაათი მილიონი! უსასრულოდ შეიძლება მაგალითების მოყვანა, მაგრამ აღბათ საკმარისია. დაახლოებით წარმოდგენა გვაქვს იმაზე, თუ როდის მოხდა ეს ამბავი [ფილმში არსებული დრო, გ.რ.] და როგორც ამ დროის შვილებს სჩვევიათ, ჩვენს ზემოხსენებული არ შევიმჩნიოთ და დავუბრუნდეთ თხრობას“.

---

<sup>24</sup> Margaret Thatcher's Speech to United Nations General Assembly (Global Environment), United Nations Building, New York, 1989 წლის 8 ნოემბერი, <https://www.margaretthatcher.org/document/107817> [უ. გ. 25.02.2022].

და ფილმის ფინალისკენ, თანაც ხვამლის მთის გამოსახულების ფონზე (რომლის მისადგომებთან თურქული კომპანია „ენკა რინიუებლზი“ ცდილობდა და ახლაც ცდილობს ჰესების კასკადის აშენებას, რასაც დასავლეთ საქართველოს ეკოლოგიის განადგურება მოჰყვება,<sup>25</sup> თან ყოველგვარი ენერგეტიკული თუ ფინანსური სარგებლის მიღების გარეშე<sup>26</sup>), კობერიძეს კვლავ ფილმის გარეთ გაყავს მაყურებელი და კიდევ ერთხელ მიმართავს მას ამ ჯერად უფრო პერსონალური ტექსტით, ვიდრე რიონში ჩაგდებული ფეხბურთის ბურთის ფონზე მიმართავდა, რაც ზემოთ უკვე მოვიყვანეთ: – „რას ვეტყვი ჩემ შვილებს, როდესაც მკითხავენ, თუ რა იყო ასეთი სისასტიკის, ასეთი უძლურების მიზეზი. როდესაც მკითხავენ, ეს ყველაფერი როცა ხდებოდა, მე რას ვაკეთებდი... ვფიქრობ, რადგან ვიცი, რომ მკითხავენ, – პასუხი კი არ მაქვს. რა ვუთხრა, ფილმებს ვიღებდი-თქო?!“

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კობერიძემ ფილმი გადაიღო სიხარბეზე. სიხარბეზე რომელიც ემუქრება იმ ჯადოსნურ სამყაროს განადგურებით, რომელიც „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთში“ იხატება. ფილმი ფანტაზმაგორიულ ამბავს გვიყვება, ქუთაისელი ფარმაცევტი გოგოსა და ფეხბურთელი ბიჭის სასისყვარულო ისტორიას, როგორ გაიცნობენ შემთხვევით, როგორ დათქვავენ პაემანს და როგორ მოუვლენს მათ ავი თვალი წყევლას, რომელიც ახალგაზრდებს გარეგნობას შეუცვლის. დათქმულ დროსა და ადგილზე ორივე კი გამოცხადდება, მაგრამ რა გასაკვირია რომ ვერ იცნობენ ერთმანეთს. ფილმის მსვლელობის დროს მათ მაინც შეუყვარდებათ ერთმანეთი და მხოლოდ ფინალში, კინოს წყალობით წყევლა გაქრება. სამყაროს მოჯადოებისა და განჯადოების საკითხი კაპიტალიზმს უკავშირდება, რომელიც მაქვს ვებერის მიხედვით, განმანათლებლობის რაციონალიზმით განჯადოებულ სამყაროში წარმოიქმნება, მაგრამ შემდგომ თავად იქცევა სეკულარულ რელიგიად.<sup>27</sup>

ეს ზრახვული ფაბულა, შეიძლება ითქვას, მეორეხარისხოვანია ფილმის უამრავ შრეში, რომელიც იკვლევს ქალაქის სივრცეს, ამ ქალაქის ბინადართა – ადამიანებისა და ცოხველების – ერთიანობას ურბანულ სივრცესთან, რომელიც აგებულია ლეგენდებსა და მეხსიერებაზე. კობერიძეს სწორედ ეს ენერგია აინტერესებს, რომლის აკუმულირებასაც კინოს მედიუმში ცდილობს, რომ ვიცოდეთ, რას დაგვარგავთ, როდესაც კაპიტალის სიხარბეს არ აღვუდგებით წინ.

### გროსის წერს:

„ხელოვნება ყოველთვის ცდილობდა ძალის მაქსიმალური შესაძლებლობით წარმოჩენას, ძალის, რომელიც მართავდა სამყაროს მთლიანობაში – იქნება ღვთაებრივი თუ ბუნების ძალა. მაშასადამე, ხელოვნება საკუთარ რეპრეზენტაციაში ავტორიტეტს აფუძნებდა ამ

<sup>25</sup> მწვანე ალტერნატივის ანგარიში, „ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობა კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, 2021 წლის 21 თებერვალი, <https://greenalt.org/namakhvan-hesebis-kaskadis-mshenebloba-kanonis-darghvevit-mimdinareobs/> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>26</sup> სოციალური სამართლიანობის ცენტრის დასკვნა, „ნამახვანის კასკადის პროექტი სამართლებრივ დარღვევებს, მაღალ სოციალურ და ეკოლოგიურ რისკებს შეიცავს“, 2020 წლის 22 ივლისი, <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-namakhvanis-kaskadis-proekti-samartlebriv-darghvevs-maghal-sotsialur-da-ekologiur-risrebs-sheitsavs> [უ. გ. 25.02.2022].

<sup>27</sup> Weber, M., იბ. სქოლიო 13.



ძალაზე. ამ თვალსაზრისით, ხელოვნება ყოველთვის პირდაპირ თუ ირიბად კრიტიკული იყო, რადგან ის სასრულს, პოლიტიკურ ძალას უსასრულობის გამოსახულებას უპირისპირებს, როგორცაა ღმერთი, ბუნება, ბედი, სიცოცხლე, სიკვდილი“.<sup>28</sup>

ალექსანდრე კობერიძემ, სალომე ჯაშთან ერთად, ქართულ კინოში შემოიტანა ახალი ტიპის პოლიტიკური აქტივიზმი. თუკი მანამდე სისტემის კრიტიკას ყოველთვის საზოგადოების კრიტიკაც მოჰყვებოდა (ნეო)ლიბერალური ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციიდან გამომდინარე (შეგვიძლია გავიხსენოთ ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმები: „გრძელი ნათელი დღეები“ (2013), „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (2017) და „ახალი ქართული კინოს“ უამრავი სხვა ფილმი) უპირველეს ყოვლისა, ჯაში და კობერიძე სიფრთხილით და შრომატევადი დაკვირვება-შესწავლის შედეგად ეხებიან გარემოსა და დროს<sup>29</sup> და ადამიანთა დადანიშნულების ნაცვლად, მოვლენების ფესვების განხილვას გვთავაზობენ.

გროსის პოლიტიკურ აქტივიზმს თანამედროვე ხელოვნების განუყოფელ ქმედებად განიხილავს. ხელოვნებას ის პოლიტიკური და სოციალური აქტივიზმისთვის მედიუმად და არენად მიიჩნევს:

„სახელოვნებო აქტივიზმს არ აქვს მიზნად სახელოვნებო სისტემისა თუ ზოგადი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის მხოლოდ კრიტიკა, არამედ მიზანია ამ მოცემულობების გამოსწორება ხელოვნების მეშვეობით – არა იმდენად სახელოვნებო სისტემის შიგნით, რამდენადაც მის გარეთ, ანუ შეიცვალოს თავად რეალობის პირობები. ხელოვანი აქტივისტები ცდილობენ ეკონომიკურად დაბალგანვითარებულ ადგილებში წამოწიონ ეკოლოგიური პრობლემები, ღარიბ ქვეყნებსა და რეგიონებში განათლებასა და კულტურაზე ხელმისაწვდომობაზე ზრუნვა და არალეგალური იმიგრანტების გაჭირვებაზე ყურადღების მიპყრობა... სხვა სიტყვებით, სახელოვნებო აქტივიზმი რეაგირებს თანამედროვე სოციალური სახელმწიფოს დასუსტებაზე და ანაცვლებს სოციალურ ინსტიტუციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით ვერ ან არ არსულენ საკუთარ მოვალეობებს“.<sup>30</sup>

## დასკვნა

საქართველო გარემოსდაცვითი და სოციალური სახელმწიფოს კუთხით დასავლეთთან შედარებით ყველაზე ცუდ პოზიციებს რომ იკავებს, რა თქმა უნდა, ნეოლიბერალური დღისწესრიგის დამსახურებაა. ამ მოცემულობის არქიტექტორი რუსი ოლიგარქი კახა ბენდუქიძეა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ზურაბ ჟვანიას მოწვევით

---

<sup>28</sup> Groys, B., იხ. სქოლიო 23, გვ. 2.

<sup>29</sup> ალექსანდრე კობერიძე ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქუთაისში, სანამ გადაღებებს დაიწყებდა. სალომე ჯაში კი მოსამზადებელ პერიოდში ადგილზე მკვლევარი გააგზავნა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ადგილზე „პირადი კვლევა“. იხ. რაზმაძე, გ., იხ. სქოლიო 17, გვ. 74.

<sup>30</sup> Groys, B., "In the Flow", Verso, 2016, გვ. 36.

რუსეთიდან მოველინა საქართველოს, რომელიც მეტ-ნაკლებად მოულოდნელად ნეოლიბერალური პოლიტიკის გატარებას იწყებს. მისი მინისტრობის პერიოდში (2004-8) სტრატეგიული მნიშვნელობის თითქმის ყველა საწარმო თუ ეკონომიკის მიმართულება რუსული კომპანიებისა და ოლიგარქების ხელში აღმოჩნდება. პოლიტიკური ელიტები, მედია და წამყვანი არასამთავრობო სექტორი ბენდუქიძის რეფორმების შეფასებისგან თავს იკავებს, შედეგებზე კი (რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების ფაქტორზე) დუმან. სწორედ ასეთ დროს საზოგადოებრივი მოძრაობის ავანგარდში ხელოვანები უნდა მოექცნენ, რომლებიც მოამზადებენ დეკლონიურ მოძრაობას „დესტრუქციული ეკონომიკური მოდელის წინააღმდეგ“, <sup>31</sup> როგორც მწვანეების/ევროპის თავისუფლების ალიანსის წევრი და ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი ჰეიდი ჰაუტალი აფასებდა ნამოხვანი ჰესის წინააღმდეგ პროტესტს – პროტესტს, რომელმაც ბენდუქიძის შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის მანკიერი მხარე გამოაშკარავა.

---

<sup>31</sup> „ევროპარლამენტარი ჰეიდი ჰაუტალი „ნამოხვანჰესის“ საწინააღმდეგო პროტესტზე“, ინტერპრესნიუსი, 2021 წლის 2 ივნისი, <https://www.interpressnews.ge/ka/article/658954-evroparlamentari-haidi-hautala-namaxvanhesis-sacinaagmdego-protestze-mivesalmebi-sakartvelos-mosaxleobis-am-axali-saxis-mobilizacias-destrukciuli-ekonomikuri-modelis-cinaagmdeg/> [უ. გ. 25.02.2022].



**ბიბლიოგრაფია:**

1. ბალიზარი, ეტიენ, „მარქსის ფილოსოფია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016;
2. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცი (პარიზის შეთანხმება), ქართულ ენაზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/3702467/0/ge/pdf>, ინგლისურ ენაზე: [https://unfccc.int/sites/default/files/english\\_paris\\_agreement.pdf](https://unfccc.int/sites/default/files/english_paris_agreement.pdf). [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
3. „ევროპარლამენტარი ჰაიდი ჰაუტალა „ნამახვანჰესის“ საწინააღმდეგო პროტესტზე“, ინტერპრესნიუსი, 2021 წლის 2 ივნისი, <https://www.interpressnews.ge/ka/article/658954-evroparlamentari-haidi-hautala-namaxvanhesis-sacinaagmdego-protestze-mivesalmebi-sakartvelos-mosaxleobis-am-axali-saxis-mobilizacias-destrukciuli-ekonomikuri-modelis-cinaagmdag/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
4. მარქსი, კარლ, „კაპიტალი“, ტომი პირველი, წიგნი I, სახელგამი, თბილისი, 1954;
5. მილი, ჯონ სტიუარტ, „სოციალიზმი. ქალთა დაქვემდებარება“, ibooks, თბილისი, 2021;
6. მიქაძე, ეკატერინე, „ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2021 წლის 18 თებერვალი, [https://ge.boell.org/ka/2021/02/18/evropis-mcvane-shetankhmeba-da-misi-mnishvneloba-sakartvelostvis#\\_ftnref9](https://ge.boell.org/ka/2021/02/18/evropis-mcvane-shetankhmeba-da-misi-mnishvneloba-sakartvelostvis#_ftnref9) [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
7. მწვანე ალტერნატივის ანგარიში, „ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობა კანონის დარღვევით მიმდინარეობს“, 2021 წლის 21 თებერვალი, <https://greenalt.org/namakhvan-hesebis-kaskadis-mshenebloba-kanonis-darghvevit-mimdinareobs/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
8. ნადიბაიძე, გვანცა, „სალომე ჯაშის დოკუმენტური ფილმი 'მოთვინიერება'“, ინდიგო, 2021 წლის 1 თებერვალი, <https://indigo.com.ge/articles/salome-jashis-dokumenturi-filmi-motviniereba/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
9. რაზმაძე, გიორგი, „სამოთხე... სამლოთხე?..: ინტერვიუ სალომე ჯაშთან“, *კინო*, #3, 2021;
10. სოციალური სამართლიანობის ცენტრის დასკვნა, „ნამახვანის კასკადის პროექტი სამართლებრივ დარღვევებს, მაღალ სოციალურ და ეკოლოგიურ რისკებს შეიცავს“, 2020 წლის 22 ივლისი, <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-namakhvanis-kaskadis-proekti-samartlebriv-darghvebs-maghal-sotsialur-da-ekologiur-riskebs-sheitsavs> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
11. ჩომსკი, ნოამ, ჰერმანი, ედვარდ ს., „თანხმობის წარმოება: მასშედიის პოლიტიკური ეკონომიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2020;
12. "Art Is A Weapon: Hans Haacke on How Art Survived the Bush Administration", *Artspace*, 2017 წლის 3 თებერვალი, [https://www.artspace.com/magazine/art\\_101/book\\_report/art-is-a-weapon-hans-haacke-interview-political-art-54590](https://www.artspace.com/magazine/art_101/book_report/art-is-a-weapon-hans-haacke-interview-political-art-54590) [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
13. Benjamin, Walter, "Capitalism as Religion", 1921, <https://cominsitu.wordpress.com/2018/06/08/capitalism-as-religion-benjamin-1921/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];

14. Bradshaw, Peter, "Taming the Garden review – fascinating study of a billionaire’s destructive folly", *The Guardian*, 2022 წლის 25 იანვარი, <https://www.theguardian.com/film/2022/jan/25/taming-the-garden-review-fascinating-study-of-a-billionaires-destructive-folly> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
15. Considerant, Victor, "Destinée Sociale", tome premier, Au Bureau de la Phalange, Paris, 1835;
16. European Commission, "The European Green Deal", Brussels, 11 January, <https://eur-lex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?qid=1576150542719&uri=COM%3A2019%3A640%3AFIN>, [Last seen 25.02.2022];
17. Groys, Boris, "Art Power", The MIT Press, Cambridge and London, 2008;
18. Groys, Boris, "In the Flow", Verso, London and New-york, 2016;
19. "Holding Corporations Accountable for the Plastic & Climate Crisis, 2021", BRANDED, Vol. IV., 2021, <https://www.breakfreefromplastic.org/wp-content/uploads/2021/10/BRAND-AUDIT-REPORT-2021.pdf>, [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
20. Lévi-Strauss, Claude, "The Elementary Structures of Kinship", Beacon Press, Boston, 1971;
21. Lewis, Joanna, Edwards, Laura, "Assessing China’s Energy and Climate Goals", *CAP*, 2021 წლის 6 მაისი, <https://www.americanprogress.org/article/assessing-chinas-energy-climate-goals/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
22. Easley, Jonathan, "Trump cements 'America First' doctrine with Paris withdrawal", *The Hill*, June 2, 2017, <https://thehill.com/homenews/administration/336014-trump-cements-america-first-doctrine-with-paris-withdrawal> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
23. Margaret Thatcher's Speech to United Nations General Assembly (Global Environment), United Nations Building, New York, 1989 წლის 8 ნოემბერი, <https://www.margarethatcher.org/document/107817> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
24. Meadows, Dennis, Meadows, Donella, Randers, Jørgen, William W. Behrens III, "The Limits to Growth", Universe Books, New York, 1972;
25. Nestle, Marion, "Soda Politics: Taking on Big Soda (and Winning)", Oxford University Press, Oxford, 2015;
26. Remarks by President Trump to the 74th Session of the United Nations General Assembly, United Nations Headquarters, New York, 2019 წლის 24 სექტემბერი, <https://trumpwhitehouse.archives.gov/briefings-statements/remarks-president-trump-74th-session-united-nations-general-assembly/> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];
27. Weber, Max, "The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism", Routledge, London and New York, 2005;
28. Wissot, Lauren, "It Was Such a Jiggle of Consciousness, Such a Beautiful Monstrosity...", *filmmaker*, 2021 წლის 1 თებერვალი, <https://filmmakermagazine.com/111029-it-was-such-a-jiggle-of-consciousness-such-a-beautiful-monstrosity-salome-jashi-on-her-sundance-debuting-taming-the-garden/#.Yfbsuy8RphA> [უკანასკნელად გადამოწმდა 25.02.2022];

## ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგია და დასაქმების შესაძლებლობები

კაროლ იენე

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი  
ლაზარსკის უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ევროკომისიის პოლიტიკის ინიციატივითაა პაკეტი, რომლის მთავარ მიზანსაც 2050 წლისთვის კლიმატ-ნეიტრალიტეტის მიღწევა წარმოადგენს, ხშირად შრომის ბაზართან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური ინტერესების კონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენებისკენაა მიმართული. ბევრი ეკონომისტი, პოლიტიკოსი თუ პროფკავშირის წევრი ევროპაში ეკონომიკური ზრდის, დასაქმების გარანტიისა და კლიმატ-ნეიტრალიტეტის თავსებადობას ეჭვქვეშ აყენებს. აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, წინამდებარე ნაშრომი რამდენიმე ნაწილადაა დაყოფილი: პირველი ნაწილი ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითად პრინციპებს მიმოიხილავს; მეორე ნაწილი გაანალიზებული ზომების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ევროპის მიერ განცდილ იმ უზარმაზარ დანაკარგებს ეხება, რომლებიც ახალი გადაწყვეტების დანერგვის ხარჯებმა შესაძლოა გამოიწვიონ; კვლევის მესამე ნაწილი ევროპული შრომის ბაზრის ჭრილში დანახული ევროპის მწვანე შეთანხმების ხარჯებისა და სარგებლის კრიტიკულ კვლევას ეთმობა; ნაშრომის დასკვნითი ნაწილი კი ევროპის მწვანე შეთანხმებასა და შრომის ევროპული ბაზრის ეფექტურობას შორის არსებულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებული მცდარი ჰიპოთეზის გაბათილებას ცდილობს.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპის მწვანე შეთანხმება, შრომის ბაზარი, დასაქმება, კლიმატ-ნეიტრალიტეტი.

### შესავალი

ის, რაც ორმოცდაათიოდე წლის წინ ჰიპოთეზად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა მთელი დედამიწის მცხოვრებთა მიერ განცდილ უცილობელ ფაქტად ითვლება. 21-ე საუკუნეში კლიმატის ცვლილებამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია და ეჭვგარეშეა, რომ ამის მიზეზად ადამიანის საქმიანობა შეიძლება იქნას დასახელებული. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) თანახმად, 1850 წელს მაჩვენებლების აღნუსხვის დაწყებიდან მოყოლებული, 2015-2021 წლები ყველაზე ცხელი, ხოლო 2021 წლის საშუალო ტემპერატურა მსოფლიოში ინდუსტრიამდელ პერიოდთან შედარებით 1.13 გრადუსით მაღალი აღმოჩნდა. გლობალური დათბობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ადამიანის მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული ნახშირორჟანგის რაოდენობა ითვლება. ოკეანისა და ატმოსფეროს ეროვნული ადმინისტრაციის (NOAA) მიხედვით, 2020 წლის 30 იანვრის მონაცემების თანახმად, ატმოსფერული ნახშირორჟანგის კონცენტრაციის დონე ამჟამად 419.41 ppm-ს რეკორდულ

რაოდენობას უტოლდება, რაც 2000 წლის (369.71 ppm) მონაცემებს 13 პროცენტით აღემატება. მსოფლიო საშუალო ტემპერატურის ზრდა ყინულის საფარის დნობას, ზღვის დონის მომატებასა და ისეთი ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენების განვითარებას გამოიწვევს, როგორცაა ძლიერი ქარიშხლები, კატასტროფული წყალდიდობები, რეკორდული სიციხეები, გვალვები და ტყის ხანძრები. აღნიშნულმა მოვლენებმა შესაძლოა სასმელი წყლის რესურსების, საცხოვრებელი სახლების, სამუშაო ადგილებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი ინფრასტრუქტურის დანაკარგებამდე მიგვიყვანოს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანახმად, კლიმატის ცვლილებამ 2030-2050 წლებს შორის, შესაძლოა ყოველწლიურად დამატებით 250 000 ადამიანის სიკვდილი გამოიწვიოს.<sup>48</sup> მსოფლიო ბანკის პროგნოზით, შემდგომმა ეკოლოგიურმა დეგრადაციამ 2050 წლისთვის შესაძლოა 216 მილიონი ეგრეთ წოდებული კლიმატის მიგრანტი გააჩინოს.<sup>49</sup> შვეიცარიის გადაზღვევის კომპანიის მიერ ჩატარებულმა სიმულაციამ ცხადყო, რომ 2050 წლისთვის გლობალური ტემპერატურის 2 გრადუსით მატებას მსოფლიო მშპ-ს 11 პროცენტით შემცირება მოყვება.<sup>50</sup> კლიმატის ცვლილებას მსოფლიოს ყველა კუთხეში იგრძნობენ. პარადოქსულია, რომ გლობალური დათბობის გამოწვევი აირების ყველაზე ნაკლებად გამომწვევი საზოგადოებები ყველაზე მეტად დაზარალებიან. ნახშირორჟანგის დაახლოებით 50 პროცენტის გამომწვევი საზოგადოებები მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების 10 პროცენტში ცხოვრობენ. ამასობაში, გლობალური დათბობა უღარიბესი ქვეყნების მაცხოვრებლებს კლიმატის ლტოლვილებად აქცევს. გრძელვადიან განვითარებაში, აღნიშნული პრობლემები შეზღუდულ ბუნებრივ რესურსებზე წვდომას უსათუოდ უფრო კონკურენტულს გახდის, რაც საბოლოოდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონფლიქტებამდე და სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობამდე მიგვიყვანს.<sup>51</sup>

კითხვაზე, თუ ვინ არის გარემოს დეგრადაციასა და კლიმატის ცვლილებაზე პასუხისმგებელი, პასუხი უნდა იქნას გაცემული. ზემოაღნიშნული ინდიკატორების მნიშვნელოვანი მოშლა მზარდ გლობალიზაციას, ჭარბ კონსიუმერიზმსა და საერთაშორისო კორპორაციების გაზრდილ გავლენას ექვევარებოდ ემთხვევა. ხსენებული სუბიექტების მიერ მოკლევადიანი სარგებლის მიღების ლტოლვა ბუნებრივი გარემოს დეგრადაციას ყველაზე ცხადად ახდენს. მსოფლიო ეკონომიკის ოლიგოპოლიზაცია საერთაშორისო კორპორაციებს იმდენად ძლევამოსილს ხდის, რომ ეროვნული მთავრობების კონტროლს თავს აღწევენ, რაც მათი მავნე ქმედებების განეიტრალებას საკმაოდ ართულებს. შესაბამისად, გასაცემია პასუხი კითხვაზე, შესწევს თუ არა უნარი იმ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც ჩვენ გვიწევს არსებობა დაიცვას საზოგადოება მის მიერვე გამოწვეული საფრთხისგან.<sup>52</sup> ეკოლოგიური დეგრადაციის, კლიმატის ცვლილების, სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისის შედეგების შესახებ მსგავსი აპოკალიფტური სურათის წარმოდგენისას, პასუხი ევროპის მწვანე შეთანხმებაში (EGD) იმალება, რომელის მიზანსაც

<sup>48</sup> World Health Organization, Climate change and health vulnerability and adaptation assessment. Geneva 2021, p. 46.

<sup>49</sup> Clement, V., Rigaud, K. K., de Sherbinin, A. Jones, B., Adamo, S., Schewe, J., Sadiq, N., and Shabahat, E., Groundswell Part 2: Acting on Internal Climate Migration., The World Bank, Washington 2021, p. 80.

<sup>50</sup> Swiss Re Institute, The economics of climate change: no action not an option. Zurich 2021, p. 8.

<sup>51</sup> Dahl, M., The European Green Deal and the social market economy, Sprawy Międzynarodowe, 74(3), 2021, p. 132.

<sup>52</sup> Guttman, R., Eco-Capitalism: Carbon Money, Climate Finance, and Sustainable Development, Palgrave Macmillan, 1st ed., 2018, p. 35.



ევროკავშირის (EU) მაღალტექნოლოგიური და ეკო-მეგობრული ეკონომიკის მქონე სუბიექტად გადაქცევა სურს.

მსოფლიოს მრავალი კუთხის მსგავსად, ევროკავშირიც დაუცველია კლიმატის ცვლილების ზემოხსენებული შედეგებისგან. მეცხრამეტე საუკუნესთან შედარებით, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ევროპის საშუალო ტემპერატურა 2.2 გრადუსით მაღალი დაფიქსირდა. გლობალური დათბობით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, არა მახლოდ ინფრასტრუქტურასა და სამუშაო ადგილებს ანადგურებენ, არამედ ადამიანის სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნიან. ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) 2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო 40 წლის განმავლობაში ევროკავშირის 27 ქვეყანამ ბუნებრივი კატასტროფების გამო 420 მილიარდი ევროს ოდენობის ზარალი განიცადა. იმავე მიზეზებმა 1980-2019 წლებს შორის ევროკავშირის 85 000 მოქალაქის სიკვდილი გამოიწვია. თუმცა, ევროკავშირის მოქალაქეებს ყოველწლიურად 400 000 უდროო გარდაცვალებით ჰაერის დაბინძურება ემუქრებათ.<sup>53</sup>

ევროკავშირის ლიდერებმა გააცნობიერეს, რომ გაუაზრებელ და მტაცებლურ თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაზე დაფუძნებული ბუნების ექსპლუატაცია მომავალში კატასტროფას გამოიწვევს. დღევანდელი დღის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მიმდინარე ეკონომიკური ზრდის ფონზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ შედეგებთან გამკლავება წარმოადგენს. ამავდროულად, ევროპის მწვანე შეთანხმების ამოქმედებით გამოწვეული შეზღუდვების გამო ეკონომიკურ სექტორში სამუშაო ადგილების დაკარგვასთან დაკავშირებული შიში შეინიშნება. მდგრადი იდეის განხორციელების კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ტრანსფორმაციით გამოწვეული სოციალური ასპექტის იგნორირებამ, შესაძლოა ევროკავშირის დეზინტეგრაცია გამოიწვიოს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირის შრომის ბაზარზე ევროპის მწვანე შეთანხმების განხორციელებით გამოწვეულ გავლენასთან დაკავშირებით სამეცნიერო კითხვა იბადება. დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად წინამდებარე ნაშრომი ახალი რეგულაციებით გამოწვეული ზარალისა და მომგებიანობის შეპირისპირებას შეეცდება. თუმცა, კლიმატის საფრთხის შესახებ მოყვანილ მონაცემთა უგულვებელყოფაც არ შეიძლება. გაანალიზებული ზომების ევროკავშირის მიერ გაუზიარებლობით გამოწვეული წარმოუდგენელი ზარალის აღნიშნულ ბალანსში არ ჩართვა სპეკულაციის ტოლფასი იქნებოდა. შერჩეულ სტატისტიკასა და კვლევაზე დაყრდნობით, ევროკავშირის შრომის ბაზრის ჭრილში დანახული ევროპის მწვანე შეთანხმების უპირატესობისა და არაუპირატესობის შესახებ კრიტიკული ანალიზი იქნება შემოთავაზებული.

## 1. ევროპის მწვანე შეთანხმების პოლიტიკის ძირითადი ასპექტები

2019 წლის დეკემბერში დაანონსებული ევროპის მწვანე შეთანხმება ევროკავშირის კლიმატ-პოლიტიკის რეფორმირებისაკენ მიმართულ პოლიტიკურ ინიციატივათა პაკეტს წარმოადგენს. ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ვონ დერ ლეიენის თანახმად, ევროპის მწვანე შეთანხმების ძირითად ამოცანას „ეკონომიკის პლანეტასთან ჰარმონიზება და ჩვენს მიერ ხალხისთვის სასარგებლოდ წარმოება-მოხმარების წესის დარეგულირება“

<sup>53</sup> European Commission, Sustainable growth for all: choices for the future of social Europe. Executive Summary, Brussels 2019, p. 23.



წარმოადგენს.<sup>54</sup> სინამდვილეში, ევროპის მწვანე შეთანხმება ზემოხსენებულ ორივე ამოცანას აერთიანებს, როგორცაა ნახშირორჟანგის ნაკლებად გამომფრქვევ ინდუსტრიულ დარგებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის მიღწევა და წარმოუდგენელი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ზარალის თავიდან აცილება, რაც უმოქმედობის შემთხვევაში გარდაუვლად იჩენდა თავს. აღნიშნულის მიღწევა ორმოცდაათზე მეტ ევროპულ კანონში ცვლილებასა და შემდეგი რვა საჯარო პოლიტიკის გადაფასებას საჭიროებს: სუფთა ენერჯია, მდგრადი მრეწველობა, მშენებლობა და განახლება, მდგრადი სოფლის მეურნეობა, მდგრადი მობილობა, ბიომრავალფეროვნება, დაბინძურების ელიმინაცია და მდგრადი დაფინანსება. ხსენებულ ინიციატივათა ძირითად მიზანს სათბურის გაზების 1990 წელთან შედარებით 55 პროცენტით შემცირება, ხოლო 2050 წლისთვის კლიმატ-ნეტრალიტეტის მიღწევა წარმოადგენს.<sup>55</sup>

„სუფთა ენერჯის“ პოლიტიკის მიზანს განახლებადი ენერჯის წყაროებზე დაფუძნებული ენერგოსექტორის განვითარების მეშვეობით ევროკავშირის ენერგოსისტემის დეკარბონიზაციის მიღწევა წარმოადგენს. აღნიშნული, ევროკავშირის ენერგოწარმოებისა და მოხმარების სექტორის მიერ სათბურის გაზების 75 პროცენტის გაფრქვევის ფონზე, მნიშვნელოვანია.<sup>56</sup> „მდგრადი მრეწველობის“ კონცეფციით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში იმალება. ვინაიდან დღესდღეობით მრეწველობა სათბურის გაზების 20 პროცენტამდე რაოდენობაზეა პასუხისმგებელი, ევროკომისიის მოქმედებათა მიზანს ნედლეულის ნარჩენების შემცირება და გადამუშავების სისტემების მოდერნიზაციის გზით პროდუქციის ხელახლა გამოყენება წარმოადგენს.<sup>57</sup> ევროკავშირის მწვანე შეთანხმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს „მშენებლობა და რესტავრაცია“ წარმოადგენს. ევროკავშირში ენერჯის წარმოების 40 პროცენტი დღესდღეობით შენობების ექსპლუატაციაზე მოდის, რაც ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევასთან პირდაპირ კავშირშია.<sup>58</sup> შესაბამისად, აღნიშნული სფეროს რეფორმა მშენებლობის სექტორში ენერგოეფექტური ინვესტიციების განხორციელებისკენაა მიმართული. ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნების მიღწევისას სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხის მატარებელ ტრანსფორმაციათა შორის „მდგრადი სოფლის მეურნეობაც“ გადის. კლიმატის საკითხებში ევროკომისარ ფრანს ტიმერმანის განცხადების თანახმად, „ფერმიდან თევზამდე სტრატეგიას ბუნების, სასურსათო სისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ახალ და უკეთეს ბალანსამდე მივყავართ, რათა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეთა ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ამავედროულად ვუზრუნველვყოთ ევროკავშირის მზარდი კონკურენტუნარიანობა და მედეობა“.<sup>59</sup> სურსათის წარმოების მიერ სასმელი წყლის 69 პროცენტის მოსხმარებისა და სათბურის აირების გაფრქვევის 25-30

<sup>54</sup> The Italian Association of Energy Economists (AIEE), Current and Future Challenges to Energy Security, Rome 2019, p. 267.

<sup>55</sup> European Commission, Proposal for a directive of the European Parliament and of the Council amending Directive 2003/87/EC establishing a system for greenhouse gas emission allowance trading within the Union, Brussels 2021, p. 1.

<sup>56</sup> European Commission, A Clean Planet for all A European strategic long-term vision for a prosperous, modern, competitive and climate neutral economy, COM/2018/773, 2019, Brussels, p. 6.

<sup>57</sup> European Commission, Circular economy action plan for a cleaner and more competitive Europe, Luxembourg 2020, pp. 6-7.

<sup>58</sup> European Commission, A Renovation Wave for Europe - greening our buildings, creating jobs, improving lives, Brussels 2020, p. 1.

<sup>59</sup> European Commission, From Farm to Fork: our food, our health, our planet, our future, Brussels 2020, p. 1.

პროცენტის ფონზე, ევროპის მწვანე შეთანხმებით დაწესებული ინდიკატორების მისაღწევად „მდგრადი სოფლის მეურნეობის“ სფეროში კანონმდებლობის შემოღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.<sup>60</sup> ევროკავშირის მასშტაბით სათბურის აირების 25 პროცენტზე პასუხისმგებელი სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზებაზე ორიენტირებული „მდგრადი მობილობის“ სექტორის როლი ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში მნიშვნელოვანია.<sup>61</sup> 2030 წლისთვის 30 მილიონი ნულოვანი დაბინძურების მქონე მანქანების გამოშვებისა და სწრაფმავალი სარკინიგზო ხაზების რაოდენობის გაორმაგების გეგმა აღნიშნულ სექტორებში სამუშაო ადგილების გაზრდის იმედს იძლევა. ევროპის მწვანე შეთანხმების ერთ-ერთი ასპექტი „ბიომრავალფეროვნების“ კონსერვაციის სტრატეგიას ეხება. მსოფლიო მშპ-ს ნახევარი ბუნებრივ გარემოზე დამოკიდებული პროცესების მიერ არის გამოყენებული. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებასთან ბრძლისთვის გამოყოფილი ევროპის ბიუჯეტის დაახლოებით 25 პროცენტი ორგანული მეურნეობის მეთოდების დანერგვის, დამტვერვის პროცესების მხარდაჭერის, პესტიციდების შემცირების, თავისუფლად მოძრავი მდინარეების აღდგენისა და ტყის მასივების გაშენებისკენ იქნება მიმართული.<sup>62</sup> (ძირითადად ნახშირორჟანგის გამომფრქვევი ქარხნებისა და მათ მიერ დაქირავებული მუშახელისაგან შემდგარი) შრომის ბაზრის გადასახედიდან „დაბინძურების ელიმინაციისკენ“ მიმართული ევროპის მწვანე შეთანხმების ერთ-ერთი სერიოზული ელემენტი თანაბრად მნიშვნელოვანია. ნულოვანი დაბინძურების სამოქმედო გეგმა 2050 წლისთვის ყველა სფეროში ნულოვან დაბინძურებას და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის გაწმენდას გულისხმობს. ევროპის მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებული ამბიციური მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანი საბოლოო სფერო „მდგრად დაფინანსებას“ შეეხება. ევროპის მწვანე შეთანხმების სტრატეგიის ზემოხსენებული ელემენტის ფინანსურად უზრუნველსაყოფად, ევროკომისიამ ევროპის მწვანე შეთანხმების ინვესტირების გეგმა შეიმუშავა (EGDIP), რომელიც ევროპის მდგრადი ინვესტირების გეგმის (SEIP) სახელითაცაა ცნობილი. EGD-ს ამოცანების განხორციელების მიზნით, ევროკომისიამ მომდევნო ათწლეულის განმავლობაში მდგრად განვითარებაში ინვესტირებისთვის სულ მცირე 1 ტრილიონი ევროს გამოყოფა განიზრახა.<sup>63</sup> საბიუჯეტო საკითხებზე მოლაპარაკებებისას, EGD-ს კონცეფციამ და მასთან დაკავშირებულმა პროგრამებმა კრიტიკის ნიაღვარი ეკოსისტემების დამაბინძურებელ ნავთობისა და ქვანახშირის საერთაშორისო კორპორაციებზე მეტად რეკოლუციური ეკოლოგიური ტრანსფორმაციის ქომაგი რადიკალი წრეებისგან დაიმსახურეს. თავის მხრივ, რამდენიმე წევრ სახელმწიფოთა ზოგიერთი ლიდერისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკის საფრთხის გამო, ევროპის მწვანე შეთანხმება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტრანსფორმაციას შემხებლობაში ყველაზე მეტად მყოფ ქვეყანათა ინტერესების გათვალისწინება უნდა ახლდეს თან, რაც მოწვევლად პროფესიონალთა ჯგუფებს სოციალური გარიყვისგან დაიცავს. შედეგად მიღებულ იქნა სამართლიანი ტრანზიციის მექანიზმი (JTM), რომელიც ტრანზიციიდან წარმოშობილი დანაკარგების მიმართ ყველაზე მეტად დაუცველ ეკონომიკურ სექტორებსა და გეოგრაფიულ რეგიონებზე ზრუნვას გულისხმობს.<sup>64</sup>

<sup>60</sup> Gladek, E., Fraser, M., Roemers, G., Sabag Muñoz, O., Kennedy, E., Hirsch, P., The global food system: an analysis, WWF Netherlands, Amsterdam 2017, p. 4.

<sup>61</sup> German National Academy of Sciences, Decarbonisation of transport: options and challenges, EASAC policy report 37, Halle 2019, p. 38.

<sup>62</sup> European Commission, EU Biodiversity Strategy for 2030. Bringing nature back into our lives, Brussels 2020, p. 17.

<sup>63</sup> European Commission, Sustainable Europe Investment Plan. European Green Deal Investment Plan, Brussels 2020, p. 6.

<sup>64</sup> European Commission, The Just Transition Mechanism: Making Sure No One Is Left Behind, Brussels 2020, p. 1.

## 2. ევროპის შრომის ბაზრის კრილში დანახული ევროპის მწვანე შეთანხმების უპირატესობები და არაუპირატესობები

ევროპის მწვანე შეთანხმება კლიმატის უსაფრთხოებაში გაკეთებული უდაოდ ძვირი ინვესტიციაა, რადგანაც იგი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთაგან საკმაოდ დიდი სახსრების გაღებასა და ბევრი სამუშაო ადგილის დაკარგვას მოიტანს, ვინაიდან ახალი რეგულაციებით გამოწვეული შეზღუდვები ეკონომიკური აქტივობის დაქვეითებას გამოიწვევს. მეორე მხრივ, ევროპის მწვანე შეთანხმებაში გაწერილი ზომების გაუთვალისწინებლობას კიდევ უფრო მეტი ზარალი შესაძლოა მოყვება, არა მარტო ფინანსური კუთხით, არამედ კლიმატის ცვლილებით გაწამებული რეგიონების მაცხოვრებელთა ჯანმრთელობის ხარჯის სახით. ევროპის მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებული ამოცანების შემუშავებისას, ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები მშრომელთა უფლებების მაქსიმალური დაცულობის, მუშახელის სიჯანსაღისა და ევროკავშირის მასშტაბით სოლიდარობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, რაც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და პარიზის შეთანხმების დებულებებთან სრულ თანხვედრაში იმყოფებოდა, რომელიც „სამუშაო ძალის სამართლიანი ტრანზიციისა და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნისას ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან შესაბამისობას“ გულისხმობს.<sup>65</sup> ბიზნესისთვის და ოჯახებისთვის ზოგიერთი ეკოლოგიური შეზღუდვით გამოწვეული ფინანსური ზარალის გათვალისწინებით, ევროკომისიამ კლიმატის ცვლილებასთან ბრძლისას უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად დამცავი ზომები შეიმუშავა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია კლიმატის სოციალური ფონდი, რომელიც 2025-2032 წლებში ყველაზე დაუცველი ოჯახებისთვის, ტრანსპორტით მოსარგებლეთათვის და მცირე მეწარმეთათვის 72.2 მილიარდი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს, რათა სატრანსპორტო და სამშენებლო საქმიანობისას გამოყენებულ საწვავზე შემოღებული ემისიის კონტროლით გამოწვეული სტრესი შეუმსუბუქოს.<sup>66</sup>

მეორე მხრივ, წევრ სახელმწიფოთა მიერ სათანადო ეკონომიკურ პოლიტიკასთან კომბინირებით, ევროპის მწვანე შეთანხმებას მწვანე და ინოვაციურ ეკონომიკურ სექტორებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა გააჩნია. როგორც ევროკომისია პროგნოზირებს, ეკონომიკის ეფექტურ და ეკოლოგიურად სუფთა გარემოდ ქცევას 2030 წლამდე ევროკავშირში 1 მილიონამდე, ხოლო 2050 წლამდე 2 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია.<sup>67</sup> ევროპის შრომის ბაზრისთვის უფრო დამაიმედებელი პროგნოზი „ენრსტი და იანგის“ (E&Y) ევროპის კლიმატის ფონდთან (ECF) ერთად ჩატარებული კვლევიდან მომდინარეობს. მხოლოდ ენერჯის სექტორში ახალი ენერჯის ფოროვოლტური წარმოების პროექტების განვითარებამ, ნაგავსაყრელის გაზის ან ბიომასის წარმოების ქარხნებთან ერთად, შესაძლოა ერთ მილიონზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა უზრუნველყოს.<sup>68</sup> მოხსენება სატრანსპორტო სექტორში დამატებით ერთი მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას დამუხტვითი ინფრასტრუქტურის მშენებლობაში, ნახშირბადის დაბალი შემცველობის

<sup>65</sup> United Nations, Paris Agreement, Paris 2015, p. 2.

<sup>66</sup> European Commission, Proposal for a regulation of the European Parliament and of the Council establishing a Social Climate Fund, Brussels 2021, p. 23.

<sup>67</sup> European Commission, Commission presents guide for a fair transition towards climate neutrality. Press release, Brussels 2021, p. 1.

<sup>68</sup> Ernst & Young, Perspectives on a European green recovery from the COVID-19 pandemic, 2021, p. 20.

მობილობაში, სწრაფმავალ სარკინიზო ხაზებში, თვითმავალი ტრანსპორტის განვითარებასა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაფართოებაში პროგნოზირებს.<sup>69</sup>რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, E&Y-ის დასკვნა პროგნოზირებს, რომ წრიულ ეკონომიკასთან დაკავშირებული პროექტები, ინდუსტრიული პროცესების გაუმჯობესება, არსებული ქარხნების გაფართოებული მოდერნიზაცია და ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიების შემუშავება დაახლოებით 300 000 ადამიანს დაასაქმებს.<sup>70</sup>მიწის დამმუშავებელი ქვე-სექტორი ტყის განაშენიანების პროექტებთან კომბინირებით მიწის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიების, სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და მიწის უტილიზაციის საშუალებით დაახლოებით 90 000 სამუშაო ადგილს შექმნის.<sup>71</sup>ენერგოეფექტურ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მშენებლობის სექტორიც საკმაო მოგებას ნახავს. ენერჯიაზე ნაკლებად დამოკიდებულების მიზნით შენობების მოდერნიზაციიდან და განახლებადი წყაროებიდან ენერჯის მომპოვებელი ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობებიდან აღნიშნული სექტორი უამრავ სამუშაო ადგილს უზრუნველყოფს. ევროკომისიის პროგნოზის თანახმად, 2030 წლისთვის 35 მილიონ შენობამდე რესტავრირებით მხოლოდ მშენებლობის სექტორში, შესაძლოა დამატებით 160 000 მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნას.

როგორც სხვადასხვა სფეროს ექსპერტები გვიჩვენებენ, ევროპის მწვანე შეთანხმების დებულებათა დეტალური გაანალიზებითა და ევროკავშირის ზედმეტად ოპტიმისტური შეხედულებებისგან მისი განცალკევებით, ევროკავშირის შრომის ბაზარზე მოსახდენ ცვლილებებთან დაკავშირებით, შესაძლოა კიდევ უფრო მეტად კრიტიკული კომენტარებიც კი გავაკეთოთ. ევროკომისია საკმაოდ ამბიციურად პროგნოზირებს, რომ სამთო მომპოვებით და ნამარხ საწვავთა გადამამუშავების სექტორში წარმოშობილი სამუშაო ადგილების დაკარგვა ნედლეულის გადამამუშავებისა და აღდგენის დინამიურად მზარდი სექტორისა და განახლებადი ენერჯის წყაროების საექსპლუატაციო მოწყობილობების წარმოების მიერ იქნება დაკომპენსირებული. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სამუშაო ადგილები დაბალ კვალიფიკაციას მოითხოვს და შესაბამისად დაბალანაზღაურებადიცაა. გარდა ამისა შიშობენ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი და განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის განვითარება, ხსენებულ სექტორებში გამოყენებული პროცესების სრულ ავტონომიზაციამდე მიგვიყვანს. სიმართლესთან ასე ახლოს მდგომი რისკი, ევროკომისიის ოპტიმისტურ პროგნოზებს ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ პოტენციური სამუშაო ადგილებთან დაკავშირებული სტატისტიკა გაზვიადებულია. სხვა პრობლემათა შორის ახალი რეგულაციების შემოღებით შრომის ბაზარზე მომხდარი ცვლილების სისწრაფეც მოიაზრება, როგორცაა ეკონომიკის ბევრ სექტორში ნახშირბადის დაბალი შემცველობის გადაწყვეტების დანერგვა. აღნიშნულმა ტრანზიციამ შესაძლოა შეგუების პროცესის დროში გაწელვა გამოიწვიოს, ვინაიდან ამას სამუშაო ადგილების დაკარგვა ან კვალიფიციური მუშახელის გადინება მოყვებს. ხსენებულმა სიტუაციამ, შესაძლოა სტრუქტურული და ტექნოლოგიური უმუშევრობის მკვეთრი ზრდა გამოიწვიოს. სხვა ასპექტებს შორის ევროპის მწვანე შეთანხმების შედეგად წარმოშობილი ახალი სამუშაო ადგილებით მიღებული სარგებლის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა და

<sup>69</sup> Ernst & Young, Perspectives on a European green..., op. cit., p. 24.

<sup>70</sup> Ibid, p. 32.

<sup>71</sup> Ibid, p. 36.



დიდ კორპორაციებთან მიმართებით არათანაბარი განაწილების რისკი შესაძლოა აღმოჩნდეს. მაგალითად, სუბსიდიებისა და სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათების მიმღები საავტომობილო ბაზრის გიგანტები მდგრადი და ჰკვიანური მობილობის სტრატეგიის ბენეფიციარებად ეჭვგარეშედ იქცევიან, რაც ელექტრო მანქანებისა და ნაწილების წარმოების სექტორში მათ კონკურენტულ უპირატესობას უცილობლად გაზრდის.

## დასკვნა

ზოგიერთი პოლიტიკოსის, ეკონომისტისა და პროფკავშირების წევრის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომ ევროკავშირის კლიმატ-პოლიტიკა დინამიურ ეკონომიკურ ზრდას, სრულმასშტაბიან დასაქმებასა და კლიმატის ცვლილებას შორის არჩევანს განაპირობებს, მაცდარია. პირიქით, ევროპის მწვანე შეთანხმება შესაძლოა გარემოს პროგრესული დეგრადაციისა და გლობალური დათბობის წინააღმდეგ გარანტიადაც კი იქცეს, თან დართული მწვანე ეკონომიკისა და ახალი მწვანე სამუშაო ადგილების შექმნითურთ.

ევროკავშირის წარმატებული კლიმატ-პოლიტიკა შორსმომავალ ინვესტიციებს უნდა ემყარებოდეს, რაც ეკონომიკის ეკოლოგიურად სუფთა ზრდაზე გადასვლის დაფინანსებასა და კლიმატის ცვლილების გაუარესებას შეუშლიდა ხელს. ამავდროულად, უახლოესი პერიოდის განმავლობაში საზოგადოების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით, კლიმატის პოლიტიკა მთლიანი პოპულაციის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობას უნდა ასახავდეს. ევროპის მწვანე შეთანხმების შედეგებთან დაკავშირებით ევროპელი ლიდერები მოსახლეობასთან ღიად და გულახდილად უნდა საუბრობდნენ. აღნიშნული ტრანზიციის მხოლოდ სარგებელს კი არ მოიტანს, არამედ უამრავი სამუშაო ადგილის დაკარგვასა და ნაკლებად დამაბინძურებელ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებული კოლოსალური რაოდენობის ხარჯებსაც გამოიწვევს. საზოგადოებას მოგზაურობის, მოხმარების და ენერჯის გამოყენების არსებულ გზებში ცვლილებებისთვის თვალის გასწორებაც მოუწევს. ეკონომიკის ზრდის ეკოლოგიურად სუფთა და ინოვაციური წყაროების, ისევე როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მხოლოდ გამოწვევებთან გამკლავების და მსხვერპლის გაღების ფასადაა შესაძლებელი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კრიტიკის სახით გაანალიზებული პუბლიკაციების გვერდებზე გვხვდება, არსებული ბიზნეს მოდელების ნულოვანი დაბინძურების მქონე ეკონომიკაზე გადასვლის საკითხს ეხება, რაც პროფესიონალური უნარებისა და ზოგიერთ საწარმოში ინფრასტრუქტურის გადახალისებაში კოლოსალური რაოდენობის ინვესტიციებს მოითხოვს. ხსენებული მიზნით გაღებული თანხები კი სწრაფ ეკონომიკურ სარგებელსა და განსაკუთრებით დაუცველი პროფესიონალური ჯგუფების მიერ ეკონომიკის ახალ სექტორში სამუშაო ადგილების პოვნის გარანტიას არ იძლევა. ლოგიკურია, რომ ევროკავშირის მიერ გამოსაყოფი 1 ტრილიონი ევრო ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნების მისაღწევად შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს. ევროკავშირის მიერ 2008 წლის ეკონომიკური კრიზისიდან საბანკო სექტორის გადარჩენის მიზნით უფრო მეტი სახსრების გამოყოფა, უფრო რადიკალური ტრანსფორმაციის მომხრე ადამიანებშიც კი იწვევს აღნიშნული ფინანსური პერსპექტივით იმედგაცრუებას.

ევროკავშირისთვის ევროპის მწვანე შეთანხმებით გაწერილი ამბიციური გეგმების განხორციელება მთავრობის ყველა დონეზე თანამშრომლობას, წევრ სახელმწიფოთა შორის



სოლიდარობას, პროფკავშირების ნდობასა და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერას მოითხოვს. ცალკეული სახელმწიფოს ან მოწყვლადი ჯგუფის ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების რომელიმე მხრიდან ღალატის შემთხვევაში, კლიმატის პოლიტიკის თვალსაზრისით წლების განმავლობაში უმოქმედობა კლიმატის ცვლილების შედეგებს კიდევ უფრო გააუარესებს, რაც ოჯახებს, ბიზნესებს თუ მშრომელებს უკვე ისედაც მძიმედ აწევს. სოლიდარობისა და თანაშრომლობის არარსებობის შემთხვევაში გამარჯვებულებიც არ იარსებებენ, ხოლო უმოქმედობა არჩევანს არ ნიშნავს.

### ბიბლიოგრაფია

1. Clement, Viviane, Rigaud, Kanta Kumari, de Sherbinin, Alex, Jones, Bryan, Adamo, Susana, Schewe, Jacob, Sadiq, Nian, Shabahat, Elham. Groundswell Part 2: Acting on Internal Climate Migration. The World Bank. Washington 2021;
2. Dahl Martin, The European Green Deal and the social market economy, Sprawy Międzynarodowe, 74(3), 2021;
3. Ernst & Young, Perspectives on a European green recovery from the COVID-19 pandemic, 2021;
4. European Commission, A Clean Planet for all A European strategic long-term vision for a prosperous, modern, competitive and climate neutral economy, COM/2018/773, Brussels 2019;
5. European Commission, A Renovation Wave for Europe - greening our buildings, creating jobs, improving lives, Brussels 2020;
6. European Commission, Circular economy action plan for a cleaner and more competitive Europe, Luxembourg 2020;
7. European Commission, Commission presents guide for a fair transition towards climate neutrality. Press release, Brussels 2021;
8. European Commission, EU Biodiversity Strategy for 2030. Bringing nature back into our lives, Brussels 2020;
9. European Commission, From Farm to Fork: our food, our health, our planet, our future, Brussels 2020;
10. European Commission, Proposal for a directive of the European Parliament and of the Council amending Directive 2003/87/EC establishing a system for greenhouse gas emission allowance trading within the Union, Brussels 2021;
11. European Commission, Proposal for a regulation of the European Parliament and of the Council establishing a Social Climate Fund, Brussels 2021;
12. European Commission, Sustainable Europe Investment Plan. European Green Deal Investment Plan, Brussels 2020;
13. European Commission, Sustainable growth for all: choices for the future of social Europe. Executive Summary, Brussels 2019;
14. European Commission, The Just Transition Mechanism: Making Sure No One Is Left Behind, Brussels 2020;
15. German National Academy of Sciences, Decarbonisation of transport: options and challenges, EASAC policy report 37, Halle 2019;
16. Gladek Eva, Fraser, Matthew, Roemers, Gerard, Sabag Muñoz, Oscar, Kennedy, Erin, Hirsch, Peter, The global food system: an analysis, WWF Netherlands, Amsterdam 2017;
17. Guttman Robert, Eco-Capitalism: Carbon Money, Climate Finance, and Sustainable Development, Palgrave Macmillan, 1st ed., 2018;

18. Italian Association of Energy Economists (AIEE), Current and Future Challenges to Energy Security, Rome 2019;
19. Swiss Re Institute, The economics of climate change: no action not an option. Zurich 2021;
20. United Nations, Paris Agreement, Paris 2015;
21. World Health Organization, Climate change and health vulnerability and adaptation assessment. Geneva 2021.

## ევროპის „მწვანე შეთანხმება“ და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე

### ქეთევან ვებერიშვილი-ნობაძე

ასოცირებული პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### ელენე ფანცხავა

ასოცირებული პროფესორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### თამარ კანაშვილი

დოქტორანტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ენერგეტიკა თანამედროვეობის არამარტო ეკონომიკური, ეკოლოგიური, კლიმატური, არამედ პოლიტიკური გამოწვევებისა და რისკების საკვანძო დარგია. გლობალური კლიმატის ცვლილებების პირობებში ენერგეტიკის სექტორს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. მზის, ქარის, ჰიდრორესურსების, გეოთერმული ენერჯისა და ბიომასის გამოყენების ზრდა, სათბურის აირების ემისიის შემცირებისა და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებული ეკონომიკის სუფთა წყაროებზე გადართვის საშუალებას იძლევა. ევროკავშირის მიზნები – ჩაანაცვლოს ტრადიციული ენერჯია განახლებადით – ყოველ ჯერზე უფრო ამბიციური ხდება. გლობალური მწვანე შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის ეკონომიკური ხედვის საფუძველი უნდა იყოს, დამატებით სტიმულს იძლევა ამისთვის.

ნაშრომში ჩატარებული გვაქვს საქართველოს ენერგეტიკის ენერგო ეკონომიკური ანალიზი; განხილული გვაქვს ენერგეტიკული სექტორის სამიზნე მაჩვენებლები და მახასიათებლები; აქვე ვაყალიბებთ ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტიანობის დონის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ამოცანებს; ვსახავთ გზებსა და მიმართულებებს ამ პრობლემების გადასაჭრელად.

საქართველო უნდა ეცადოს ჩაერთოს საერთო რადიკალური, რეგულაციური ცვლილებების ფერხულში, რასაც „მე-4 ენერგეტიკული გადასვლა“ ჰქვია. ამ გადასვლით წიაღისეული საწვავის გამოყენება უახლოეს 10 წელიწადში მინიმუმამდე იქნება შემცირებული, ხოლო 2050 წელს მთელ მსოფლიოში „ნახშირბადნეიტრალურ“ ენერჯიებზე სწორებაა გამოცხადებული. მზისა და ქარის ენერჯიების გამოყენებას სარეზერვო სიმძლავრეები სჭირდება, რომლის უიაფესი წყარო ისევ ჰიდრო ენერგეტიკაა. ნაშრომში დასაბუთებული და გაანალიზებული გვაქვს ჰიდრორესურსების ათვისების აუცილებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები და

ვიძლევიტ კვლევებზე დაყრდნობილ რეკომენდაციებს. ჩვენი აზრით, ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროპულთან ეტაპობრივი დაახლოება, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას, მიზნიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებას და ენერგოეფექტიანობაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

ევროპის მწვანე შეთანხმება არის გრძელვადიანი გზა დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლისთვის, პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. იგი ევროპას მოიაზრებს, როგორც პირველ ნახშირბადნეიტრალურ კონტინენტს 2050 წლისთვის. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირი გეგმავს 2030 წლისთვის ემისიების 50%-ით შემცირებას 1990 წელთან შედარებით. ბუნებრივია, ამის მიღწევა მხოლოდ შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების მიღებითა და განხორციელებით იქნება შესაძლებელი. შესაბამისად, ჩვენი ნაშრომი განიხილავს მწვანე შეთანხმების ძირითად არსს, მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და მის გავლენას აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალზე, განსაკუთრებით საქართველოზე.

**საკვანძო სიტყვები:** ენერგეტიკული კანონმდებობა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, ემისიების შემცირება, განახლებადი ენერჯის წყაროები.

## შესავალი

სტატიაში წარმოდგენილია ალტერნატიული ენერჯის წყაროების (ჰიდრორესურსების, მზის, ქარის, გეოთერმული წყლების, ბიომასის და წყალბადის) პოტენციური, ეკონომიკური და პროგნოზული მარაგები. მრავალწლიანი კვლევის შედეგების განზოგადების საფუძველზე ჩატარებული გვაქვს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ქვეყნის ამჟამად არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენციები.

სტატიაზე მუშაობისას დეტალურად გავეცანით ევროპის მწვანე შეთანხმებას, ჩავატარეთ საქართველოს ენერგეტიკის ენერგო-ეკოლოგიური ანალიზი, განვიხილეთ ენერგეტიკული სექტორის სამიზნე მაჩვენებლები და მახასიათებლები, ჩამოვყალიბეთ ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტიანობის დონის ამალლების უმნიშვნელოვანესი ამოცანები, დავსახეთ გზები და მიმართულებები ამ პრობლემების გადასაჭრელად და შევიმუშავეთ რეკომენდაციები მოკვლეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით.

### 1. საქართველოს ენერგეტიკული რესურსები

ევროპის „მწვანე შეთანხმების“ განხორციელებისთვის რამდენად მზადაა ჩვენი ქვეყანა?

როგორც ვიცით, 2014 წელს საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებით აიღო ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის მესამე პაკეტთან ჰარმონიზაციის ვალდებულება.



საინტერესოა, რა წინსვლა გამოიწვია ქვეყანაში ამ პროცესმა და რამდენად არის თანხვედრაში ჩვენი ენერგეტიკის სექტორის პოლიტიკა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნებთან?

ზოგადად, ნებისმიერი დარგის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი კანონების არსებობა ქვეყანაში, სტრატეგიული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, განმახორციელებელი კონკრეტული ორგანოების არსებობა და მათი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა, სისტემური სამეცნიერო თუ მცირე პრაქტიკული კვლევების წარმოება, საჭირო ტექნოლოგიებზე წვდომა, სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობა და სხვა. საინტერესოა რა გამოწვევების წინაშე დგას ენერგეტიკის სექტორი და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ იგი გაძლიერდეს და განვითარდეს?

საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის მიხედვით, ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგო პოლიტიკა გამოყოფს დარგის ძირითად მიმართულებებს:

1. ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა;
2. საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება;
3. საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება;
4. საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერჯით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება;
5. საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის როლის გაზრდა;
6. სუფთა ენერჯის წარმოება და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად გახდომა;
7. ენერგოეფექტურობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება;
8. ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოს დაცვითი კომპონენტების გათვალისწინება;
9. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა;

ენერგეტიკის პოლიტიკის 2015 წელს დასახული ამ მიმართულებების მიუხედავად, რომლებიც სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, ქვეყანას დღემდე არ აქვს ენერგეტიკის სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობდა მუშაობა განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტიანობის სამოქმედო პროგრამებზე, თუმცა არცერთი დოკუმენტი არ დამტკიცებულა. ქვეყანას ასევე არ აქვს განსაზღვრული 2022 წლისთვის ენერჯის განახლებადი წყაროების წილი მთლიან მოხმარებულ ენერჯიაში, არადა საქართველო ძალზე მდიდარია განახლებადი, არატრადიციული ენერგორესურსებით, თუმცა მისი ათვისების დონით ვერ დაიკვეხნის, მიუხედავად თანმიმდევრულად. საქართველოს

განახლებადი რესურსების განხილვისას უნდა ვახსენოთ უპირველეს ყოვლისა, ჰიდროენერგია, მზის, ქარის, გეოთერმალური წყლის, ბიომასის და წყალბადის ენერგია.

## 2. ჰიდროენერგეტიკა

ჩვენი მდინარეები შეიცავს უზარმაზარი სიდიდის ჰიდრავლიკურ ენერგიას და გარკვეულწილად ავსებს სათბობის ნაკლებობას ქვეყანაში. საქართველოში მძლავრი ჰიდროენერგორესურსების არსებობა უშუალოდ დაკავშირებულია მის მთიან რელიეფთან. კავკასიონისა და მცირე კავკასიონის მთებიდან გამომდინარე წყლის ნაკადები მოკლე მანძილზე მკვეთრი ვარდნის გამო ჰიდროენერგიის მძლავრ მარაგს ქმნიან. ეს განსაკუთრებით შეეხება დასავლეთ საქართველოს. მთლიანობაში, საქართველოს ტერიტორიაზე 26 ათასი მდინარეა აღრიცხული. მათი საერთო სიგრძე კი დაახლოებით 60 ათასი კმ-ია.

საქართველოს „ჰიდროპროექტის“ მონაცემებით მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 319 მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე უდრის 15,63 მლნ კვტ., ხოლო საშუალო წლიური ენერგია – 135,8 მლრდ. კვტ.სთ.<sup>1</sup>

საქართველოში ჰიდროენერგომშენებლობისათვის ხელსაყრელ პირობებს ისიც ქმნის, რომ აქ აღრიცხული 319 მდინარის ტექნიკური ჰიდროენერგორესურსების 40% რვა მთავარ მდინარეზე (მტკვარი, რიონი, ენგური, ცხენისწყალი, კოდორი, ბზიფი, ხრამი და არაგვი) მოდის. ეკონომიკური ჰიდროენერგორესურსების განაწილება მდინარეების მიხედვით მოცემულია ცხრილში №1-ში.

**ცხრილში №1. საქართველოს მდინარეების ეკონომიკური პოტენციალი;**

მდინარე	ეკონომიკური პოტენციალი, მლრდ კვტსთ/წ	წილი ეკონომიკური რესურსებიდან,%
ენგური	10,7	27,4
რიონი ცხენისწყალით	8,3	21,3
კოდორი	5,7	14,6
თუშეთის ანლაზანი	3,8	9,7
მტკვარი არაგვით	3,5	9,0
ბზიფი	2,5	6,4
ხრამი და ფარავანი	2,0	5,1
შაორი და ტყიბულა	0,8	2,1
მცირე მდინარეები	1,7	4,4
სულ	39,0	100,0

<sup>1</sup>ჩომახიძე, დ., ჩომახიძე, ხ., ჩომახიძე, ი., „ენერგეტიკის მენეჯმენტის თავისებურებები და პრინციპები“, თბილისი 2020.

განსაკუთრებით მდიდარია საქართველო შედარებით პატარა მდინარეებით. მათი ტექნიკური პოტენციალი, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის მონაცემებით, წლიურად 12,3 მლრდ. კვტ.სთ-ს შეადგენს.

გასულ წლებში ამ ინსტიტუტში დამუშავდა მცირე და საშუალო მდინარეთა გამოყენების 300 სქემა, მათ შორის 229 მცირე მდინარისა. ამ მდინარეებზე შეიძლება აიგოს მცირე ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა ერთეული სიმძლავრე იქნება 1-დან 20 მეგავატამდე. 229 მცირე ჰესი შეიძლება განლაგდეს ქვეყნის 47 რაიონში. მათ შორის 155 შეიძლება აშენდეს დასავლეთ საქართველოს 28 რაიონში და 73 აღმოსავლეთ საქართველოს 19 რაიონში. მცირე ჰესების საერთო სიმძლავრე შეადგენს 2,1 მლნ კვტ-ს. ისინი შეძლებენ წლიურად გამოიმუშაონ 12,3 მლნ კვტსთ ელექტროენერგია. აქედან დასავლეთ საქართველოზე მოდის სიმძლავრის 66,7% და გამოიმუშავების 68, 38%. აქ მოტანილი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო ჰიდრორესურსების ტიპური ქვეყანაა. იგი გონივრული ათვისების შემთხვევაში თბოსიმძლავრესთან ერთად არა მარტო უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნებს ელექტროენერგიაზე, არამედ საშუალებას მოგვცემს იაფი ენერჯის გარკვეული ნაწილი მიეწოდოს მეზობელ სახელმწიფოებს.<sup>2</sup>

### 3. ქარის ენერჯია

საქართველო ქარის მნიშვნელოვან ენერგეტიკულ პოტენციალს ფლობს, რომელიც ახლა პრაქტიკულად არ გამოიყენება. როგორც სპეციალური გამოკვლევები გვიჩვენებს, თეორიულად საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერჯის მარაგი შეადგენს 1,31012 კვტსთ-ს წლიურად, ხოლო წამში 4,0-ზე მეტი სიჩქარის ქარის ენერჯის მარაგი ცაკლელ ზონაში წლიურად თითქმის 4,5 მლრდ. კვტ.სთ-ს აჭარბებს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით, ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მერყეობს წამში 0, 5-0,9 მეტრის ფარგლებში. სიჩქარის შემცირება შეიძლება ქარისაგან შედარებით დაცულ ადგილებში – ღრმა ხეობებში, კახეთის მთებში და დაბლობებზე. მაღალი სიჩქარე (6 მ/წმ მეტი) დამახასიათებელია დიდი კავკასიონისა და სამხრეთ საქართველოს მაღალი და ღია ადგილებისათვის. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში ხშირად ქარის სიჩქარე სჭარბობს წამში 15 მეტრს. ასეთი ადგილებია: რიონისა და მტკვრის ხეობები. პირველ შემთხვევაში ქარი თავის მაქსიმალურ სიჩქარეს აღწევს ქ. ქუთაისში, მეორე შემთხვევაში – თბილის-სამგორში. ამ რაიონებში საშუალოდ წელიწადში ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი 35 აღწევს. აღნიშნული მაჩვენებელი ქუთაისში უდრის 88-ს, თბილისში – 132-ს, ცალკეულ წელს ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი ქუთაისში სჭარბობს 120-ს, თბილისში – 170-ს. ძლიერი ქარების დიდი სიხშირე აღნიშნულია ღია მთის მწვერვალსა და უღელტეხილზე. ასე მაგალითად, ყაზბეგში ძლიერ ქარიან დღეთა რიცხვი წლიურად შეადგენს საშუალოდ 98-ს, მთა-საბურთეში – 142-ს; აქ მაქსიმუმი – 222 დღე აღინიშნა 1954 წელს. საქართველოს ტერიტორია დარაიონებულია ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტანციალის მიხედვით. კერძოდ, მთელი ტერიტორია დაყოფილია 5 ზონად. პირველ ზონაში (5000 საათამდე მეტი სამუშაო პერიოდის ხანგრძლივობით) შედის ნინოწმინდის, ახალ ქალაქის, ონის, ქუთაისის რაიონები. აქ ეფექტიანად შეიძლება გამოვიყენოთ ყველა სიმძლავრის ქარის აგრეგატები. მეორე ზონაში

<sup>2</sup> ჩომახიძე, დ., „საქართველოს ენერგეტიკა ციფრებში“, (დარგის განვითარების ეკონომიკურ-სტატისტიკური ნიშნულები), თბილისი, 2021.

(ქობულეთი, გარდაბანი, ყაზბეგი და სხვა რაიონები). აქტიური ქარების საერთო ხანგრძლივობა წლიურად არსევეს 4500-5000 სთ-ს. აქ მიზანშეწონილია უპირატესად საშუალო (რამდენიმე ასეული კილოვატი სიმძლავრის) ქარის დანადგარების ექსპლუატაცია. დანარჩენ ზონებში, სადაც ქარის გამოყენებისათვის შესაფერისი ტერიტორიის დიდი ნაწილი განლაგებულია ხაშურის, გორის, ლანჩხუთის, ცხინვალისა და სხვა რაიონებში წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ პატარა სიმძლავრის ქარის ძრავები.<sup>3</sup>

საქართველოს ტერიტორიის არსებული მიკრორელიეფი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქარის რეჟიმისათვის. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მტკვრისა და რიონის ხეობებში. დასავლეთში ყველაზე უფრო ქარიანი უბანია ფოთი-სუფსის რაიონში და სურამის ქედის სიახლოვეს. აღმოსავლეთში – გორი, თბილისი. ამ ზონაში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 4მ/წმ-ს აჭარბებს, მაშინ როდესაც მთელ ტერიტორიაზე აღნიშნული მაჩვენებელი 0, 5-0,9 მეტრის ფარგლებშია. ცხრილ N2-ში მოცემულია ქარის აქტიური სიჩქარის ჯამური ხანგრძლივობა წლის სეზონების მიხედვით.

**ცხრილი №2.** ქარის აქტიური სიჩქარის ჯამური ხანგრძლივობა წლის სეზონების მიხედვით;

სადგური	ქარის სიჩქარე							
	ზამთარი		გაზაფხული		ზაფხული		შემოდგომა	
	≥ 3	≥ 6	≥ 3	≥ 6	≥ 3	≥ 6	≥ 3	≥ 6
გაგრის ქედი	1029	445	959	356	503	87	904	312
მამისონის ულელტეხელი	1856	895	1605	606	1753	599	1766	751
ყაზბეგი (მაღალმთიანი)	1132	872	1143	810	1085	687	1231	921
ჩხრაწყარო	1800	1100	1753	923	1615	791	1566	635
როდიონოვკა	1469	687	1373	448	1502	401	1453	412
ფოთი	1210	573	1222	421	1126	162	722	261
ბათუმი	1782	896	1382	420	1520	204	1558	533
ჟვარი	1066	789	884	549	467	196	1072	726
სამტრედია	1121	452	1134	407	716	132	737	255
ქუთაისი	1635	959	1688	1002	1323	569	1368	640
საბუეთი(მთა)	1724	1055	1871	1146	1805	958	1727	1058
ქობულეთი	1037	444	1091	418	779	202	930	359
სკრა	862	535	1492	834	1459	567	1204	599
თბილისი აეროპორტი	894	663	1194	802	1396	908	954	639
რუსთავი	861	513	1140	648	1237	700	893	475
მარტყოფი	755	521	836	568	892	670	762	531

<sup>3</sup> ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე., ფანცხავა, ე., განახლებადი, არატრადიციული ენერგო-რესურსების მენეჯმენტი და მათი ათვისების პროგრამის დამუშავება საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისათვის“. 22-24 თებერვალი, 2019 წ., ბაქო, აზერბაიჯანი.

საერთოდ, ქარის ენერგეტიკული ბუნებრივი პოტენციალის მიხედვით დარაიონებული 5 ზონიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი და მეორე ზონები. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოკვეთილია ქარის სიჩქარეთა სეზონური ხასიათი წლის მთელ პერიოდში. დიდი და მცირე კავკასიის მაღალმთიან ზონაში, აგრეთვე, კოლხეთის დაბლობზე ქარის საშუალო თვიური სიჩქარის მაქსიმალური მნიშვნელობა აღინიშნება ზამთრის პერიოდში ნოემბრიდან მარტის ჩათვლით, ხოლო მინიმალური – ზაფხულში მაისიდან აგვისტოს ჩათვლით.

ქარის რესურსების განსაზღვრისა და მისი პრაქტიკული გამოყენებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში ქარის ენერგეტიკული კადასტრის შედგენას. ამ მიმართულებით საქართველოში ინტენსიური სამუშაოები წარმოებდა. ჯერ კიდევ 1959 წელს ა.გ. ბალაბუევმა და ი.ს. მესხმა თეორიულად შეაფასეს ქვეყნის ტერიტორიაზე ქარის ენერჯის მარაგი, აგრეთვე, გამოითვალეს ამ ენერჯის შესაძლო გამომუშავების ოდენობა. მოგვიანებით კი ე.მ. სუხიშვილმა ჩაატარა გამოკვლევები ქარის სიჩქარისა და მიმართულებების შესახებ, შეადგინა რუკა ამ მეტეოპარამეტრების განაწილების მდგომარეობაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული სამუშაოები წარმოებდა ამიერკავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ჰიდრომეტეოროლოგიურ, აგრეთვე, ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრში, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ქარენერგოში“ (ამ ორგანიზაციამ 2004 წელს გამოსცა „საქართველოს ქარის ენერგეტიკული ატლასი“), სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში. აღნიშნულ ორგანიზაციებში, გარდა უკანასკნელისა, ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ენერჯის სხვა არატრადიციულ სახეებზეც. ქარის ენერჯის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა მეტეოსადგურებს.<sup>4</sup>

სწორედ აღნიშნული მასალები უდევს საფუძვლად საქართველოში ქარის ენერჯის არსებული რესურსების შეფასებას, რომელიც ზემოთ არის მოცემული.

#### 4. მზის ენერჯია

„ჰიდრომედცენტრის“ მონაცემებით, მზის საერთო გამოსხივების სიმძლავრე შეადგენს 4,1023 კილოვატს. აქედან დედამიწამდე მოდის დაახლოებით 1014 კილოვატი სიმძლავრე, რაც შეესაბამება 1015 კვტ სთ ენერჯიას. მზის განაწილება დედამიწაზე მეტისმეტად არათანაბარია და საშუალოდ 1 კვ მ-ზე 1 კვტ-ს უდრის. საქართველო, როგორც სამხრეთის ქვეყანა, მზის ენერჯიით მდიდარია და მდებარეობს ე.წ. „მსოფლიოს მზის სარტყელში“ (ჩრდ. განედის 45° – სამხრეთ განედის 45°). მზის ენერჯის თეორიული რაოდენობა, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე ხვდება წლის განმავლობაში, აღწევს 1014 კვტს-ს, ანუ 32,5 მლრდ. ტონა

<sup>4</sup> ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ., ფანცხავა, ე., „ენერგოეფექტურობა – ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია, თანამედ-როვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები. 2019. 20-21 სექტემბერი.





აზრით, მათი ინფორმირებულობის გაზრდის შემთხვევაში, მოხმარების პრაქტიკაც მალევე გაიზრდება.

**5. თერმული წყლები**

ეს რესურსები მიწის სიღრმისეული სითბოს ერთ-ერთი ყველაზე შესწავლილი სახეა და დაკავშირებულია მიწისქვეშა თერმულ წყლებთან. საქართველო ასეთი წყლებით მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა. თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპერატურა 50-110°C) შეადგენს 250 მლნ კუბურ მეტრს. თერმული წყლები თბოენერგეტიკული მიზნით გამოიყენებოდა კომუნალურ მეურნეობაში (თბილისი, ზუგდიდი, საბერძო, რეზხი, კინდლა), სასათბურე კომბინატებში (ოხურეი, კინდლა, ანარა, ვანი, კოდორი), ტექნოლოგიური საჭიროებისათვის ჩაის მრეწველობაში (კინდლა, ზუგდიდი), ბალნეოლოგიურ კურორტებზე (თბილისი, სამტრედია, ნაქალაქევი, უჯარმა, მენჯი, სიმონეთი, ყვარელი), მელორეობის ფერმებში (ხოზი, მცხეთა) და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე თერმული წყლების პროგნოზული მარაგი განლაგებულია შემდეგი აუზების მიხედვით (იხ. ცხრილი №4).

**ცხრილი №4.** თერმული წყლების ძირითადი აუზები და პროგნოზული მარაგები;

აუზები	მლნ.კუბ.მ წლიურად	%-ად ჯამის მიმართ
დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობი	2	0,8
აფხაზეთი	34	13,6
კოლხიდა	81	12,4
იმერეთი	50	20,0
აჭარა-თრიალეთი	36	34,4
თბილისისპირა რაიონი	40	16,0
სამხრეთ საქართველო	7	2,8
საქართველო-სულ	250	100,0

ყველაზე მაღალი ტემპერატურისაა (80-106°C) ოხურეის, ზუგდიდის, ცაიშის, კინდლის კვალონის ჭაბურღილები; მნიშვნელოვანია იმ საბადოთა რაოდენობაც, სადაც წყლის ტემპერატურა დაახლოებით 50 გრადუსია. ასეთებია თბილისის, ყულევის, სამტრედიის, მენჯის, რეზხის და სხვა ჭაბურღილები. წყალტუბოს, მოქვის, ციხისჯვარის, ბესლეთის, უდაბნოს, ახალდაბის, სულორისა და სხვა საბადოთა ტემპერატურა 30-40°C ფარგლებშია, მათი წყლის საშუალო ტემპერატურა კი დაახლოებით 80°C.

რაც შეეხება მინერალიზაციის მაჩვენებელს, საქართველოს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო ეკოლოგიის სექტორის მონაცემებით, იგი უმრავლეს შემთხვევაში მერყეობს ლიტრზე 0,9-2,2 გრამის ფარგლებში, ხოლო ეს მაჩვენებელი დაახლოებით 1 გრ-ის ოდენობით აღინიშნება მიღებული წყლის ნახევარზე მეტში. დაბალია გაზშემცველობაც.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოს თერმული წყლების საბადოებში არსებობს 206 ჭაბურღილი, 8 წყარო, ტემპერატურა მერყეობს დიდ ფარგლებში და ზოგან 105-108°C აღწევს

(მოქვი, კინდლი), საერთო დებიტი შეადგენს 135599 მ<sup>3</sup>/დღ, თბური სიმძლავრე – 307,1 მგვტ, მას შეუძლია წლიურად დაზოგოს 458,4 პირობითი სათბობი.

### 6. ბიოსაწვავი

ალტერნატიულ ენერგორესურსებს მიეკუთვნება აგრეთვე ენერგია, რომელიც მიიღება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სექტორის ორგანული ნარჩენების ბიოლოგიური გადამუშავების პროცესში. ამ დროს მიღებულმა ბიოგაზმა შეიძლება დაფაროს ენერგეტიკული დატვირთვის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ცნობილია, რომ თითოეული კუბური მეტრი ბიოგაზის თბოუნარიანობა ცვალებადობს 5500-5800 კილოკალორიის ფარგლებში. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საქართველოს პირობებში ბიომასის გამოყენებით წლიურად შეიძლება დაიზოგოს დაახლოებით 20 ათასი ტონა პირობითი სათბობი.

ბიოსაწვავიდან საქართველოში მნიშვნელოვანია შემის გამოყენება. 2018-2021 წლებში ქვეყანაში შემის წარმოება შეადგენდა 1000 კუბურ მეტრს. სხვადასხვა სახის ბიომასის ნარჩენების რაოდენობა მათი ენერგოპოტენციალის და მისი გამოყენებით დაზოგილი თანხების მნიშვნელობები მოცემულია №5 ცხრილში.

**ცხრილი №5.** ბიომასის ნარჩენების რაოდენობა და მათი ენერგო პოტენციალი;

ბიომასის სახეობა	რაოდენობა (10 <sup>3</sup> ტონა)	ენერგია (10 <sup>9</sup> კვტსთ)	დაზოგილი წიაღის სათბობი	ღირებულება (10 <sup>6</sup> აშშ დოლარი)
მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნარჩენები	870	1,3	112 · 10 <sup>3</sup> ტნე	80
მეცხოველეობის და მეფრინველეობის ნარჩენები	1670	6,9	760 · 10 <sup>6</sup> გ <sup>3</sup> ბუნ. აირი	176
საყოფაცხოვრებო ნარჩენები	900	0,6	53 · 10 <sup>6</sup> გ <sup>3</sup> ბუნ.აირი	14
ქ. თბილისის კანალ. წყლის გამწმენდი მოწყობილობებიდან	250	1,0	92 · 10 <sup>6</sup> გ <sup>3</sup>	57
ხე-ტყე და მისი ნარჩენები	700	2,7	200 · 10 <sup>3</sup> ტნე	125
ჯამი	4390	12,5		452

## 7. წყალბადის ენერგეტიკა

საქართველო მდიდარია წყალბადის ენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო ნედლეულით – გოგირდწყალბადით. მას დიდი რაოდენობით შეიცავს შავი ზღვა. ახლო წარსულში შავი ზღვის რესურსების კომპლექსური ათვისებისა და წყალბადის ენერგეტიკის განვითარების მიზნით, საქართველოში ფუნქციონირებდა შავი ზღვის დაცვისა და რესურსების კვლევა-ათვისების სახელმწიფო სააგენტო.<sup>6</sup>

ევროპის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის „მწვანე შეთანხმების“ თანახმად, ეს უზარმაზარი პოტენციალი განახლებადი რესურსებისა, ჩვენი ქვეყნის „მწვანე“ სახელმწიფოდ გადასაქცევად უნდა გამოვიყენოთ, ეს ეხება ჰიდრორესურსებს (რომლის არსებული პოტენციალის მხოლოდ 15-18% - ია ათვისებული), ასევე მზის რესურსებს (რომლის მხოლოდ 2%-ია გამოყენებული), ქარის ენერჯის სისტემაში ჩართვას, ( რომლის 1%-ია გამოყენებული) და გეოთერმული ენერჯის წარმოებას (აქაც 1% - ზე ნაკლებია ათვისებული).

ჩვენი აზრით, ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს:

- ჩრდილოეთის ხაზი და ნამახვანი (სვანეთის და რაჭის რეგიონებიდან ელექტროსადგურების გადამცემ ქსელთან მიერთება).
- გურია და კახეთი (ამ რეგიონებიდან ჰიდროელექტროსადგურების გადამცემ ქსელთან მიერთება).

ენერგეტიკული სტრატეგიის პროექტში განახლებადი ენერჯის წყაროებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ხსენებული მხარდაჭერის სქემების დასახვეწად, დაგეგმილია ჩატარდეს მიზანშეწონილობის კვლევა, რათა დადგინდეს რომელი მხარდაჭერის სქემა არის შესაბამისი სხვადასხვა ტექნოლოგიებისათვის და გენერაციის მოცულობებისათვის, ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივიდან და ელექტროენერჯის სავაჭრო ბაზარზე ზემოქმედების კუთხით. ჩვენი აზრით უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს მხარდაჭერის სქემებზე ფინანსური ზემოქმედება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ჭრილში, ასევე კონკრეტულ ბაზარსა და მათ მონაწილეებზე.

ახალი სტრატეგიის შემუშავებამდე, სახელმწიფო პროგრამა - „განახლებადი ენერჯია 2008“ წარმატებით მიმდინარეობს. არსებული მოქმედი კანონის თანახმად, შემდეგი ელ.სადგურები არიან დერეგულირებული: სადგურები, რომლებიც აშენდნენ 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ, რომლებიც არ წარმოადგენენ გარანტირებული მოცულობების წყაროს, და სადგურები, რომლებიც აშენდნენ 2008 წლის 1 აგვისტომდე, რომლის დადგმული სიმძლავრე არის 40 მგვტ-მდე, რომლებიც ასევე არ წარმოადგენენ გარანტირებული მოცულობების წყაროს. ასეთ სადგურებს შესაძლებლობა აქვთ თავად აირჩიონ შემსყიდველები და თავად დააწესონ წარმოებული ელ.ენერჯის ღირებულება.

2015 წელს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ გამოსცა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც მომზადდა გადამცემი ქსელის ოპერატორის მიერ (სსე), „საქართველოს გადამცემი

<sup>6</sup> ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ., ჯიშკარიანი, მ., ფანცხავა, ე., „ენერგოეფექტურობა – ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“, International Scientific and Practical Conference, „The World of Science and Innovation“, 10-12 February 2021. London.

ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2015 – 2025“, და მას შემდეგ ყოველწლიურად განახლების პროცესშია, ბოლო ვერსია წარმოადგენს 2020 -2030 წლების გეგმას. ეს დოკუმენტი დროში გაწერილ პროგრამაა, ეროვნული გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის გასაძლიერებლად, სადაც წარმოჩენილია არსებული პრობლემები, რომელიც პასუხობს სამომავლო გამოწვევებს და ახალი შესაძლებლობების განხორციელების გზებს. დოკუმენტში ასახული ერთ-ერთი საკვანძო საკითხია განახლებადი ენერჯის ინტეგრაცია ქსელთან, რომელიც ჯერ კიდევ ყველაზე დიდი გამოწვევაა ქარისაგან და მზისგან მიღებული ელ.ენერჯის ქსელში ინტეგრაციის კუთხით<sup>7</sup>.

## დასკვნა

ევროპის „მწვანე შეთანხმება“ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და ძალიან აქტუალურია ჩვენს დამაბულ რეალობაში, მითუმეტეს რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ევროპა ამ შეთანხმებით ემიჯნება აგონიაში მყოფ აგრესიულ მიღევადი ნავთობის სახელმწიფოს. განვითარებული სამყაროს გადასვლა ალტერნატიულ ენერჯეტიკაზე მართლაც შეასუსტებს რუსეთს, ხოლო საქართველოს „მწვანე შეთანხმებით“ უჩნდება შანსი განახლებადი რესურსების ფართო მასშტაბით ათვისებისა. ეს განსაკუთრებით შეეხება ჰიდრორესურსებს- ჰიდროელექტროსადგურები ხომ ჩვენი ქვეყნის ელექტროენერჯეტიკის ხერხემალს წარმოადგენს და მათი წლიური გამომუშავება მთლიანი გენერაციის 80%-ია.

ბოლო პერიოდში გავრცელდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ახალი ჰესების მშენებლობა საჭირო არაა, და რომ ძველი ჰესების რეაბილიტაციით მათი წარმადობა იზრდება. რეაბილიტაცია წარმადობას ზრდის, მაგრამ ბევრით ვერ. ენგურჰესის შემთხვევაში ეს 100-120 მლნ კვტ/სთ-ია, მისი საპროექტო სიმძლავრის 3%-ზე ნაკლები. პანდემიამდე ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა წლიურად 3%-ს აჭარბებდა და ჰესების წარმადობას ერთჯერადი 3%-ით ან თუნდაც 5%-ით გაზრდა მხოლოდ ზღვაში წვეთი იქნება.

ბევრი პატარა ჰესი ერთ დიდ ჰესს ვერ ჩაანაცვლებს, ვერც ქარისა და მზის სადგურები, თუმცა მათი კომბინაცია ჯამურ გენერაციას მნიშვნელოვნად გაზრდის და ყველა მიმართულებით ენერგოდეფიციტურ ქვეყანას, ელექტროენერჯის კუთხით საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და ექსპორტის საშუალებას გაუჩენს.

რატომღაც ჰგონიათ, რომ საუბარი ენერჯეტიკულ დამოუკიდებლობაზე, ეს რაღაც ლოზუნგია და მიაჩნიათ, რომ ამის უკან რაღაც გარკვეული ციფრები არ დევს. საქართველო ენერჯეტიკულად თითქმის 70-75%-ით არის დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყანაზე და სრულ ენერჯეტიკულ დამოუკიდებლობაზე ბუნებრივია

---

<sup>7</sup> ვეზირიშვილი-ნოზაძე, ე., ჯიშკარიანი, მ., ფანცხავა, ე., „ენერჯის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“. VIII International Scientific and Practcal Conference, „Actual Trends of Modern Scientific Research“, 14-15 March, 2021, Munich.



საუბარი არ არის, ამას ვერც მივალწევთ. ჩვენ ვსაუბრობთ ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მახასიათებლების გაუმჯობესებაზე.

### რეკომენდაციები

საქართველოს ენერგეტიკული სფეროს განვითარებისა და წინსვლისათვის ჩვენი აზრით ჩასატარებელია შემდეგი ღონისძიებები:

- ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის უფრო სრულად ათვისება, ანუ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის მცირე სიმძლავრის;
- არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაცია ან მოდერნიზაცია-რეკონსტრუქცია;
- თბოენერგეტიკის რაციონალურად განვითარება, უპირატესად აირტურბინული ბლოკების დამონტაჟების ხარჯზე;
- რეგიონებში (სოფლის ტიპის დასახლებებში), კომუნალური სფეროსა და მცირე ბიზნესის საჭიროებისათვის, სადაც შესაძლებელია მიკრო და მინი ჰესების აშენება, ან მზის, ქარის და ბიომასის ენერჯის რესურსების გამოყენება;
- სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ სექტორში გეოთერმული წყლების გამოყენების ხელშეწყობა;
- გამანაწილებელ ქსელებში დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა, წარმოებაში და საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოდამზოგი მოწყობილობის ფართოდ დანერგვა;
- მოქნილი სატარიფო პოლიტიკის გატარება;
- მეზობელ ენერგოსისტემებთან საქართველოს ენერგოსისტემის კავშირების აღდგენა-გაფართოება;
- კომუნალურ სექტორში ორგანულ სათბობზე მომუშავე გათბობის ინდივიდუალური სისტემების დანერგვის ხელშეწყობა.

### ბიბლიოგრაფია

1. ჩომახიძე, დემურ, ჩომახიძე, ხათუნა, ჩომახიძე, ირაკლი, „ენერგეტიკის მენეჯმენტის თავისებურებები და პრინციპები“, თბილისი, 2020;
2. ჩომახიძე, დემურ, „საქართველოს ენერგეტიკა ციფრებში“, (დარგის განვითარების ეკონომიკურ-სტატისტიკური ნიშნულები), თბილისი, 2021;
3. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევან, ფანცხავა, ელენე, განახლებადი, არატრადიციული ენერგო-რესურსების მენეჯმენტი და მათი ათვისების პროგრამის დამუშავება საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისათვის“. 22-24 თებერვალი, 2019, ბაქო, აზერბაიჯანი;
4. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევან, ფანცხავა, ელენე, „ენერგოეფექტურობა – ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია, თანამედ-როვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები, 2019, 20-21 სექტემბერი;
5. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევან, ფანცხავა, ელენე, „საქართველოს ელექტროენერგე-ტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქ-ჩრდილები (შედეგები)“, II საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, საქართველო, 2020, 7-10 დეკემბერი;
6. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევან, ჯიშკარიანი, მაკა, ფანცხავა, ელენე, „ენერგოეფექტურობა – ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“, International Scientific and Practical Conference, «The World of Science and Innovation», 10-12 February 2021, London;
7. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევან, ჯიშკარიანი, მაკა, ფანცხავა, ელენე, „ენერჯის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“. VIII International Scientific and Practcal Conference, „Actual Trends of Modern Scientific Research“, 14-15 March, 2021, Munich.

## საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები, პერსპექტივა და ზეგავლენის ზოგიერთი გამოვლინებანი ევროპის „მწვანე შეთანხმების“ პირობებში

### გიორგი ხარშილაძე

ეკონომიკის დოქტორი,

მოწვეული ლექტორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციის საკითხი საკმაოდ რთული და შეუქცევადი პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში გარკვეული წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის, სამართლებრივი თუ საბაზრო რეფორმები, ქვეყანა მაინც დგას მთელი რიგი გამოწვევების წინაშე.

ბოლო პერიოდში, წინა პლანზე წამოვიდა მწვანე ეკონომიკის, მწვანე ზრდის და ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების იდეა. მწვანე ეკონომიკა დაფუძნებულია ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკას აფასებს მისი ბუნებრივი კაპიტალის მდგომარეობიდან გამომდინარე. საქართველო მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მათ შორის ბიომრავალფეროვნებით, წყლისა და მინერალური რესურსებითა თუ ლანდშაფტური მრავალფეროვნებით. შესაბამისად, ქვეყანას გააჩნია დიდი პოტენციალი გრძელვადიან პერიოდში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის, განსაკუთრებით ისეთ დარგებში როგორცაა ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ტურიზმი და სატყეო მეურნეობა. GGND ანალიზის თანახმად, სწორედ ეს სექტორები არის იდენტიფიცირებული როგორც ყველაზე სწრაფი უკუგების მომცემი, როგორც ეკონომიკური ისე გარემოსადგენი თვალსაზრისით. ამის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა კი სპეციფიკური პოლიტიკისა და საკანონმდებლო დოკუმენტების მომზადებაა, ხოლო შემდეგ მისი ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

აღნიშნულ პროცესებს თან ერთვის ევროკავშირის მიერ ინიცირებული ახალი პოლიტიკა, რომელიც ცნობილია როგორც „ევროპის მწვანე შეთანხმების“ სახელით. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროპის კონტინენტი გახდეს კლიმატ-ნეიტრალური 2050 წლისთვის. იგი წარმოადგენს სრულიად ახლებურ ხედვას ახალი ევროპული წესრიგის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონდეს მის სამეზობლო ურთიერთობებზე, მათ შორის საქართველოზე.

თუ რა ეკონომიკური ზეგავლენა ექნება ევროპის ახალ „მწვანე შეთანხმებას“ და საქართველოს ეკონომიკაზე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის და ევროკავშირის ეკონომიკასთან თავსებადობის ხარისხზე. აქვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა

გამოიყოს: თუ რა გავლენას იქონიებს მწვანე შეთანხმება საქართველო-ევროკავშირის შემდგომ ურთიერთობებზე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების თვალსაზრისით. მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი არის თუ რა ზეგავლენას მოახდენს ევროპის „მწვანე შეთანხმება“ საქართველოს ეკონომიკაზე მწვანე ეკონომიკის ფორმირების კონტექსტში. სწორედ აღნიშნული პროცესები არის განაალიზებული აღნიშნულ სტატიაში, დასახეულია გზები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, მწვანე შეთანხმება, მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა.

## შესავალი

მწვანე შეთანხმება წარმოადგენს ევროკავშირის გრძელვადიან სტრატეგიას, რომელიც მიზნად ისახვს ნახშირბადდამოკიდებულების შემცირებას პარიზის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. უპირველესად იგი მოიაზრებს იმას, რომ ევროპა გახდეს პირველი ნახშირბადნეიტრალური კონტინენტი 2050 წლისთვის. ყოველივე ეს მიიღწევა შესაბამისი გადაწყვეტილებების, ხოლო შემდგომ ეტაპზე ამ გადაწყვეტილებების განხორციელებით გზით.

მწვანე ტრანსფორმაციაზე ლაპარაკი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, როდესაც რომის კლუბმა პირველმა განაცხადა რესურსების ამოწურვის შესახებ, რაც ხელს უშლიდა მოსახლეობის მზარდი რაოდენობის მატება და, შესაბამისად, მოთხოვნილობების დამკაყოფილების გაზრდილი რაოდენობა. ამ პრინციპებმა ასახვა ჰპოვა ბრუტლანდის ანგარიშში,<sup>1</sup> ხოლო შემდეგ რიოს სამ კონვენციაში, კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციასა, ხოლო მოგვიანებით მდგრადი განვითარების მიზნებში.

ზემოთაღნიშნული საკანონმდებლო პაკეტების გარდა, იყო ცალკეული ტიპის მიდგომები, რომელიც ასახულია პარიზის კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციასა თუ პოლიტიკურ დოკუმენტაციაში. პარიზშივე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ მომზადებულიყო სპეციალური ანგარიში, სახელწოდებით IPCC-1.5 Special Report, რომელშიც უნდა ასახულიყო ტემპერატურის 1,5 გრადუსიანი მატება მსოფლიოს ყველა რეგიონში და ქვეყნებს თუ რა ძალისხმევა დასჭირდებოდა ტემპერატურის ამ ნიშნულზე შესანარჩუნებლად<sup>2</sup>. ამავე პერიოდს განეკუთვნება აშშ-სა და ევროკავშირში დაწყებული აქტიური საუბარი მწვანე შეთანხმებაზე, რომელიც მიუხედავად ცალკეული ტიპის განსხვავებისა მოიცავს საერთო საკითხებსა თუ მიზნებს და მოიცავს სისტემურ ტრანსფორმაციის ისეთ მიმართულებებს, როგორცაა გარემოსდაცვითი, ფისკალური და მრეწველობის საკითხები.<sup>3</sup>

2019 წლის დეკემბერში ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა ახალი სამოქმედო გეგმა (COM/2019/640 final), რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არის როგორც ევროკავშირის „მწვანე შეთანხმება“. იგი წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ახალ მიმართულებას, სრულიად ახალ სტატეგიას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ევროკავშირის კლიმატნეიტრალურობა 2050 წლისთვის. ევროპის მწვანე შეთანხმება

<sup>1</sup> World Commission on Environment and Development, “Our Common Future.” 1989.

<sup>2</sup> მიქაძე, ე., „ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის“ თბ.2021.

<https://ge.boell.org/ka/2021/02/18/evropis-mcvane-shetankhmeba-da-misi-mnishvneloba-sakartvelostvis> [უ.გ. 10.02.2022].

<sup>3</sup> European Commission – “The European Green Deal”.

წარმოადგენს ევროკავშირის განუყოფელ სტრატეგიას გარკვეული მიზნების განსახორციელებლად, და არის გაეროს 2030 წლის დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი. ამავდროულად იგი წარმოადგენს პარიზის შეთანხმების მოთხოვნათა შესრულების ქმედით ინსტრუმენტს.

მდგრადი განვითარება თავის მხრივ წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ისეთ სისტემას, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის კეთილდღეობა, ცხოვრების დონის ზრდა და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსით და გარემოთი მოკლე, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში. ამავდროულად გასათვალისწინებელია მდგრადი განვითარების პირობებში იმგვარი გარემოს ფორმირება, რომელიც განაპირობებს ეკონომიკის განვითარებას, რომელში გარემოს დაცვის საკითხები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

მწვანე შეთანხმების შესახებ ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ აღნიშნული მიზნები ვერ მიიღწევა მხოლოდ ევროკავშირის ძალისხმევით შედეგად. იგი წარმოადგენს გლობალურ შეთანხმებას, ხოლო მასში ჩართულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, არამედ მისი პარტნიორებიც. აღნიშნული უპირველესად საქართველოსაც ეხება, როგორც ევროკავშირის უახლოეს პარტნიორ ქვეყანას და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ პარტნიორობით ფორმატით დაკავშირებულ სახელმწიფოს. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, მწვანე შეთანხმებამ მოითხოვა მთელი რიგი ცვლილებების შეტანა ევროკავშირის კანონმდებლობას, რომელიც გულისხმობს როგორც ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას, ისე ცვლილებებს უკვე არსებულ, მიღებულ აქტებში.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო აქტების დიდი ნაწილი ასახულია ასოცირების ხელშეკრულებაში, საქართველო, როგორც ევროკავშირის პარტნიორი სახელმწიფო ვალდებულია ჩაერთოს აღნიშნული შეთანხმების განხორციელებაში. კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების 301 პარაგრაფის მიხედვით: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნეს სექტორს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეკოლოგიურად მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას. თანამშრომლობა წარიმართება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით, თანასწორობისა და



ორმხრივი სარგებლიანობის ისევე, როგორც გარემოს დაცვის სფეროში მხარეებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებისა და მრავალმხრივი შეთანხმებების გათვალისწინებით.” ამ პრინციპების აუცილებლობა კიდევ უფრო ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 2024 წლისთვის აპირებს ოფიციალური განაცხადი გააკეთოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე.

### 1. ეკონომიკის გამწვანების თანამედროვე ასპექტები და ევროპის მწვანე შეთანხმება

თანამედროვე ეტაპზე, კვლევების დიდ ნაწილში გამოთქმულია მოსაზრება წარმოების მოხმარების არამდგრადობის შესახებ, რაც გამოიხატება ფაქტიდან, რომ თუ მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობა მოიხმარს რესურსების იგივე რაოდენობას, მაშინ მოთხოვნა რესურსზე 4-ჯერ გადააჭარბებს დედამიწის საერთო შესაძლებლობებს. შესაბამისად, უკვე დადგა დრო განხორციელდეს გარკვეული ტიპის ცვლილებები რესურსების სტრუქტურაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამწვავდება ბრძოლა რესურსებისთვის. რესურსების არამდგრადობის შედეგს უნდა მივაკუთვნოთ მთელი რიგი ეკოლოგიური რისკების ზრდა, დაწყებული გლობალური რისკებიდან, დამთავრებული ადგილობრივით. სწორედ ამ კონტექსტში საკმაოდ დიდი როლის თამაში შეუძლია ეკონომიკის გამწვანების თუ მწვანე ბიზნესის ფორმირების შესაძლებლობებს.

“მწვანე ეკონომიკა“ საკმაოდ ფართო კონცეფციაა. იგი გულისხმობს ეკონომიკაში მწვანე პრინციპების დანერგვით უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკის მდგრადი განვითარება, შედეგად ვიღებთ გაუმჯობესებულ კეთილდღეობას, სოციალური თანასწორობის მაღალ ხარისხს, შემცირებულ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ რისკებს. მწვანე ეკონომიკა მიჩნეული არის ეკონოსისტემების ფორმირების მთავარ ძალად. თუ ჩვენ დავეყრდნობით კლასიკურ ეკონომიკურ ჰიპოტეზას, მწვანე ეკონომიკა მიჩნეული არ არის ეკონომიკის ცალკე, დამოუკიდებელი მიმართულებას. მას როგორც მეცნიერების დარგს ისე განიხილავენ. კერძოდ, ტრადიციული შეხედულების ნაწილად მიიჩნევა, რომ მიწა როგორც წარმოების ერთ-ერთი ნაწილი მოიცავს ბუნებრივ კაპიტალს, რომელიც დაკავშირებულია წარმოების მეორე ფაქტორთან - შრომასთან.

მწვანე ეკონომიკა ცდილობს მოძებნოს ოქროს შუალედი, პოზიტიური ეკონომიკური გადაწყვეტილება, ალტერნატივა, რადგან იგი ერთმანეთისგან არ მიჯნავს სახელმწიფო და კერძო სექტორს. მწვანე ეკონომიკის პირობებში მთავარი რეგულატორის როლს საზოგადოება თამაშობს. თანამედროვე გაგებით, მწვანე ეკონომიკა უფრო მეტადაა ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე აქამდე არსებული მოდელები, რადგან გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების უგულებელყოფით მივდივართ არასწორ გადაწყვეტილებამდე, ბიზნეს სუბიექტების მიერ არამართლზომიერად გამოყენებულ ბუნებრივ რესურსებზე და საბოლოოდ ისეთი ტიპის კრიზისულ პერიოდამდე, როგორც იყო 1978, 1996 და 2008 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისებამდე<sup>4</sup>.

არსებობს ორი ძირითადი წინაპირობა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს მწვანე ეკონომიკის ფორმირება. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება წარმოების ცვლილებას, რაც გამოიხატება

<sup>4</sup> მწვანე ალტერნატივა - „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ თბ. 2013წ. გვ. 41.

წარმოების პროცესის ცვლილებაში, ძირითადად ენერგო და რესურსების ეფექტიანი მოხმარების დანერგვაში. ცვლილებები ასევე უნდა შეეხოს გარემოსდაცვითი პროდუქტების და მომსახურების გაზრდით და მოხმარების შემცირებით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია მწვანე ბიზნესის შესაძლებლობები. ზოგადად, ნებისმიერი ბიზნესის ამოცანა მოგებაზე ორიენტირებული საქონლისა თუ მომსახურების წარმოებაა. თუმცა, განსხვავება ჩვეულებრივი ბიზნესის და მწვანე ბიზნესის მოგების მაქსიმიზაციას შორის არის ის, რომ მწვანე ბიზნესი ორიენტირებულია შედარებით გრძელვადიანი მოგების მაქსიმიზაციაზე. ამისთვის იგი იყენებს იმ თანამედროვე ცოდნას, ინფორმაციას და დაგეგმვის საშუალებებს, რაც მათ გააჩნიათ ჩვეულებრივ ბიზნეს სუბიექტებთან შედარებით. შედეგად, მწვანე ეკონომიკის წარმოებაში ჩართული კომპანიები უფრო კონკურენტუნარიანები არიან.

უკანასკნელი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე გაეროს მხრიდან შემუშავდა ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების კონცეფცია, რომელსაც მსოფლიოში არსებული პრობლემებისთვის უნდა ეპასუხა. აღნიშნული პოლიტიკა სამ ძირითად ამოცანაზე იყო ორიენტირებული: მსოფლიო ეკონომიკის აღდგენის საქმეში წვლილის შეტანისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში, ეკონომიკის ინკლუზიური მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას 2015 წლისთვის და ნახშირბადზე დამოკიდებულების და ეკოსისტემების დეგრადაციის რისკების შემცირებას<sup>5</sup>. მომდევნო, 2009 წელს ეუთოს ქვეყნების მიერ მიღებული იქნა მწვანე ზრდის სტრატეგია<sup>6</sup> მწვანე ეკონომიკის ქვაკუთხედს ეყრდნობა – დაბალემისიური განვითარებას, ნარჩენების და ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენების მინიმიზაციას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, მდგრადი და უფრო სუფთა ენერგო-წყაროების ათვისება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და სახელმწიფოთა უმრავლესობა მწვანე ეკონომიკას განიხილავდა, როგორც შენაცვლებით კონცეფციებად, თუმცა, არცერთი მათგანი არ უარყოფს ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობას, რაც ძირითადად გამოიხარება კონკურენციის პრინციპების დანერგვაში, ეკონომიკის ლიბერალიზაციის კიდევ უფრო სრულყოფილი ფორმით წარმართვაში. შედეგად მივიღეთ იმგვარი გარემოსდაცვითი კრიზისები, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა თანამედროვე მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. შედეგად, მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებათ, რაც ძირითადად გამოიხატება წარმოებისა და მოხმარების ზრდის ტრადიციულ გზების დაყოფით. ეკოსისტემების სერვისები წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს. მწვანე ეკონომიკაში კი მოხდა ამ სერვისების განცალკევება და თითოეული ამ სერვისის გასაქონლება და მისთვის კონკრეტული ფასის მისადაგება.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკის სექტორებს შორის საზღვრები წაიშალა, რამაც რთულ პირობებში ჩააგდო ინდუსტრიალიზაციის პროცესი. ყოველივე ამან, წარმოშვა სირთულეები, რაც გამოიხატება დამატებითი ცოდნისა თუ უნარების შეძენა. აღნიშნული რთული პროცესების საპირწონედ, მწვანე ეკონომიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინდუსტრიალიზაციის პროცესში ჩართული მოვლენების, კერძოდ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებისა თუ ბუნებრივი რესურსებს შორის დამოკიდებულების

<sup>5</sup> მწვანე ალტერნატივა - „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ გვ. 41, თბ. 2013 წ.

<sup>6</sup> Declaration on Green Growth Adopted at the Meeting of the Council at Ministerial Level on 25 June 2009 [C/MIN(2009)5/ADD1/FINAL]

წაშლას. შედეგად, მთავარ ამოცანად იქცა აღნიშნული პროცესების მინიმიზაცია. თუ როგორ შეიძლება აღნიშნულის მიღწევა რამდენიმე მიმართულებაზე არის დამოკიდებული. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ხარისხი და ქვეყნის შიგნით არსებული ტექნოლოგიური დონე, ასევე იმ გარემოსდაცვით მოთხოვნებზე რაც ქვეყანას აქვს შესასრულებელი საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ქვეყნის შიგნით არსებულ ეკონომიკური სტიმულირების პაკატებს, რომელიც გამოწვეული იქნება ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკით და რა პოლიტიკა გააჩნიათ ინსტიტუციებს მწვანე ზრდის პოპულარიზაციისთვის. ამის მაგალითად უნდა ვეროკავშირში დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, ენერგოეფექტურობისა თუ განახლებადი ენერჯის განვითარების პარალელურად უნდა წაიშალოს დამოკიდებულება CO<sub>2</sub> და მშპ-ს შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენერგო და რესურს-ეფექტურობა არ გამოირიცხავს ენერჯის მოხმარებას ან ნაკლები რესურსების ათვისებას. ორივე გულისხმობს ეფექტიანობისა თუ პროდუქტიულობის ზრდას, რაც თავის თავში ვიღებთ მწვანე კაპიტალიზმს.

მწვანე ეკონომიკას ზრდის პოტენციალი გააჩნია, რაც მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირს, მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს გააჩნია ე.წ. პრედერმინანტული ხედვა იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ლიბერალიზაციის და ბაზრის მეშვეობის მიღწევა დაბალემისიურ განვითარებამდე, რაც ხელს უშლის ამ დიდი პოტენციალის ნაწილობრივ გამოყენებასაც კი<sup>7</sup>. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ქვეყნებს სთავაზობს შედარებით ფართო ფინანსურ დახმარებას მწვანე ეკონომიკის გაძლიერებისთვის. ამგვარ ფინანსურ რესურსების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფო “blending instruments” (ეუთოს ქვეყნების ოფიციალური სახელმწიფო დახმარების შერევა კერძო ან საერთაშორისო საფინანსო ბანკების დაფინანსებასთან), გარანტიები, საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმები. განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული ფულადი დახმარებები ირიცხება არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნებიდან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, არამედ ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან და ისეთი ინსტიტუციებისგან, როგორცაა BRICS, AIIB და სხვა. მნიშვნელოვანია რომ მწვანე კაპიტალიზმი დაბალემისიური განვითარების მისაღწევად უკვე იყებევს ისეთ საბაზრო მექანიზმებს, როგორცაა, მაგალითად, ემისიებით ვაჭრობა, საფთა განვითარების მექანიზმები და ა.შ.<sup>8</sup>

თუ დავეყრდნობით მწვანე ეკონომიკის ლოგიკას, ტრადიციულ ეკონომიკაში გერემოს დეგრადაციის მთავარი მიზეზი არის ის გარემოება, რომ მთავრობები და კორპორაციები ვერ აცნობიერებენ გარემოსა და ბუნების რეალურ ეკონომიკურ ღირებულებას. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ბუნების რეალური ღირებულების დადგენა, რაც გამოიხატება ბუნების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. შედეგად მივიღებთ თანამედროვე, ნაკლებდამაბინძურებელი ინოვაციური ტექნოლოგიებს, და მეტ ინვესტიციებს ბუნების კონსერვაციის პროექტებში.

<sup>7</sup> Knight, Daniel, M., The green economy as a sustainable alternative?

<sup>8</sup> მწვანე ალტერნატივა - „მწვანე ეკონომიკის დილემა“ - საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თბ. 2019, გვ. 3

მწვანე ეკონომიკის ფორმირებისას გადამწვეტი მნიშვნელობა ინოვაციებს უნდა მივანიჭოთ. თუ ყურადღებით შევხედავთ ინოვაციის ტრანსფორმაციულ პროცესებს, წარმოების პროცესმა საინფორმაციო და ბიოტექნოლოგიების პროგრამული ინოვაციებისკენ გადაინაცვლა. მომდევნო 30 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება ინდუსტრიული რევოლუციის მიდგომები, დაეყრდნობა რა ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიზაციის, რადიკალური რესურსეფექტურობის, ინდუსტრიული ეკოლოგიის და ნანოტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებს.

თანამედროვე კვლევებით<sup>9</sup>, დასტურდება, რომ ინოვაციურს ტექნოლოგიებს დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ეკონომიკური ზრდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში შემოსავლების კლებით შეიძლება აღინიშნოს, თუმცა გრძელვადიანი ეფექტი საკმაოდ დიდი იქნება. ამასთან მკვეთრად იზრდება მაღალკვალიფიცირებული მუშახელის შემოსავლები, რასაც იგივეს ვერ ვიტყვით დაბალკვალიფიციურზე. არსებობს ამ დისბალანსის აღმოფხვრის რამდენიმე საშუალება. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება განათლების საკითხს. ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო განაკვეთების დონე. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ შემოსავლების კლების ფონზე გაიზრდება ზეწოლა ბუნებრივ რესურსებზე. შედეგად მივიღებთ მდგრადობის გამორიცხვას თუ მწვანე ეკონომიკის ფორმირება დამოკიდებული იქნება მხოლოდ ტექნოლოგიებზე, მოხმარების შემცირებისა და ეკოლოგიური ლიმიტების გააზრების გარეშე.

საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ზრდის შემდგომი განხორციელებისა და დანერგვის საკმაოდ ოპტიმისტურია. მთავრობის მიერ წარმოდგენილი არის მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის შეცვლის, შემუშავებისა და დანერგვისაკენ. მათ შორის უნდა გამოვყოთ ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორცაა რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება.

მწვანე ზრდა მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, რომლებიც წარმოადგენენ „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ნაწილს. აღნიშნული მიზნები გაეროს მიერ მიღებულ იქნა 2015 წელს. საქართველოს იზიარებს ამ მიზნებს და გამოდის ინიციატივით, რომ მწვანე ზრდა გახდეს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციის ძირითად საშუალებად. ქვეყნის მხრიდან არსებობს გარკვეული ტიპის ინიციატივები რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებას. ამ ინიციატივებს შორის უნდა გამოვყოთ ეკოსისტემების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის განვითარება. ამავე კონტექსტში უნდა ვიმსჯელოთ იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც საქართველომ გადადგა ამ მიზნების განხორციელების ხელშესაწყობად.

საქართველო მდიდარია თავის ბუნებრივი რესურსებითა თუ ბიომრავალფეროვნებით, რომლის დიდი ნაწილი კვლავ ხელუხლებელია. ხელისუფლების ძირითად მიზანს

<sup>9</sup> Should We Fear the Robot Revolution? (The Correct Answer is Yes), Author/Editor: Andrew Berg; Edward F Buffie; Luis-Felipe Zanna, May 21, 2018



წარმოადგენს აღნიშნულების შენარჩუნება. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს მთავარ წინაპირობას ქვეყნის შემდგომი მოდერნიზაციისა. ეს კი სრულიად არ ნიშნავს, რომ იგი გამოწვეულია მრეწველობის ან სხვა ტიპის ბიზნეს აქტივობის განვითარებით. მასში მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი აქტივობაც თამაშობს, რომელიც ხშირად მხარს უჭერს ეკონომიკური განვითარების ისეთ მიმართულებას, რომელშიც გარემოსდაცვითი მიმართულება გათვალისწინებული არ არის. მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა საჭიროებს საზოგადოების ჩართულობას და არ ეხება დაინტერესებული მხარის გარკვეულ ჯგუფს.

მწვანე ეკონომიკის საყრდენს რესურსების მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვი წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბაზარზე გამოტანილ იქნას იმდენი რაოდენობის საქონელი და მომსახურება, რომელიც მომხმარებელს დააკმაყოფილებს და შედეგად მოხდება მათი რეალიზაცია. შესაბამისად, როგორც მომხმარებლის ისე მწარმოებლების მხრიდან უნდა განხორციელდეს ძალისხმევა აღნიშნულის მისაღწევად. აქვე დავძენთ, რომ გარკვეულ დარგებში მიმდინარეობს შესაბამისი ქმედებები მდგრადი წარმოებისა. ამ მხრივ უნდა გამოვეყნოთ სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. მოსახლეობას აქვს იმის განცდა, რომ ორგანული საკვებით ვაჭრობა ბოლო პერიოდში საკმაოდ მომატებულია. შესაბამისად, მომხმარებლებიც ამ პროდუქციის შესაძენად არა მხოლოდ ფასის, არამედ სხვადასხვა ტიპის ღირებულებების საფუძველზე. დადებითი სარგებლის მომტანი იქნება ეკო-მარკირების შემოღებაც, რაც მწარმოებლებს დაეხმარებათ საკუთარი ნაწარმისა თუ მომსახურების სანდოობის თვალსაზრისით.

## **2. საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები, პერსპექტივები მწვანე შეთანხმების პირობებში**

2020 წელს დასრულდა აღმოსავლეთ პარტნიორობის შედეგად დადგენილი 20 მიზანი, რომლის შედეგად გამოიკვეთა ოთხი ძირითადი მიმართულება: უფრო ძლიერი ეკონომიკა, უკეთესი მმართველობა, მეტი ურთიერთკავშირები და შედარებით ძლიერი საზოგადოება. მწვანე შეთანხმების მთავარ მიზანს წარმოადგენს ნახშირბადნიეტრალური ევროპის მიღწევას 2050 წლისთვის. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა ეხება რამდენიმე სექტორს, მათ შორის ენერჯეტიკას, გარემოსდაცვით მიმართულებებს და მრეწველობის სტრატეგიას.

მწვანე შეთანხმებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, განსაკუთრებით ელექტრონიკის, ბატარეების, შეფუთვის, ტექსტილისა და სამშენებლო მიმართულებით. განსაკუთრებულ მნიშვნელოვნას იძენს ბიომრავალფეროვნების საკითხი, რადგან ევროკავშირს გააჩნია მკაცრი მიდგომები არალეგალური და არარეგულირებული თევზჭერის საკითხისადმი, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს საქართველოს პოლიტიკაზეც.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მდგრადობის საკითხი. მდგრადობის ყოვლის-მომცველი მიდგომა მოიცავს ყველა სექტორას, მაგრამ ძირითად ყურადღებას ამახვილებს ნახშირბადის დაბალ გამოიმუშავებაზე, რაც ქმნის სამუშაო ადგილებს. ეს მიდგომა რამდენიმე სახის სარგებლის მომტანი იქნება, როგორცაა ნარჩენების, რესურსების არაეფექტურობის და დაბინძურების შემცირება, მაგრამ, ამავედროულად აუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების მდგრადობას. მიუხედავად ამისა,



გათვალისწინებულ უნდა იქნას საჯარო პოლიტიკის ისეთი სფეროები, როგორცაა გადასახადები და სუბსიდიები, სახელმწიფო შესყიდვები, ინფრასტრუქტურის დიზაინი, ბიზნესის განვითარება, რომელთაც შეიძლება დიდი გავლენა ჰქონდეთ გარემოზე. ამრიგად, „მწვანე ზრდის პოლიტიკა“ ხელს უწყობს სექტორის სპეციფიკურ ღონისძიებებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რისთვისაც საჭიროა თანამშრომლობა და კონსულტაცია კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თუ ბიზნეს ასოციაციებთან.

თუ გავითვალისწინებთ საერთაშორისო ვითარებას, მწვანე შეთანხმების მიზნებთან არის დაკავშირებული კლიმატის ცვლილების კონვენცია მისი დამხმარე დოკუმენტებით. „პარიზის შეთანხმება“ რომლის რატიფიცირებაც საქართველოს პარლამენტმა 2017 წელს მოახდინა, ევროკავშირი, როგორც ლიდერი ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს აღნიშნული შეთანხმების მოთხოვნების შესრულებაში. საქართველო წარმოადგენს ევროკავშირის უახლოეს პარტნიორ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ-ერთ ქვეყანას, სადაც გარემოს დაცვისა თუ კლიმატის ცვლილების საკითხები უკვე პრიორიტეტულ საკითხად იქცა. შესაბამისად, ევროკავშირისთვისაც მნიშვნელოვანია მისი უახლოესი პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერაც. ევროპის კონტინენტისთვის ახალ სტრატეგიაზე გადასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი თუ ევროკავშირთან ერთად მისი უახლოესი პარტნიორი ქვეყნებიც მიიღებენ კონკრეტულ ზომებს. ამავდროულად, ევროკავშირი მხედველობაში ღებულობს პარტნიორობას გარემოს, ენერჯეტიკისა თუ კლიმატის ცვლილებაში სამხრეთ სამოზობლოსთან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან.

თუ რა ზეგავლენა იქნება ევროპის „მწვანე შეთანხმებას“ საქართველოს ეკონომიკაზე დამოკიდებული არის რამდენიმე ფაქტორზე. უპირველს ყოვლისა უნდა გამოვყოთ ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხარისხი და მისი თავსებადობა ევროკავშირის ეკონომიკასთან. გასათვალისწინებელია გარემოსდაცვით მიმართულებებში ეკონომიკური სარგებლის მომტანი მიმართულებები (ნარჩენების უტილიზაცია, ინოვაციური ტექნოლოგიები). საწყის ეტაპზე აღნიშნული მიმართულებები საჭიროებენ დიდ ინვესტიციებს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში, მათაც მოაქვთ დაზოგილი ხარჯები. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია განისაზღვროს მთავრობისა და კერძო სექტორის როლი, ხოლო სახელმწიფომ იტვირთოს შუამავლის ფუნქცია ფინანსურად ნაკლებმიზიდველი გარემოსდაცვითი პროექტების განსახორციელებლად. შესაბამისად, აღნიშნული ზეგავლენა ორ მიმართულებად უნდა დავყოთ - გარემოსდაცვითი მიმართულებით და წმინდა ეკონომიკური.

საქართველოსთვის გარემოს დაცვის დღის წესრიგის ინტეგრირება შემდგომი განვითარების ეროვნულ გეგმებში მთავრობის პრიორიტეტად უნდა დავასახელოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულია საქართველომ გადაახალისა თავისი გარემოსდაცვითი კომპონენტები და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია - „საქართველოს 2020“ ითვალისწინებს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას, რეფორმები ჯერ კიდევ არასრულია. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით დასახულ იქნა გარკვეული ტიპის მიზნები. კლიმატის ცვლილების შესახებ გაერთიანებული ერების ჩარჩო კონვენციით (UNFCCC) გათვალისწინებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის მეშვეობით და შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას. ასევე დასრუებულია დაბაემისიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) და ენერჯოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) შემუშავება. მიუხედავად ამისა

არსებობს ხარვეზები ქვედა დონის აღსრულების რეგულაციებსა და ინსტიტუციურ შესაძლებლობებში, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ პოლიტიკის განხორციელება.

2016 წლის აპრილში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შეიმუშავა საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატთან დაკავშირებული ქმედებების ნაწილში. სულ შეიქმნა 9 საგზაო რუკა: გარემოსდაცვითი მიმართულება, ჰაერის ხარისხი, წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, ბუნების დაცვა, სამრეწველო დაბინძურება და საფრთხეები, კიმიური ნარჩენების მართვა, კლიმატთან დაკავშირებული ქმედებები, სატყეო სექტორი<sup>10</sup>.

ევროკავშირთან გაფორმებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ პარტნიორობა ახალ ეტაპზე გადაიყვანა. ეს უკანასკნელი ეხება თითქმის ყველა სექტორს, ხოლო ძირითადი მიზანი არის საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. შეთანხმებით შემოღებულია შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმი - ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA). ეს რეჟიმი ზრდის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ბაზარზე ხელმისაწვდომობას შედარებით ხელმისაწვდომობას უფრო შეღავათიანი რეგულაციების საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება მხოლოდ გარემოს დაცვის ინტერესებში არ შედის. ფინანსური რესურსებზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ტექნოლოგიების გადაცემას და სამუშაო ადგილების შექმნას. ქართულმა კომპანიებმა თავიანთ სამომავლო საქმიანობა „მწვანე ინვესტიციებში“ დაინახეს, დაიწყეს რა თავიანთი პორტფელის დივერსიფიცირება, კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. ასოცირების ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ვალდებულება ენერგოეფექტური მშენებლობის წახალისებისა, რომლის ვადად განისაზღვრა 3 წელიწადი. საზოგადოდ, სამშენებლო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგს მწვანე ბიზნესის დასაწარმად. საქართველოს სამშენებლო სექტორი იყენებს ძალზე მოძველებულ თბოტექნიკის ნორმებს, რომელიც ევროპული სტანდარტისგან ძალზე შორზე დგას. ძალზე ხშირია შემთხვევები როდესაც ეს კონკრეტული სტანდარტებიც დაუცველია, რითაც საკმაოდ დიდია დანაკარგები.

მიუხედავად ამისა, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საპარტნიორო ფონდის (სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი) მიერ განხორციელებული ინვესტიცია ქარხანაში, რომელიც აწარმოებს ენერგოეფექტურ სამშენებლო მასალას (სამშენებლო ბოკები) Ytong Caucasus (იტონგი კავკასია) საქართველოს ბაზრისთვის.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ენერგეტიკის და გარემოს დაცვის მიმართულებით მრავალი საკანონმდებლო აქტის მიღებას თუ განხორციელებას მოითხოვს. ეს კი არსებული ინსტიტუციური მოწყობითა და ადამიანური კაპიტალით საკმაოდ რთული და შრომატევად პროცესთან ასოცირდება. ამას ემატება 2020 წლისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნების განსაზღვრა, განვითარების გეგმებში მწვანე შეთანხმების დებულებების ასახვა და გრძელვადიანი გეგმის შედგენა, რაც შესაბამისი ენერგეტიკული სისტემის გარეშე ვერ მოხერხდება. ამიტომ გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განვითარების გეგმაში ყურადღება გამახვილდეს გაზრდილ ენერგომომხმარებასა და იმ რესურსებზე

<sup>10</sup> კაკულია, ე., გოგობია, თ., ბიბილაშვილი ნ., „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა საქართველოში“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები საქართველოში“ მასალების კრებული, თბ. 2019 გვ.145.

საიდანაც ეს გაზრდილი მოხმარება უნდა დამკაყოფილდეს, თუნდაც განახლებადი ენერგორესურსების საკითხებზე.

რაც შეეხება ენერგეტიკას, 2017 წლის 1 ივლისს საქართველო გახდა ენერგეტიკული თანეგობრობის წევრი. ასოცირების ხელშეკრულებით შეთანხმებული არის ენერგობაზრის მთავარი რეფორმების განხორციელების განრიგით მათ შორის ბუნებრივი აირის ბაზრის, ელექტროენერჯის, ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერჯისთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელება. ენერგეტიკული სამდივნოს 2018 წლის სექტემბრის შეფასებით საქართველოს მიერ ენერგორესურსებთან დაკავშირებული კანონების შესრულების საერთო დონე 23%-ს შეადგენს. სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება უკვე დასრულებულია. ენერგეტიკული თანამეგობრობის მიზანს წარმოადგენს საერთო ევროპულ ბაზრის ჩამოყალიბება, რომელშიც შევლენ ევროკავშირი და მისი მეზობლები.

ენერგეტიკაში მწვანე ზრდა ძირითადად უნდა დაეფუძნოს განახლებადი ენერჯის დანერგვასა და ენერგოეფექტურობაზე, მოთხოვნა მიწოდების მართვის ბალანსზე. ენერგეტიკის სექტორში მთავრობის ყურადღება ძირითადად გადატანილია მიწოდების უსაფრთხოებაზე და გენერაციის ობიექტების მშენებლობაზე, ძირითადად დიდ ჰიდროელექტროსადგურებზე და არა მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებაზე. საქართველოს მთავრობის მიერ 2006 წელს საქართველოს ენერგოპოლიტიკის ზოგიერთი მიმართულებების დოკუმენტით აღებული პრიორიტეტები უცვლელია, ამას ადასტურებს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2014 წელს საჯარო განხილვისთვის გამოტანილი დოკუმენტი „საქართველოს ენერგეტიკის პოლიტიკა“.

საქართველოს ელექტროსისტემის განვითარების გეგმაში ნაგარაუდევია, რომ ქარისა და მზის ელექტროსადგურების წილი მხოლოდ 18%-ს შეადგენდეს, თუმცა იქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბოსადგურების მნიშვნელოვანი მატება გათვალისწინებული არ არის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებას წარმოადგენს ბუნებრივი აირის ჩანაცვლების საკითხების განხილვა და მათი სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახვა. 2020 წლისთვის პარტლმანეტის მიერ მიღებულ იქნა კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ. ამავდროულად ვალდებულია ენერგოგაერთიანებაში ყოველწლიურად წარადგინოს ანგარიში წლიური სამიზნე მაჩვენებლების შესახებ. თუ დავეყრდნობით 2019-2020 წლების ანგარიშს, 2025 წლისთვის, პირველადი ენერჯის წყაროში ენერჯის დაზოგვამ შეიძლება 13% შეადგინოს, ხოლო საბოლოო მოხმარებაში 9%. აღნიშნული მაჩვენებელი 2030 წლისთვის არის 14% პირველადი ენერჯის წყაროში და 11% საბოლოო მოხმარებაში, ბიზნესის ჩვეულებრივი განვითარების გზასთან შედარებით<sup>11</sup>. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, თუ რომელი წლიდან ხდება განვითარების ამ ტრენდის ათვლა, დაკონკრეტებული არ არის. შედარებისთვის შეგვიძლია მოვიშველიოთ ევროკავშირის მაკენებელი, სადაც განახლებადი დირექტივის მიხედვით, 2030

<sup>11</sup> მთავრობა, „საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“.

წლისთვის პირველადი ენერჯის წყაროში ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი დაახლოებით 33%-მდე უნდა გაიზარდოს.<sup>12</sup>

OSCE ანგარიშის თანახმად, ქვეყანას შეუძლია ენერგოეფექტურობის სტატუსის გაუმჯობესება თუ მას გააჩნია მოქნილი კანონმდებლობა რომელიც დააკმაყოფილებს UNEP-ის 2006 კრიტერიუმებს. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავს გარემოსდაცვით ეფექტურობას, ეკონომიკურ ეფექტიანობას, საბიუჯეტო ხარჯებს, განხორციელების შესაძლებლობებს და უნარებს და დაინტერესებულ მხარეთა მხარდაჭერას<sup>13</sup>.

განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის განვითარების ბარიერებიდან უნდა უნდა გამოვყოთ დამოუკიდებელი სამთავრობო სტრუქტურის არსებობა, კერძო სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების არარსებობა და დაბალი ცნობიერების დონე, საგადასახადო და სატარიფო ინსენტივების არარსებობა, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობა<sup>14</sup>. სექტორის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის ამოქმედებას, სპეციფიკური სახელმწიფო გრანტებით წახალისება რათა მათ დანერგონ ახალი ტექნოლოგიების ენერჯის დაზოგვის მიზნით. ყოველივე ამის საფუძველზე საჭირო გარკვეულ ტიპის ღონისძიებების შემუშავება რომელთა შორის უნდა გამოვყოთ ენერგო ეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონმდებლობის შემუშავება, კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, რომლის მეშვეობითაც მომზადდება ახალი პროფესიული კადრები.

მწვანე შეთანხმება საქართველოსთვის ნიშნავს სისტემურ ტრანსფორმაციას, რაც გადაწყვეტს როლს თამაშობს თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქაში, სადაც საჭიროა ეკონომიკური მოდელის ამ სისტემაზე გადაწყობის პროცესში. ევროკავშირის მხრიდან შემოთავაზებულმა ახალმა მიზნებმა შეიძლება უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სათანადო უნარების შექმნა და გაზრდილი ფინანსური მხარდაჭერა, რაც იქნება ახალი გამოწვევა ქვეყნისთვის ახალი პერსპექტივების შექმნით. ეს აუცილებელია კოვიდ 19 პანდემიის პირობებში, რადგან გამოჩნდა, რომ ეკონომიკის მხოლოდ ერთ სექტორზე კონცენტრირება არასწორი მიდგომაა და აუცილებელია ინვესტიციების დივერსიფიცირება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს მიმართებით. თუმცა, ამისთვის აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური მზაობა, რაც გამოიხატება მეტ ინვესტიციებს გარემოსდაცვით მართვაში, პოლიტიკის დაგეგმვასა და არსრულებაში, ასევე ადმინისტრაციულ უნარებში.

მწვანე შეთანხმება მხოლოდ გარემოსდაცვითი დოკუმენტი არაა, მისი იდეა არის ასევე სოციალური თანასწორობის შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფა, რამაც, საუკეთესო შემთხვევაში, საფუძველი უნდა ჩაუყაროს თანასწორი და ჯანსაღი საზოგადოებების ფორმირებას.

---

<sup>12</sup> ESIA, “Energy Efficiency.”

<sup>13</sup> მწვანე ალტერნატივა – მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში თბ. 2014 გვ. 13.

<sup>14</sup> ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი - მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის UBCCE– GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2011 წ.



## დასკვნა

რა ფორმებით არის შესაძლებელი და რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ მისი უახლოესი პარტნიორის - ევროკავშირის ახალ სტრატეგიასთან მიერთება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ქვეყანა გეგმავს 2024 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის ფონზე. მიზანშეწინილია რეფორმები განხორციელდეს სამი ძირითადი მიმართულებით - ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ეკონომიკური.

თუ დავეყრდნობით ასოცირების ხელშეკრულების ლოგიკას, სადაც საქართველოს შესაძლებლობების გათვალისწინებით შესასრულებელია ევროკავშირის დირექტივების მხოლოდ ნაწილი, ევროკავშირის მწვანე შეთანხმებაში უნდა გამოვიყიოთ ის ძირითადი მიმართულებები რომელთა გათვალისწინებაც ამ ეტაპზე აუცილებელია.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის ამოსავალი წერტილი ასოცირების ხელშეკრულება უნდა იქცეს. შესაბამისად, საქართველომ მოლაპარაკებები ევროკავშირთან უნდა განახორციელოს ასოცირების ხელშეკრულების ფორმატში, რადგან ევროკავშირი ფინანსურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერას გამოუცხადებს ყველა მის პარტნიორ სახელმწიფოს, რომელიც ჩაებმება მწვანე შეთანხმების განხორციელებაში.

მწვანე შეთანხმება არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი დოკუმენტი. იგი მოიცავს განვითარების თითქმის ყველა სფეროს. შესაბამისად ხელისუფლების მხრიდან სასურველი იქნება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები, რომლებიც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლიან მწვანე შეთანხმების შესაძლო ზეგავლენას ქვეყანაზე და შეიმუშავენ შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება ასოცირების ხელშეკრულებასთან. შემდგომ პერიოდში აღნიშნული რეკომენდაციების ასახვა უნდა მოხდეს ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე.

მწვანე შეთანხმების კონტექსტში საქართველოს ეკონომიკის შემდგომი მოდერნიზაციის ფარგლებში გასათვალისწინებელია მწვანე ეკონომიკის და მწვანე ზრდის ფაქტორი. თანამედროვე ეტაპზე გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ, წარმართველ ძალად. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მწვანე საქმიანობაზე გადასვლა მყისიერად ვერ მოხდება, რადგან ორივე ზემოთაღნიშნული მიდგომა მეტად კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და მოითხოვს სამეცნიერო ცოდნას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ეფექტიან ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

გარემოსდაცვით ინოვაციებს გააჩნიათ მაღალი საექსპორტო პოტენციალი, რაც მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. შესაბამისად ევროკავშირის მხრიდან გამოიხატება მზადყოფნა აღნიშნული მეთოდების დასანერგად. ეს კი ემთხვევა საქართველოს მთავრობის ინტერესს და მზადყოფნას აღნიშნული პროცესები ხელშესაწყობად. ამისთვის კი პირველ



ეტაპზე საჭიროა მდგრადი განვითარების პრინციპებისა და პოლიტიკის გატარება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

განსაკუთრებული ყურადღება ენერგეტიკის სფეროს უნდა მიექცეს, რადგან მწვანე შეთანხმებასთან მიმართებაში, განსახორციელებელია მთელი რიგი რეფორმები. უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის კანონმდებლობისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საპილოტე პროექტების განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ენერგეტიკურობის დაზოგვად. სახელმწიფო შენობებისთვის ენერგოაუდიტის ჩატარება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ენერგომომხმარებლის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, შედეგად შემცირდება მოხმარება და დაიზოგება სახელმწიფო ფინანსების ხარჯვითი ნაწილი

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ევროკავშირში საექსპორტო საქონლის მწარმოებელი კომპანიების საწარმოო ციკლის ნახშირბადინტენსივობას, რათა ისინი შეესაბამებოდნენ მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებული „ნახშირბადის“ სასაზღვრო კონტროლის მექანიზმის“ მოთხოვნებს.

საზოგადოდ, მწვანე შეთანხმებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელი გარემოსადმი მეგობრული ორგანული პროდუქტებით უზრუნველყოფას. აღნიშნული მიმართულებით ევროკავშირმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ორგანული პროდუქტებისა და მისი ნიშანდების რეგულაციებში, რომელიც მიმდინარე წლიდან შევა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით ევროკავშირში ექსპორტიორ ქვეყნებს იგივე მოეთხოვებათ, რაც ევროკავშირის ქვეყნების მწარმოებლებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანა და სოფლის მეურნეობის ექსპორტიორი კომპანიები მზად უნდა იყვნენ ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება სოფლის მეურნეობის მიმართულებით ახორციელებს გარკვეულ პროექტებს, სოფლის მეურნეობის სექტორი მთელი რიგი გამოწვევების წინაშე დგას. ამისთვის კი საჭირო შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ორგანულ საკვებზე. მნიშვნელოვანია სერთიფიცირების პროცესის დანერგვა საერთაშორისოდ აღიარებული სქემების გზით.

## ბიბლიოგრაფია

1. World Commission on Environment and Development, “Our Common Future.” 1989;
2. მიქაძე, ეკატერინე., „ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის“ თბილისი 2021 წ;
3. European Commission – “The European Green Deal”;
4. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2496959/0/ge/pdf> [უკ ა ნ ა ს კ ნ ე ლ დ გ ა და მ ო წ მ და 10.02.2022];
5. მწვანე ალტერნატივა - „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ თბ. 2013;
6. Declaration on Green Growth Adopted at the Meeting of the Council at Ministerial Level on 25 June 2009 [C/MIN(2009)5/ADD1/FINAL];
7. The Economics of Ecosystems and Biodiversity Initiative (TEEB), 2010;
8. Knight, Daniel, M., The green economy as a sustainable alternative?;
9. მწვანე ალტერნატივა - „მწვანე ეკონომიკის დილემა“ - საჯარო პოლიტიკის ნარკვევი, თბ. 2019;
10. კაკულია, ეთერ., გოგობია, თეიმურაზ., ბიბილაშვილი, ნანა., „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა საქართველოში“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მწვანე ეკონომიკის ფორმირების თანამედროვე პრობლემები საქართველოში“ მასალების კრებული, თბ. 2019;
11. საქართველოს მთავრობა, „საქართველოს ენერგოეფექტურობის 2019-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“;
12. ESIA, “Energy Efficiency”;
13. მწვანე ალტერნატივა – მწვანე ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში თბ. 2014;
14. ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი - მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის სტრატეგია საქართველოს კერძო ბიზნეს ორგანიზაციებისთვის UBCCE– GIZ ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2011;
15. Should We Fear the Robot Revolution? (The Correct Answer is Yes), Author/Editor: Andrew Berg; Edward F Buffie; Luis-Felipe Zanna, May 21, 2018.

## ევროპის მწვანე შეთანხმება - ღრმა კოგნიტური ილუზიის ფრილში დანახული ახალგაზრდობის ეკო-ცნობიერება

ანასტასია მენშიკოვა

ლექტორი, ლაზარსკის უნივერსიტეტი

ირინა ბურჩინკო

სტუდენტი, ლაზარსკის უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ევროპის მწვანე შეთანხმება ევროკავშირის ისტორიაში უდიდეს ეკონომიკურ შესწორებას წარმოადგენს. აღნიშნული პროექტის შესახებ კონფერენციებზე, საერთაშორისო შეხვედრებზე და მედიისა თუ კომუნიკაციის სხვადასხვა არხებზე უამრავი პროფესიონალი და ექსპერტი საუბრობს, თუმცა საინტერესოა ეკონომიკის, ინოვაციისა და მეცნიერების სფეროს მიღმა მყოფ ადამიანებს რამდენად ესმით იგი, ისევე როგორც ხსენებულ საკითხთან მიმართებით განსხვავებული აუდიტორიისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში ჩართული ადამიანების ცნობიერების დონე. დარგის უამრავი წარმომადგენელი ჩართულია ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნებისთვის გადაწყვეტის გზების ძიებაში და, რა თქმა უნდა, აღნიშნულ სფეროსთან ახლოს მდგომი მეცნიერები ამ მოსაზრებებს იზიარებენ. თუმცა, დარგს მიღმა მყოფი ახალგაზრდა თაობის როლიც საინტერესოა, რომელთა თაობამაც აღნიშნულ პროცესებში იდეების რელობად ქცევა უნდა მოახდინონ. ევროპის მწვანე შეთანხმების ჭრილში მომხმარებლის ცნობიერების მნიშვნელობისა და გავლენის როლიც გასარკვევია. აღნიშნული საკითხის გაანალიზებისას, ავტორები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რელევანტური პრობლემის, მომხმარებლის ქცევისა და მდგრადი განვითარების, არა მკაცრად სამეცნიერო ჭრილში და პარადიგმებში, არამედ ადამიანურ ენაზე გასაგები სამეცნიერო გადმოსახედიდან განხილვას. კვლევაში უფრო დეტალური შესვლა გვიჩვენებს, რომ წინამდებარე ნაშრომი ღრმა კოგნიტური ილუზიის ჭრილში დანახული ახალგაზრდობის ცნობიერების ანალიზს წარმოგვიდგენს, ვინაიდან პოტენციურ მომხმარებელსა და მოძრაობის წამმართველ ძალას სწორედ ისინი წარმოადგენენ. ეკოლოგიის ასპექტებთან დაკავშირებით ახალგაზრდა სემენტის ცნობიერების ასამაღლებლად ინფორმაციის გაზიარებას ამჟამად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ გამოსარკვევია, ახალგაზრდებს აღნიშნული საკითხი რამდენად აქვთ გაცნობიერებული, და რამდენად შესაძლოა, ისინი ცვლილების განმხორციელებლად მოგვევლინონ.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპის მწვანე შეთანხმება, ღრმა კოგნიტური ილუზია, მწვანე კამუფლაჟი, ცნობიერება, მდგრადი განვითარება

## შესავალი

თანამედროვე მსოფლიო სრულიად განსხვავებული არხებიდან ხელმისაწვდომი ინფორმაციითაა გაჯერებული. რამდენიმე ათწლეულის წინ ინფორმაციის მოპოვება გუგლის საძიებო ველში ჩაწერაზე მეტ ძალისხმევას საჭიროებდა. ინფორმაციის რთულად მოპოვების პროცედურას კიდევ უფრო დიდი ფილტრიც თან ახლდა. დღესდღეობით, ხშირად არაპროფესიონალთა მიერ განხორციელებული სამიზნე რეკლამირებისას, ინტერნეტი მკითხველს უამრავი სახის ისეთ თემატიკას სთავაზობს, რომლის შესახებაც მას ინტერესი არ გამოუთქვამს. აღნიშნულმა ჭარბმა ინფორმაციამ შესაძლოა ინფორმაციული გადაღლილობა გამოიწვიოს<sup>1</sup>, რაც სადამოკებით წიგნის კითხვის ან ტელევიზორის ყურების სურვილის არქონაში გამოვლინდეს. ეგრეთ წოდებული ინფორმაციული ბუმი, ზოგიერთი მწერლის აზრით, ღრმა კოგნიტური ილუზიის სახელით ცნობილ მოვლენას ქმნის.<sup>2</sup>

მაგალითად მიზნობრივი რეკლამის მეშვეობით ჩაიდნის ფუნქციის შესახებ აღებული სტატია გამოდგება: სამიზნე პირი ბმულზე აჭერს და სტატიას ავთენტურობისა და წყაროს გადამოწმების გარეშე კითხულობს. წაკითხვის შემდეგ სამიზნე პირი ფიქრობს, რომ ახლა უკეთ იცის ჩაიდნების ოპერირების პრინციპების შესახებ, თუმცა მსგავსი სტატიის დაწერა და კარგად შეფუთულ პლატფორმაზე განთავსება ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია.<sup>3</sup> რას ნიშნავს ყოველივე ეს და რა კავშირშია იგი თემასთან? „ცხოვრების მდგრადი სტილის“ გარეკლამება ჩვენი დროის ერთ-ერთი აქტუალური თემაა, რომლის შესახებაც უამრავი პიარ კამპანია ტარდება, ინფლუნსერები ბევრ ფულს შოულობენ, ნარჩენების სორტირების, წყლის ნაკლები მოხმარებისა და ხორცის შემცირებული მიღების შესახებ კი უპრეცედენტოდ მრავალფეროვანი ინფორმაცია მოიპოვება. შედეგად, ავტორები ახალგაზრდობის ეკო-ცნობიერების დონით დაინტერესდნენ. შესაბამისად, აღნიშნული მოვლენის ემპირიული კვლევის მეთოდად ღრმა კოგნიტური ილუზიის ჭრილი იქნა შერჩეული, რათა შემოწმებულიყო ჰიპოთეზა, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მრავალფეროვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფონზე, თუ რამდენად აცნობიერებს ახალგაზრდა თაობა ევროპის მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებული პრობლემების გადაჭრის გზებს და ახდენს თუ არა ეს უკანასკნელი მათ მომხმარებლურ ქცევაზე გავლენას.

ევროპის მწვანე შეთანხმების მიზნები კონკრეტული და დეტალურია. თუმცა, აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს თემის შესახებ ინფორმაციის გაზიარება და პოპულარიზაცია<sup>4</sup>, არა მხოლოდ ევროპის მწვანე შეთანხმებასთან შემხებლობაში მყოფ პოლიტიკოსებთან, სოციოლოგებთან, ეკონომისტებსა თუ სპეციალისტებთანაა საჭირო, არამედ არასამეცნიერო კონფერენციების, გამოქვეყნებული პაქტების, ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა თუ ტრენდების ინფორმაციის გავლენის ქვეშ

<sup>1</sup> Simpson, C. W. and Prusak, L. 1995. Troubles with information overload – Moving from quantity to quality in information provision. *International Journal of Information Management*, 15: 413-425.

<sup>2</sup> Waytz, A., 2017. The Illusion of Explanatory Depth. Available at: <https://www.edge.org/response-detail/27117>.

<sup>3</sup> Schneider, S. C. 1987. Information overload: Causes and consequences. *Human Systems Management*, 7: 143-153.

<sup>4</sup> European Commission, Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, Education for environmental sustainability: policies and approaches in European Union Member States: final report, Tasiopoulou, E. (editor), 2022, <https://data.europa.eu/doi/10.2766/391>. [L.s.20.03.2022].

მყოფ ახალგაზრდებთანაც. მომხმარებელს ახალი ტელეფონის ყიდვა მისი ეკო-მეგობრულობის მიუხედავად მაინც სჩვევია<sup>5</sup>, რადგან „ტრენდულობა“ „მწვანე შეგნებაზე“ უფრო მეტადაა წინ წამოწეული.

ამავდროულად, პროდუქციის შესახებ მომხმარებლისთვის ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანია. აღნიშნული თემა ბიზნეს სამყაროში იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ეგრეთ წოდებული „მწვანე კამუფლაჟი“ იქნა შემოღებული. მწვანე კამუფლაჟი მწვანე მეთოდებისა და სლოგანების გამოყენებით მიღწეული მარკეტინგული ხერხია<sup>6</sup>, თუმცა სინამდვილეში, იგი ორგანიზაციისთვის ხალხის თვალში მცდარი იმიჯის შექმნას ემსახურება. ეკო-პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნილება ზოგიერთი უპრინციპო მწარმოებლისა და მარკეტინგის სპეციალისტთა ხელში სპეკულაციის თემად იქცა, როგორცაა სიტყვების „ეკო“ და „ბიოს“ უსაფუძვლო გამოყენება.<sup>7</sup> ნათელ მაგალითს მწარმოებლის მიერ ხის მოსაპირკეთებელი მასალის ეკო-მეგობრულად გასაღება წარმოადგენს. მწარმოებელი განზრახ, ან შეუგნებლად მაღავს სატყეო კანონების დარღვევით მასალის მოპოვებისა და მისი არაეკოლოგიური შემადგენლობის მქონე ქიმიკატებითა და საღებავებით გაჯერების ფაქტს. ბუნებრივი პროდუქცია ეკოლოგიურ ნაწარმს არ უდრის. მწვანე კამუფლაჟი ეკოლოგიური პროდუქციის განვითარებისა და მოხმარების შანსებს სპობს.

შედეგად მხოლოდ მოტყუებული მყიდველი როდი ზარალდება, არამედ გარემოზე პასუხისმგებელ ბიზნესებს საწარმოები ანაცვლებენ<sup>8</sup>, რომლებიც ნარჩენების ყოველგვარი გადამუშავების გარეშე, ჰაერისა და წყლის დაბინძურებას განაგრძობენ. აღნიშნულმა შესაძლოა კონკურენციის იმიტაცია შექმნას, ხოლო ჭეშმარიტად „მწვანე“ ფირმებს არსებობის საშუალება მოუსპოს.

თანამედროვე ბაზრის რეალობას მწარმოებლისა და მომხმარებლის მხრიდან ინფორმაციის ნაკლებად გამჭვირვალობა წარმოადგენს. სწორედ აქ იჩენს თავს ღრმა კოგნიტური ილუზიის მოვლენა. დიდი მოთამაშეები ცნობიერების მხარეს აჩქარებულად იხრებიან, რასაც მცირე და საშუალო ბიზნესზე ვერ ვიტყვით. მცირე და საშუალო ზომის წარმოებისთვის ადგილობრივი კანონმდებლობის შემუშავებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ისინი ევროპის ბაზრის დიდ ნაწილს იკავებენ<sup>9</sup>, თუმცა ერთი და იგივე წესები ყველა ბაზარზე განსახვავებულად მუშაობს. შესაბამისად, ინდივიდუალური მიკრო ბაზრების (ქვეყნები, რეგიონები, ქალაქები) საერთო მიზნების რეალობასთან მორგება აუცილებელია.

<sup>5</sup> European Commission, Directorate-General for Environment, Policies to encourage sustainable consumption: full report, Publications Office, 2012, <https://data.europa.eu/doi/10.2779/6032>. [L.s.20.03.2022].

<sup>6</sup> Rienstra, D. “Is Corporate Social Responsibility the Greening of Industry, or its Green washing?” *Humanitarian Affairs Review*. Spring (2003).

<sup>7</sup> Barone, M. J., Miyazaki, A. D., Taylor, K. A. (2000). The influence of cause-related marketing on consumer choice: Does one good turn deserve another? *Journal of the Academy of Marketing Science*, 28, 245–267.

<sup>8</sup> Alves, I. M. (2009). Green spin everywhere: How greenwashing reveals the limits of the CSR paradigm. *Journal of Global Change and Governance*, 2, 9–34.

<sup>9</sup> Charlotte Roig-Ramos, Thomas Pellerin-Carlin, *Cities in Europe: what EU innovation can do for climate neutrality*, Jacques Delors, Institute, September 2019.



მდგრადი განვითარებით გათვალისწინებული ცოდნა და ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში წარმატებით იკიდებს ფეხს. სხვადასხვა უნივერსიტეტებს აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით პროგრამებიც კი აქვთ შემუშავებული. მაგალითად, ვარშავის ეკონომიკის სკოლის გლობალური ბიზნესის, ფინანსებისა და მართვის პროგრამაზე არსებობს მდგრადი განვითარების პროგრამა, რომელიც მდგრადი განვითარების, კლიმატის და მომხმარებლისა და ბიზნესის ცნობიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს შეისწავლის. ბუნებრივია, რომ მდგრადი განვითარება განათლების, გადამზადებისა და უნარების განვითარების მხრივ უამრავ პროექტს მოიაზრებს, როგორცაა სასწავლო გეგმაში (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩათვლით) ეკო-ცნობიერების ამაღლებისა და ეკო-მეგობრული ტექნოლოგიების გაუმჯობესების საჭიროება, წარმოების პროცესები, პროდუქცია, ეკონომიკის ყველა სექტორის ბიზნესი და სერვისები, ტრადიციულ სწავლებასა და ცოდნაში ცვლილება და ახალი ტიპის სწავლა, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ ცვლილებებთან მხარდამხარ განვითარებული ის უნარები და ღირებულებები, რომლებსაც საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთად გაიზიარებენ.<sup>10</sup>

ზოგადი ეკო-მიზნის გარდა, სოციალური ფოკუსის შენარჩუნებისას, მეწარმის მთავარი მოტივატორი რესურსების კონტროლის, მეტად ინოვაციური მეთოდებისა და მოგებასთან ერთად ახალი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნაშიც უნდა მოიაზრებოდეს. პრობლემის სწორად მიწოდების შემთხვევაში, მომხმარებელი ეკო-პროდუქციის შესაძენად ზედმეტი თანხის გადასახდელად მზად არის<sup>11</sup>, რაც ეკოლოგიას ახალ კონკურენტულ უპირატესობად აქცევს. იგი მსყიდველობით ქცევას ცვლის და ახალი პროდუქციისა და მომსახურების მიმართ მოთხოვნას აყალიბებს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ავტორებმა ღრმა კოგნიტური ილუზიის ჭრილში ახალგაზრდა აუდიტორიის მწვანე ცნობიერების შემოწმება გადაწყვიტეს.

### 1. ღრმა კოგნიტური ილუზია

ღრმა კოგნიტური ილუზია პიროვნების მიერ მიზეზ-შედეგობრიობის პრინციპის ზედმიწევნით აღქმას გულისხმობს, თუმცა რეალურად ეს ასე არ არის. იელელმა ფსიქოლოგებმა როზენბლითმა და ქაილმა აღნიშნული საკითხი „სახალხო მეცნიერების არასწორად გაგებული საზღვრები - ღრმა კოგნიტური ილუზიის“ სახელით ცნობილი კვლევის მეშვეობით შეისწავლეს და ხსენებული ტერმინი 2002 წელს შემოიღეს. ზემოხსენებულ ფსიქოლოგთა თანახმად, ღრმა კოგნიტური ილუზია პიროვნებას სამყაროს აღქმასთან დაკავშირებით რეალურზე უფრო ღმა შეგრძნებას უტოვებს.<sup>12</sup>

<sup>10</sup> European Commission, Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, Education for environmental sustainability: policies and approaches in European Union Member States: final report, 2022, <https://data.europa.eu/doi/10.2766/391>. [L. s.20.03.2022].

<sup>11</sup> Aryal, K.P., Chaudhary, P., Pandit, S. Sharma, G. (2009). Consumers' willingness to pay for organic products: a case from Kathmandu Valley. The Journal of Agriculture and Environment.

<sup>12</sup> Menshkykova, A., 2021. The Illusion of Explanatory Depth from the Perspective of Gender Socialization. Warsaw: Lazarski University Press.

უნიტაზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის შემთხვევაში, ადამიანთა უმეტესობა მყისიერად უპასუხებდა, რომ მათ იციან მისი მუშაობის პრიციპები, ვინაიდან იგი უბრალოდ უნიტაზია. აღნიშნული შეკითხვის ღრმად გააზრების შემთხვევაში, ადამიანები გააცნობიერებდნენ, რომ მათ უნიტაზის ფუნქციონირების შესახებ ზედაპირული წარმოდგენა გააჩნიათ, თუ რა თქმა უნდა, რომელიმე მათგანს საინჟინრო ან პროფესიული ცოდნა არ აღმოაჩნდებოდა. ღრმა კოგნიტური ილუზია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ კონკრეტული თემის შესახებ გადაჭარბებულ და არასწორ ცოდნაში აისახება. სხვა მაგალითებად მაცივრების, ელვა შესაკრავების, საკეტების, მათემატიკის, ისტორიის, ხელოვნების, მდგრადი განვითარების შესახებ ზოგადი ცოდნის, ანდა ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ გლობალური კონცეფციები გამოდგებოდა. ავტორები აღნიშნულ მოვლენას ეკო-თემატიკის ცოდნის დონის დასადგენ პრიზმად აქტიურად განიხილავენ. ინტერნეტსა თუ სხვა საშუალებებში ხსენებულ თემატიკასთან დაკავშირებით აუარებელი ინფორმაცია მოიპოვება, მაგრამ ჩვენს მიერ საკითხის მნიშვნელობის გააზრების დონის დადგენა საინტერესოა.

## 2. მეთოდოლოგია, კვლევა და აღწერა

ავტორების კვლევის მიზანს პოლონეთში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეკო-ცნობიერებისა და ღრმა კოგნიტური ილუზიის დონეებს შორის კორელაციის ჰიპოთეზის კვლევა წარმოადგენს. სტატის ერთ-ერთ საკვლევ მიზანს ევროპის მწვანე შეთანხმებით გათვალისწინებულ პრობლემებსა და მათი მომხმარებლის ქცევაზე გავლენის შესახებ რესპოდენტების ცნობიერება წარმოადგენს. ინფორმაციის შეკრების საშუალებად ონლაინ გამოკითხვა შეირჩა.

გამოკითხვა რესპოდენტთა პირად ინფორმაციის შეიცავს, მათ შორის ეროვნებას, ასაკს და პროფესიას. აღნიშნული, მიღებულ ინფორმაციაზე შემდგომი კვლევებისა და ჰიპოთეზების ჩატარების საშუალებას ემსახურებოდა. ყველა შეკითხვა ადამიანების ეკო-ჩვევებს შეეხებოდა. ავტორები მათ კოგნიტური მიკერძების თავიდან აცილების მიზნით განმარტავდნენ. მნიშვნელოვან ფაქტორს რესპოდენტის მიერ არა მხოლოდ გაგება, არამედ კონკრეტული მოქმედება განაპირობებს. ასევე მოიაზრება, რომ ეკო-ეტიკეტი ეკოსისტემის მდგომარეობას უნდა აუმჯობესებდეს, თუ არადა, მარკეტინგული სვლა ყოფილა.

17-25 წლის ასაკის სტუდენტთა ჯგუფი იქნა შერჩეული. მიზანს ერთი და იგივე ასაკისა და სოციალური ჯგუფის ადამიანებთან ინტერვიუდან წარმოშობილი კვლევითი მიკერძოების თავიდან აცილება წარმოადგენდა. ერთ-ერთი ავტორის ლექტორობა და მეორის სტუდენტობა საქმეს უფრო აადვილებდა. ონლაინ გამოკითხვის ფორმატმა მონაწილეებს შორის წარმატებული ხელმისაწვდომობა უზრუნველყო. ფიზიკური მონაწილეობის მიღების საჭიროების არარსებობამ ლექტორებს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, ქალაქებიდან და ქვეყნებიდანაც კი მისცა სტუდენტების ყურადღების მიპყრობის საშუალება. ავტორებმა რესპოდენტთა მინიმალური, კულტურული, ასაკობრივი თუ მსოფლმხედველობითი ჯგუფი შეარჩიეს. რაც შეეხება ეთნიკურ შეადგენლობას, უკრაინელები, ბელარუსები, პოლონელები

და რუსები ჭარბობდნენ. აკადემიური სფეროები სრულიად განსხვავდებოდა და მათ უმეტესობას ეკოლოგიასთან შეხებაც კი არ ქონდა. ავტორებს რესპოდენტთა მსყიდველობითი და სამომხმარებლო ქცევიდან გამომდინარე კონკრეტული მოქმედება უფრო აინტერესებდათ, ვიდრე მხოლოდ მათი ცნობიერების დონე. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მონაცემთა შემდგომი ჰიპოთეზების შემოწმებისთვის გამოდგომაში იმალება. შეკითხვების ხილვა პირველ დანართშია შესაძლებელი.

### დასკვნა

მწვანე შეთანხმებით გადასაჭრელ პრობლემებთან დაკავშირებით ავტორთა მიერ წარმოდგენილი კვლევა და ჰიპოთეზა მომხმარებელთა ქცევაზე ღრმა კოგნიტური ილუზიის გავლენის ინდიკატორებს წარმოადგენენ. რესპოდენტთა 27.5 პროცენტს ევროპის მწვანე შეთანხმების შესახებ სრულად, ხოლო 43.5 პროცენტს სანახევროდ სმენოდა, თუმცა არასწორ გაგებასაც ხშირად ქონდა ადგილი. დარგის მცოდნე პიროვნებები თვლიდნენ, რომ მათ ცვლილების ძალა არ შესწევდათ, ხოლო მათი უნარები უნიშვნელო იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფართო აუდიტორიას პრობლემის შინაარსი გასაგებად არ განემარტება. ეკოლოგიურ პროდუქციაზე მოთხოვნის არსებობაც გასათვალისწინებელია. კვლევის თანახმად, რესპოდენტთა უმეტესობა წვანე პროდუქციის შემენის გარდა მწვანე ჩვევების მქონეც აღმოჩნდა. რესურსების დაზოგვისკენ მიმართული ქცევის (წყლის ეკონომიის კატეგორია, ელექტროენერჯის დაზოგვა - 75.4%) ტენდენციაც შეიმჩნევა. რესპოდენტები ცელოფანის პარკების შემცირებასა და მრავალჯერადი გამოყენების პარკებს ანიჭებდნენ უპირატესობას (60.9%).

ამავდროულად, მარკეტინგული ჩვეულების გამო ყალბი ეკო-ეტიკეტის მიმართ მხარდაჭერა გამოიკვეთა, ვინაიდან რესპოდენტთა 65.5 პროცენტი ეკო და ბიო ეტიკეტის მქონე პროდუქციას ოფიციალურ ეკო-ეტიკეტის დონეზე მოიხმარდა. ინფორმაციის გავრცელება სახეზეა, მაგრამ რესურსების თვისებებთან დაკავშირებით მოკვლევა არასაკმარისია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის მიერ ინიცირებული ევროპის მწვანე შეთანხმება ეკონომიკის, პოლიტიკისა და ადამიანების ცხოვრების „გამწვანებისკენა“ მიმართული. იგი არა მხოლოდ ფართომასშტაბიან და ღრმა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს მოიცავს, არამედ ბაზრის ჩვეულ წესებთან, მოხმარებასა და არჩევანთან დაკავშირებით მომხმარებლის გაზრდილ ცნობიერებასაც გულისხმობს. აღნიშნული საკითხის შესწავლა განსაკუთრებით ქცევითი ეკონომიკისა და მარკეტინგის გადმოსახედიდანაა საინტერესო, ვინაიდან ეკო-ჭრილში გადანაცვლებისთვის მდგრადი განვითარების აღქმისა და გააზრების საკითხი ბაზრის ორივე მხარის წარმომადგენლის, მომხმარებლისა და მწარმოებლისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია.

### ბიბლიოგრაფია

1. Simpson, Chester. W. and Prusak, Laurence. 1995. Troubles with information overload – Moving from quantity to quality in information provision. *International Journal of Information Management*, 15;
2. Waytz, Adam, 2017. The Illusion of Explanatory Depth. Available at: <https://www.edge.org/response-detail/27117>. [Last seen 20.03.2022];
3. Schneider, Susan C. 1987. Information overload: Causes and consequences. *Human Systems Management*, 7;
4. European Commission, Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, Education for environmental sustainability: policies and approaches in European Union Member States: final report, Tasiopoulou, E.(editor), 2022, <https://data.europa.eu/doi/10.2766/391>;
5. European Commission, Directorate-General for Environment, Policies to encourage sustainable consumption: full report, Publications Office, 2012, <https://data.europa.eu/doi/10.2779/6032> [Last seen 20.03.2022];
6. Rienstra, D. “Is Corporate Social Responsibility the Greening of Industry, or its Green washing?” *Humanitarian Affairs Review*. Spring (2003);
7. Barone, Michael J., Miyazaki, Anthony D., Taylor, Kimberly. A. (2000). The influence of cause-related marketing on consumer choice: Does one good turn deserve another? *Journal of the Academy of Marketing Science*, 28;
8. Alves, Igor. M. (2009). Green spin everywhere: How greenwashing reveals the limits of the CSR paradigm. *Journal of Global Change and Governance*, 2;
9. Charlotte Roig-Ramos, Thomas Pellerin-Carlin, Cities in Europe: what EU innovation can do for climate neutrality, Jacques Delors Institute, September 2019;
10. European Commission, Directorate-General for Education, Youth, Sport and Culture, Education for environmental sustainability: policies and approaches in European Union Member States: final report, 2022, <https://data.europa.eu/doi/10.2766/391> [Last seen 20.03.2022];
11. Aryal, Kamal P., Chaudhary, Pashupati, Pandit, Sangita, Sharma, Govinda. (2009). Consumers’ willingness to pay for organic products: a case from Kathmandu Valley. *The Journal of Agriculture and Environment*;
12. Menshykova, Anastasiia, 2021. The Illusion of Explanatory Depth from the Perspective of Gender Socialization. Warsaw: Lazarski University Press;
13. Agora Energiewende and Ember. 2021. ‘The European Power Sector in 2020.’ Available at: <https://www.agora-energiewende.de/en/publications/the-european-power-sector-in-2020/> [Last seen 20.03.2022];
14. Artelys. 2020. ‘An Updated Analysis on Gas Supply Security in the EU Energy Transition.’ Available at: <https://www.artelys.com/wp-content/uploads/2020/01/Artelys-GasSecurityOfSupply-UpdatedAnalysis.pdf>. [Last seen 20.03.2022];
15. Council of the European Union. 2021. ‘Outcome of Proceedings, Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council Establishing the Framework for Achieving Climate

- Neutrality and Amending Regulation (EU) 2018/1999 (European Climate Law).’ Available at: <https://www.consilium.europa.eu//media/49461/st08440-en21.pdf>. [Last seen 20.03.2022];
16. Dejgaard, Hans Peter, and Appelt, Jonas 2018. ‘An Analysis of the Climate Finance Reporting of the European Union.’ Actalliance EU (April):1–58. Available at: <https://actalliance.eu/resources-post/analysis-an-analysis-of-the-climate-finance-reporting-of-the-european-union/>. [Last seen 20.03.2022];
  17. European Commission, 2021. A European Green Deal. Available at: [https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal\\_en](https://ec.europa.eu/info/strategy/priorities-2019-2024/european-green-deal_en). [Last seen 20.03.2022];
  18. European Commission. 2020. ‘A New Industrial Strategy for Europe.’ Available at: [https://ec.europa.eu/info/sites/default/files/communication-eu-industrial-strategy-march-2020\\_en.pdf](https://ec.europa.eu/info/sites/default/files/communication-eu-industrial-strategy-march-2020_en.pdf). [Last seen 20.03.2022];
  19. European Commission. 2021. ‘European Green Deal: Commission Proposes Transformation of EU Economy and Society to Meet Climate Ambitions.’ Available at: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip\\_21\\_3541](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_21_3541) [Last seen 20.03.2022];
  20. Fernbach, Philip, Sloman, Steven, 2017. The knowledge illusion: why we never think alone. New York: Riverhead Books;
  21. Frederick, Shane, 2005. Cognitive reflection and decision making. *Journal of Economic Perspectives*, 4(19);
  22. Fulcher, James, Scott, John, 2011. *Sociology*. Oxford: Oxford University Press;
  23. Furfari, Samuel, and Mund, Ernest. H., 2021. Is the European green deal achievable? *The European Physical Journal Plus*. 136. 10.1140/epjp/s13360-021-02075-7;
  24. Kahneman, Daniel, 2011. *Thinking, fast and slow*. New York: Farrar, Straus and Giroux;
  25. Keil, Frank, Rozenblit, Leonid., 2002. The misunderstood limits of folk science: an illusion of explanatory depth. *Cognitive Science*, 5(26);
  26. Polish Government. 2021. ‘Polityka Energetyczna Polski Do 2040 R.’ Available at: <https://www.gov.pl/web/klimat/polityka-energetyczna-polski> [Last seen 20.03.2022];
  27. The Sustainability Institute by ERM (Environmental Resources Management), 2019. *Green New Deals: The Role of Business*. Available at: <https://www.sustainability.com/thinking/green-new-deals-the-role-of-business/> [Last seen 20.03.2022];
  28. WindEurope. 2020. ‘Our Energy, Our Future.’ Available at: <https://windeurope.org/about-wind/reports/our-energy-our-future/> [Last seen 20.03.2022];
  29. World Economic Forum, 2020. No More Business as Usual: Green Deal Needed in Europe’s Recovery, Say Company Leaders. Available at: <https://www.weforum.org/press/2020/09/no-more-business-as-usual-green-deal-needed-in-europe-s-recovery-say-company-leaders/> [Last seen 20.03.2022].



### დანართი 1.


გამოყენებული კითხვარი:

[https://docs.google.com/forms/u/0/d/1aPLYr5R7sL57QJvCcmO1Rz\\_Piwu8D28v92YoVW2G6LE/printform](https://docs.google.com/forms/u/0/d/1aPLYr5R7sL57QJvCcmO1Rz_Piwu8D28v92YoVW2G6LE/printform)

### დანართი 2. Diagrams


Do you know what is the European Green Deal?

69 responses




When you go out of the room, do you turn off the lights?

69 responses



When you go to the grocery, do you buy a plastic bag?


69 responses



- Yes, always
- I have my own reusable bag
- I am working on it
- When there is an option to choose at a grocery, I go for a paper bag
- I use Instacart and my groceries just come in the plastic bags. I then reuse those plastic bags for trash around the house.

How do you understand that the product is 'eco'? (you can choose multiple options here)

69 responses



## მოსახლეობის მიერ ბიო-პროდუქტების გამოყენების ანალიზი ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მაგალითზე

**ქეთევან ლატარია**

ასოცირებული პროფესორი,

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ნათია ხაზარაძე**

ასოცირებული პროფესორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშეწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად. საქართველოს მთავრობა მწვანე ეკონომიკას ქვეყნის მომავალი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. მწვანე ეკონომიკა და მწვანე ზრდა საჭიროებს მთელი საზოგადოების ჩართულობას. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღებ საქმიანობაზე გადასვლა სწრაფად არ ხორციელდება, რადგან მწვანე ზრდა მრავალმხრივი და კომპლექსური საკითხია და სხვა ფაქტორებთან ერთად მოითხოვს საზოგადოების ცნობიერების გარკვეულ დონეს.<sup>1</sup>

ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაში აღინიშნება მზარდი ინტერესი ბუნებისთვის ზიანის მიყენების პრობლემის მიმართ, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა საქონლის წარმოებით, ექსპლუატაციითა და უტილიზაციით. ეკოლოგიური თვალსაზრისით არარაციონალური წარმოების და მოხმარების სტრუქტურების ცვლილება, შესაბამისად, გადაიქცევა სოციალური განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად. თუმცა, ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე ორიენტაცია განმტკიცებული უნდა იყოს მისი მომგებიანობის აღიარებით, საწარმოს შესაძლებლობით მიიღოს, როგორც პირდაპირი ფინანსური სარგებელი - ნედლეულზე გაწეული ხარჯების შემცირების, ნარჩენების დამუშავების, დაზღვევისა და პასუხისმგებლობის გზით, ისე არაპირდაპირი - ეკოლოგიური მარკეტინგის და საზოგადოებრივი აზრის უფრო ეფექტური გამოყენების გზით.

---

<sup>1</sup> მწვანე ეკონომიკა <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf> [უ. გ. 27.02.2022].

მწვანე მარკეტინგული სტრატეგიები, ძვირი და რთულია, გამომდინარე აქედან მისი წარმატებით შესრულება დიდ ძალისხმევას საჭიროებს.<sup>2</sup> ფირმებს მწვანე სტრატეგიებმა იმ შემთხვევაში შეიძლება მოუტანონ მოგება, თუ ისინი შეძლებენ ცალსახად გამოიმუშაონ სასურველი მიზნობრივი პოზიციები მომხმარებლების გონებაში ბაზარზე არსებული მწვანე ბრენდის მიმართ. როგორც წესი, დროთა განმავლობაში, უფრო წარმატებული ხდებიან ასოციაციაზე, მეტ სანდოობაზე, ბრენდის ხარისხის გაძლიერებულ აღქმასა და მომხმარებელთა მიზნობრივ ჯგუფებს შორის ბრენდის ლოიალობაზე ორიენტირებული მწვანე სტრატეგიები. შემთხვევითი არ არის, რომ ეს ოთხი კომუნიკაციის შედეგი (ანუ ბრენდის ასოციაციები, სანდოობა (ან ნდობა), ხარისხი და ლოიალობა) ერთობლივად მოიცავს მომხმარებელზე დაფუძნებულ ბრენდის კაპიტალს.<sup>3 4 5</sup>

**საკვანძო სიტყვები:** გარემოსდაცვითი ცნობიერება, მწვანე ზრდა, მწვანე ეკონომიკა, ბიო-პროდუქტი, ეფექტურობა, პროდუქტის გამოყენება.

## შესავალი

თანამედროვე ბაზარზე თანდათან აქტიური გახდა მომხმარებლისთვის მწვანე, ანუ მდგრადი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიწოდება. ჩვეულებრივ პროდუქტებთან შედარებით ბიო-პროდუქტები ბიოდეგრადირებადია, ან მიღებულია არატოქსიკური ინგრედიენტების გამოყენებით, ან შეფუთულია ისეთი მასალით, რომელიც გადამუშავებადია.

მომხმარებელმა ხშირად შეიძლება არ ამჯობინოს ბიო-პროდუქტის გამოყენება სხვადასხვა მიზეზთა გამო, როგორცაა მოცულობა, ეტიკეტირება, ფასი.<sup>6</sup> ასევე საინტერესოა ბიო-პროდუქტის გამოყენება მიმდინარეობს თუ არა რეგულარულად და თამაშობს თუ არა პროდუქტის ტიპი (მწვანე და ჩვეულებრივ ტრადიციული) მომხმარებლის მიერ პროდუქტის ოდენობის განსაზღვრისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნით გამოგვეკვლია ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მცხოვრებთა ცნობიერების დონე ეკოლოგიური მარკეტინგისადმი და მზაობა მწვანე ზრდის, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისა. მოსახლეობის შეხედულებების იდენტიფიცირება საშუალებას მისცემს მარკეტოლოგებს გააუმჯობესონ თავიანთი მწვანე სტრატეგიები.

<sup>2</sup> Davari, A., Strutton, D., Marketing mix strategies for closing the gap between green consumers' pro-environmental beliefs and behaviors. London. Journal of Strategic Marketing, 2014, 3.

<sup>3</sup> Aaker, D. A., Managing brand equity: Capitalizing on the value of a brand name. New York: The Free Press, 1991.

<sup>4</sup> Chaudhuri, A., Holbrook, M. B., The chain of effects from brand trust and brand affect to brand performance: The role of brand loyalty Journal of Marketing, 2001, 65, 81 – 93.

<sup>5</sup> Oliver, R. Whence consumer loyalty? Journal of Marketing, 1999, 63, 33 – 44.

<sup>6</sup> Szabo, S., Webster, J., Perceived Greenwashing: The Effects of Green Marketing on Environmental and Product Perceptions. Journal of Business Ethics. 2020, 2.

## 1. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევამ მოიცვა ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები. კვლევის საგანს წარმოადგენდა მოსახლეების ეკოლოგიური მარკეტინგისადმი დამოკიდებულება ამ მუნიციპალიტეტებში, ბიო-პროდუქტების გამოყენების სიხშირე, რა როლს თამაშობს პროდუქტის ტიპი- მწვანე და ტრადიციული, მომხმარებლის მიერ პროდუქტის ოდენობის განსაზღვრისას. კვლევის მეთოდების სახით გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა, საანკეტო გამოკითხვა.

რაოდენობრივი კვლევისთვის ამონარჩევის სიდიდე განისაზღვრა შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$n = \frac{x^2 pqN}{\Delta x^2 N + z^2 pq}$$
, სადაც  $z$  – ნდობის კოეფიციენტი ( $z=1,5$  85%-იანი ნდობის ალბათობისთვის);  $N$  - გენერალური ერთობლიობის მოცულობა (161351 ადამიანი დევნილების ჩათვლით - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხვი);  $p$  - მახასიათებლის წილი შერჩევით ერთობლიობაში (0,5);  $q=1-p$ ;  $\Delta$  - ზღვრული შეცდომა (ნდობის ინტერვალი 7%-ის ტოლია).<sup>7</sup>

ამგვარად, მივიღეთ:

$n=(1.5^2 \times 0.5 \times 0.5 \times 161351) / (0.0049 \times 161351 + 1,5^2 \times 0,5 \times 0,5) = 90\,759.9375 / 791.1824 = 115$  ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის.

ქუთაისის მუნიციპალიტეტისთვის -114.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ტიპის კითხვარი, რომლებიც ფოკუსირებულია სხვადასხვა მიმართულებით:

1. ირჩევენ თუ არა მომხმარებლები ხშირი გამოყენებისთვის ბიო-პროდუქტებს, მათი ეფექტურობის გამო
2. რას ფიქრობენ ის მომხმარებლები, რომლებიც რეგულარულად გამოიყენებენ ბიო-პროდუქტებს
3. როგორ შეიძლება მომხმარებელთა მოტივაციის ამაღლება, ბიო-პროდუქტების გამოყენებაზე.
4. რა როლს თამაშობს ეკოლოგიური ცნობიერება პროდუქტის შერჩევისას

## 2. მოსახლეობის დამოკიდებულება ბიო-პროდუქტებისადმი

გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მცხოვრებნი შემდეგი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებით:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - რესპონდენტთა 52% - ქალები, და 48% - მამაკაცები;

ქუთაისის მუნიციპალიტეტი- რესპონდენტთა 45% - ქალები, და 55 % - მამაკაცები;

გამოკითხულთა 27 %-ს შეადგენდნენ 18-25 წლის ასაკის მაცხოვრებლები, 31%-ს - 26-35 წლის ასაკის, 14 %-ს - 36-45 წლის და 28 %-ს - 45 წლის ზემოთ.

<sup>7</sup> ბლათურია, გ., ჩილოღლი, ი., ბიზნეს კვლევის მეთოდები. თბილისი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018.



საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე რესპონდენტები შეადგენდნენ 48%-ს, არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები - 35 %-ს და 17 % - უმაღლესი განათლებით.

ანკეტირებამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 59% თვლის, რომ ქ. ზუგდიდში არსებობს ეკოლოგიური პრობლემები, და გამოკითხულთა მხოლოდ 41% ფიქრობს სხვაგვარად. გამოკითხულთა 83.5 % თვლის, რომ ქ. ქუთაისში არსებობს ეკოლოგიური პრობლემები, და გამოკითხულთა მხოლოდ 16.5 % ფიქრობს, რომ ქალაქში არ არსებობს ეკოლოგიური პრობლემები.

ამასთანავე, ზუგდიდში გამოკითხულთა 73 % თვლის, რომ ძირითად ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ატმოსფეროს დაბინძურება, 10 % ძირითადი პრობლემის სახით ასახელებს ნარჩენებს (როგორც საყოფაცხოვრებოს, ისე სამრეწველო ნარჩენების ნაგავსაყრელებს). რესპონდენტთა 17%-მა აირჩია გრაფა „სხვა“ და თავისი პასუხი დაამატა. ნაკლებად პოპულარული პასუხები იყო ტყის გაჩეხვა და ნაგვის გადაყრა საზოგადოებრივ ადგილებში. ქუთაისში გამოკითხულთა 63.3 % თვლის, რომ ძირითად ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს ნარჩენები, ატმოსფეროს დაბინძურებას ასახელებს 57 %, 32,4 % ასახელებს წყლის დაბინძურებას.

ეკოლოგიური პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითადი წყაროების სახით ზუგდიდში რესპონდენტების 10 % ასახელებს სატელევიზიო ამბებს, 2 % - პუბლიკაციებს ადგილობრივ ჟურნალში; გამოკითხულთა 51 % ეკოლოგიური პრობლემების შესახებ იგებს ინტერნეტიდან, 19 % - მეგობრებისგან და ნაცნობებისგან; გამოკითხულთა 18 %-ს უჭირს პასუხის გაცემა. ქუთაისის რესპონდენტთა 23.4 % ასახელებს სატელევიზიო ამბებს, 3.9 % - პუბლიკაციებს ადგილობრივ ჟურნალში; გამოკითხულთა 51.9 % ეკოლოგიური პრობლემების შესახებ იგებს ინტერნეტიდან, 49.4 % - მეგობრებისგან და ნაცნობებისგან; გამოკითხულთა 22.1 %-ს უჭირს პასუხის გაცემა.

კითხვაზე იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს დაკავებული ამ პრობლემის გადაჭრით, ზუგდიდის რესპონდენტთა უმრავლესობამ - 56 %-მა უპასუხა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები. მეორე ყველაზე პოპულარული პასუხი იყო ვარიანტი, რომ ეკოლოგიური პრობლემები უნდა გადაწყვიტონ ორგანიზაციებმა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარემოს კონტროლზე და დაცვაზე. ასე ჩათვალა ქუთაისის რესპონდენტების 73.7 % გამოკითხულთა 19 % თვლის, რომ თავად მაცხოვრებლები უნდა გაერკვიონ ეკოლოგიურ პრობლემებში და გაუმკლავდნენ მათ. კითხვაზე პასუხისას "რა ზომებს შესთავაზებდით ეკოლოგიური პრობლემების შესამცირებლად ან გადასაჭრელად?", რესპონდენტებმა შემდეგი აზრი გამოთქვეს:

- "გარემოსდაცვითი არასამთავრობო" ორგანიზაციების შექმნა და განვითარება;
- ახალი, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა საწარმოებში, რომლებიც შეამცირებენ გარემოს დაბინძურებას;
- ნარჩენების განკარგვის, უტილიზაციისა და გადამუშავების ეფექტურობის გაზრდა;
- „ეკოაქციების“ რეგულარული ჩატარება.

გარემოსდაცვით აქციებს და კამპანიებს, რომლებიც ტარდება ქ. ზუგდიდში (როგორცაა, მაგალითად, „სუფთა ქალაქი“, „დავასუფთაოთ მსოფლიო“ ), მათ შესახებ გაგონილი აქვს გამოკითხულთა 34%-ს, ხოლო 66%-მა არ იცის მათი ჩატარების შესახებ. ამასთანავე, მათში მონაწილეობა მიიღო რესპონდენტთა მხოლოდ 4 %-მა, რომელიც გაეცნო ვითარებას და იცოდა

აქციებისა და კამპანიების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ამ ნაწილში ჭარბობს უმაღლესი და არასრული უმაღლესი განათლების მქონე მაცხოვრებლები, ხოლო მათი საშუალო ასაკი 18-25 წელს შეადგენს. გამოკითხულთა 29%-მა აირჩია ვარიანტი "არა, მაგრამ მსურს", ხოლო რესპონდენტთა 35% არ ესწრებოდა აქციებს და არ აპირებს ამის გაკეთებას.

ამავდროულად, რესპონდენტთა უმრავლესობა (52%) თვლის, რომ ჩატარებული აქციები გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ ისინი საკმარისად ეფექტური არ არიან. გამოკითხულთა 35% თვლის, რომ გარემოსდაცვითი კამპანიები აბსოლუტურად არავითარ ზეგავლენას არ ახდენს; გამოკითხულთა 13% სრულად დაკმაყოფილებულია აქციების ეფექტით.

ამრიგად, პირველმა კვლევამ აჩვენა, ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლების უმეტესობამ იცის ეკოლოგიური პრობლემების არსებობის შესახებ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ ისინი უნდა გადაჭრას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ან სპეციალურმა გარემოსდაცვითმა ორგანიზაციებმა, რაც ქალაქში არსებულ შედარებით დაბალ ეკოლოგიურ კულტურაზე მეტყველებს. ეს ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ჩატარებული გარემოსდაცვითი აქციებით და კამპანიებით დაინტერესებულია ადგილობრივი მაცხოვრებლების მხოლოდ მცირე რაოდენობა (ძირითადად ახალგაზრდები), ხოლო მათი დიდი უმრავლესობა არ აპირებს ამ ღონისძიებებში მონაწილეობას. რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დამოკიდებულებას ეკოლოგიური ვითარების და საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი კულტურის ფორმირების მიმართ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუებით გაირკვა, რომ მათ ახასიათებთ დიდი ძალისხმევა, რომელიც შედეგზეა ორიენტირებული. ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს მწვანე პოლიტიკის იმპლემენტაცია, რაც დასტურდება საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის იანვარში „კლიმატის ცვლილების საბჭოს“ შექმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებით, სადაც მერების შეთანხმების ფარგლებში შექმნილია „მუნიციპალური განვითარების საკოორდინაციო პლატფორმა“, ე.წ. „მერების კლუბი“, რომლის წევრები არიან ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტი. „მერების კლუბი“ წარმოადგენს „კლიმატის ცვლილებების საბჭოს“ მრჩეველ ორგანოს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ზრდის ამ მუნიციპალიტეტების როლს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესში და საშუალებას აძლევს უშუალო კომუნიკაცია ჰქონდეთ ქვეყნის ადმინისტრაციული ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან საკუთარი გამოწვევებისა და წარმატებების შესახებ. აღნიშნულის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ვალდებულებას იღებს 2030 წლისათვის მინიმუმ 40%-ით შეამციროს CO<sub>2</sub>-ის და სხვა სათბური აირების ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით, ასევე კლიმატის ცვლილებების შედეგებთან შეგუებით აამაღლოს მუნიციპალიტეტის მედეგობა.<sup>8</sup>

ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში ეკომეგობრული პოლიტიკის მიმართულებით სხვადასხვა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის ღონისძიებები ხორციელდება, კერძოდ: 2020 წლიდან სრულად ჩანაცვლებულია

<sup>8</sup> მერების შეთანხმება <http://com-east.eu/ka/about-us/covenant-of-mayors/> [უ. გ. 27.02.2022].

ავტოპარკი ახალი ევრო 5 სტანდარტის ავტობუსებით, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები თავის მხრივ, უზრუნველყოფენ ნახშიროჟანგის ემისიის შემცირებას, ასევე ქალაქის მასშტაბით სრულდება წყლისა და წყალარინების სამუშაოები, რომელიც პროექტით გათვალისწინებული წყალგამწმენდი ნაგებობის მეშვეობით ქმნის განახლებად ენერგორესურსებს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები შესაბამის დონორ ორგანიზაციებთან მუნიციპალური ნარჩენების მართვის საწარმოს შექმნის თაობაზე. მუნიციპალიტეტში ახლად აშენებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურით. მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების საშუალებები მთლიანად მორგებულია ენერგოეფექტურობის მოთხოვნებს. დასრულებულია კომპოსტირების ცენტრის მშენებლობა, რითაც შესაძლებელი ხდება კომპოსტის (ბიო სასუქი) მიღება. ქალაქ ქუთაისში 2015 წლიდან მიმდინარეობს ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, კერძოდ პლასტიკისა და მუყაოსი მათი შემდგომი რეციკლირებისათვის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია მწვანე ბიუჯეტის კონცეფცია, რომლის ფარგლებში ხორციელდება „მწვანე ბიუჯეტი“. შექმნილია ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტში მინი რეკრეაციული ზონების შექმნით, რომლის უზრუნველსაყოფად მუნიციპალურ ბიუჯეტში წინასწარ განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებებია გათვალისწინებული. პროექტის მთავარი ღირებულება ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად ინკლუზიური მიდგომებია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში „მწვანე ბიუჯეტი“ პოპულარობით სარგებლობს და მოქალაქეთა ჩართულობის დონეც არც ისე დაბალია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი კონკურსში „სუფთა რეგიონი 2020“, ნომინაციაში ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი გამარჯვებულია.

მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ანკეტირებამ აჩვენა, ჩატარებული გარემოსდაცვითი აქციები და კამპანიები სათანადო ყურადღებას არ იპყრობს, ხოლო ეკოლოგიური სიტუაცია არასაკმარისი ხარისხით უქდება.

ჩატარებული კვლევის შედეგები ასევე აჩვენებს, რომ მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დონე და რეგიონში არსებული ეკოლოგიური მარკეტინგის მდგომარეობა არასაკმარისად მაღალ დონეზე იმყოფება. რეგიონში ჩატარებული გარემოსდაცვითი კამპანიები ნაკლებეფექტურია და არ იზიდავს მკვიდრ მოსახლეთა საკმარის რაოდენობას.

რაც შეეხება ეკო მეგობრული პროდუქციის მოხმარებას, რესპოდენტთა ნახევარზე მეტს სწორედ მისი გამოყენება ურჩევნია უსაფრთხოების მოსაზრებით არა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის, არამედ გარემოსთვისაც, რაც მიუთითებს გარემოსდაცვითი ვითარების შეცვლის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებს მეტწილად პასიური დამოკიდებულება აქვთ თავიანთი როლის მიმართ რეგიონის ეკოლოგიური ღონისძიებების მხარდაჭერის საკითხში.

შემდეგი კვლევა ჩატარდა იმის გასარკვევად, ირჩევენ თუ არა მომხმარებლები ხშირი გამოყენებისთვის მწვანე პროდუქტებს, მათი ეფექტურობის გამო.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოხმარების შესახებ დასმულ შეკითხვებზე, რესპოდენტებმა უპასუხეს შემდეგნაირად: გამოკითხულთა 75 % ზუგდიდში და 77,2 % ქუთაისში იყენებს პროდუქტებს, რომლებიც აღნიშნულია, როგორც „ეკოლოგიურად

უსაფრთხო“, მაშინ, როდესაც 25 %-მდე არ ფიქრობს სწორედ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოხმარებაზე.

ამასთანავე, ეკო-მეგობრული პროდუქციის გამოყენების მიზეზებს შორის, მისი მომხმარებლების 76% ასახელებს უსაფრთხოებას ჯანმრთელობისა და გარემოსათვის; გამოკითხულთა მხოლოდ 19% გამოყოფს უსაფრთხოებას ჯანმრთელობისთვის, ხოლო რესპოდენტთა 9 % ეკო-მეგობრული პროდუქციის გამოყენებისას, ზრუნავს მხოლოდ გარემოსთვის ზიანის მიყენების ნაკლებობაზე.

გამოკითხულთა 23% მზად არის უფრო მეტი გადაიხადოს ეკოლოგიურად უსაფრთხო საქონლისთვის, 46 % – მზად არის, მაგრამ ყოველთვის არა, ხოლო მაცხოვრებლების 31 %-ს საერთოდ არ სურს ზედმეტი თანხის გადახდა.

კვლევა ჩატარდა „სუფთა სახლის“ მაღაზიათა ქსელში. გამოკითხულ იქნენ სარეცხი საშუალებების, ხელის სადეზინფექციო, პირის ღრუს მოვლისა და აბაზანის საწმენდი საშუალებების მომხმარებლები.

კვლევისას რესპოდენტთა 55 % პროცენტმა უპასუხა, რომ „მე ვიცი ბიო- პროდუქტები“, „ვიცნობ მწვანეს“. მომხმარებელთა 59 % ფიქრობს, რომ ბიო-პროდუქტები ნაკლებად ეფექტურები არიან და სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროა მეტი რაოდენობის გამოყენება. მაგალითად სარეცხი საშუალებების მომხმარებელთა ინტერვიუების კითხვარი მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

1. „მზად ვარ მეტი გადავიხადო საქართველოში წარმოებულ პროდუქტებში“.
  2. „მზად ვარ მეტი გადავიხადო ეკოლოგიურად სუფთა შეფუთვაში“.
  3. „მზად ვარ მეტი გადავიხადო ეკოლოგიურად სუფთა გამწმენდ და სარეცხ საშუალებებში“.
- 
1. „მე ვეუბნები საკუთარ თავს, რომელი სასურსათო პროდუქტებია ეკოლოგიურად დაბინძურებული და აღარ იყიდო ისინი“.
  2. „მე დიდ ყურადღებას ვაქცევ ეკოლოგიურ თავსებადობას პირადი მოვლის საშუალებებისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტების შემენისას“.
  3. „უფრო ხშირად შეგნებულად ვყიდულობ პროდუქტებს, რომლებსაც აქვთ გარემოზე ნაკლები ზემოქმედება“.


კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ რესპოდენტები ნაკლებად არიან ინფორმირებულები ბიო-პროდუქტების ეფექტურობაზე. პროდუქციის მწარმოებლების მიერ პროდუქტის შეფუთვაში მკაფიოდ არ არის ნაჩვენები პროდუქტის ძლიერმოქმედების შესახებ ინფორმაცია, გადაწყვეტილების მიღებისას მომხმარებლები ნაკლებად ეყრდნობიან პროდუქტის ნეგატიურ გავლენასა და ეთიკურობის პრინციპებს. ასევე კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტად მიჩნეულია ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენა. ამ შემთხვევაში მათი მოტივაცია მაღალია შეიძინონ ბიო-პროდუქცია. მაგალითად აღნიშნული აჩვენა კბილის მოვლისა და აბაზანის საწმენდი საშუალებების შემენისას რესპოდენტების ინტერვიუებამ. კბილის მოვლის საშუალების შემენისას 30 %-ით მეტად მიიჩნევენ ბიო-პროდუქტების შემენას, ვიდრე აბაზანის საწმენდი საშუალებების შემთხვევაში.



მომხმარებელთა მიერ ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციის მისაღებად პოტენციური მზადყოფნის შეფასების მიზნით ჩატარდა კვლევა ქართული ხილის ჩირის ბრენდი "ჩიკორის" მაგალითზე. პროდუქცია 100, 150 და 450 გრამიან შეფუთვებში იყიდება ნატურალური, ყოველგვარი დანამატების გარეშე. კომპანია ფლობს ISO-ს სურსათის უვნებლობის დამადასტურებელ სერტიფიკატს. საქართველოში ჩირის წარმოებით დაკავებულია ასევე კომპანია „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“, რომელიც სერტიფიცირებულია FFS-ის სტანდარტით რაც იმას ნიშნავს, რომ პროდუქტი არის უსაფრთხო, უვნებელი, მაღალი ხარისხის, არ არის გამოყენებული ქიმიკატები და კონსერვანტები. საქართველოში ჩირის მთავარი იმპორტიორი ქვეყნებია თურქეთი, უზბეკეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ირანი, გერმანია, უკრაინა.

კომპანიების კონკურენტუნარიანობის დინამიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბაზარზე კონკურენციაში წარმატების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო (კონკურენტუნარიანი) სტრატეგიის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს, პირველ რიგში, კომპანიის განკარგულებაში არსებულ კონკურენტულ უპირატესობებს, მეორეც, ამ უპირატესობების გამოყენების ეფექტურობას არსებულ საბაზრო პირობებში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტებისთვის ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების არჩევაზე, არის ფასი (48%), რაც ემთხვევა ამ საკითხზე ექსპერტთა მოსაზრებას. შემდეგი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი არის პროდუქციის საიმედოობა, ასე უპასუხა გამოკითხულთა 25%-მა. შემდეგ, მნიშვნელობის ხარისხის შემცირების მიხედვით, მოდიან ისეთი ფაქტორები, როგორცაა პროდუქციის ესთეტიკურობა - 10 %, პროდუქციის უსაფრთხოება და ეკო-მეგობრულობა - 12 %, პროდუქციის ერგონომიული მაჩვენებლები - 5%. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აუცილებელია მომხმარებლების მაქსიმალური ინფორმირება ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვნების შესახებ, ადამიანის ჯანმრთელობაზე ამ პროდუქტების სასიკეთო გავლენის მიღწევის მიზნით (სურ. 1).




სურ. 1. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა მიერ საქონლისა და მომსახურების არჩევაზე.




კვლევის შედეგებმა გამოავლინა ძირითადი ფაქტორები ჩირის არჩევისას (სურ. 2). ფასს, ჯანმრთელობისთვის სარგებლობასა და გემოს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არჩევანის გაკეთებისას, რამაც უმაღლესი მნიშვნელობა შეადგინა მომხმარებლების მიერ კრიტერიუმების შეფასებისას 5-ქულიანი სკალის მიხედვით. მომხმარებელთა მიერ პროდუქციის არჩევისას ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორია მწარმოებლის იმიჯი და პროდუქტის ბუნებრიობა, მაგნე დანამატების არარსებობა, ხოლო შეფუთვა, ვარგისიანობის ვადა, ნათესავეების და ნაცნობების რეკომენდაციები, მომხმარებელთა აზრით, მათთვის უმნიშვნელოა.

კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა (40%) არასდროს დაფიქრებულა მათ მიერ შეძენილი პროდუქციის ეკო-მეგობრულობის შესახებ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებლები არ იყენებენ მარკეტინგულ ინსტრუმენტებს წარმოებული პროდუქციის ბაზარზე დაწინაურებისა და მის შესახებ ინფორმაციის საბოლოო მომხმარებელამდე მიტანის მიზნით. მომხმარებელთა 30% ცალკეულ შემთხვევებში ყურადღებას აქცევს პროდუქციის ეკო-მეგობრულობას და ძირითადად ამ სეგმენტს ქმნიან მომხმარებლები, ვისთვისაც ჩირის არჩევისას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პროდუქტის ბუნებრიობა და მაგნე დანამატების ნაკლებობა. გამოკითხული რესპონდენტების მეოთხედისთვის მათ მიერ შეძენილი პროდუქტის ეკო-მეგობრულობა არ არის მნიშვნელოვანი და ისინი ამას ყურადღებას არ აქცევენ, და მომხმარებელთა მხოლოდ მცირე პროცენტი (5%) ყიდვისას ყოველთვის ითვალისწინებს პროდუქტის ეკოლოგიურობას (სურ. 3).




\* სვეტები მარცხნიდან მარჯვნივ

სურ. 2. მომხმარებლებისთვის იმ ფაქტორების პრიორიტეტულობის ხარისხის შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩირის არჩევანზე.



სურ. 3. მომხმარებელთა მიერ შეძენილი პროდუქციის ეკოლოგიურობაზე ყურადღების მიქცევის ხარისხი.


ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დაბალი მოხმარების ძირითად მიზეზებად მომხმარებლებმა დაასახელეს ნდობის ნაკლებობა და მაღალი ფასი. რესპონდენტები ეჭვქვეშ აყენებენ, რომ შემოთავაზებული პროდუქტი ნამდვილად ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან მომხმარებლები არ არიან საკმარისად კომპეტენტური შეძენილი პროდუქციის შემადგენლობის აღნიშვნის სტანდარტების საკითხში და ექსპერტთა დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ სარწმუნოდ შეაფასონ, შეესაბამება თუ არა პროდუქტი ამ კატეგორიისთვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას. ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ ობიექტურად შეაფასონ ეკოლოგიურობა და ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებების არარსებობა მათ მიერ შეძენილ პროდუქტში. შესაბამისად, მომხმარებლებს არ უჩნდებათ მტკიცე რწმენა იმისა, რომ საქონელი, რომელსაც ყიდულობენ, ნამდვილად ეკოლოგიურია, მაშასადამე, ისინი არ არიან მზად გადაიხადონ მასში მეტი, ვიდრე ანალოგიურ პროდუქტში. მომხმარებელთა 20% არ არის მზად ნაცნობი პროდუქტი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს და რომელსაც ისინი დიდი ხნის განმავლობაში იძენენ, შეცვალონ ახლით, რომელმაც შესაძლოა არ გაამართლოს მათი მოლოდინი. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის დაბალი მოხმარების ერთ-ერთ მიზეზად მომხმარებლებმა დაასახელეს ესთეტიკური ღირებულებების დეფიციტი (10%). (სურ. 4).




სურ. 4 ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოხმარების დაბალი დონის ძირითადი მიზეზები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 50% მზად არის არჩევანი გააკეთოს უფრო ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასების სხვაობა იქნება მცირე. მომხმარებელთა 25% მზად არ არის შეიძინოს ეკოლოგიური პროდუქტები და არ აპირებს უარი თქვას ერთგულებაზე ადრე შეძენილი პროდუქტების მიმართ. რესპონდენტთა 20%-ს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ამით მწარმოებლებს საშუალებას აძლევს დაიყოლიონ ისინი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენაზე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების გზით. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე პროცენტი, კერძოდ 5%, მზად არის შეიძინოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტი, თუნდაც ფასების სხვაობა გაცილებით მაღალი იყოს (სურ. 5).

ანალოგიური სიტუაცია იქმნება მყიდველების მზაობასთან დაკავშირებით გააკეთონ არჩევანი უფრო ეკოლოგიურად სუფთა ნაყინის სასარგებლოდ: მომხმარებელთა 27 % მზად არის შეიძინოს ეს პროდუქტი, იმ პირობით, რომ ფასების სხვაობა იქნება მცირე. გამოკითხულთა საკმაოდ დიდ რაოდენობას 59 % უჭირს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ხოლო რესპონდენტთა 12 % არ ანიჭებს უპირატესობას ეკოლოგიურად სუფთა ნაყინს, რასაც იმით ხსნის, რომ ნაყინი არ არის პირველადი საჭიროების პროდუქტი, რაც არ განაპირობებს ხარჯების ზრდას ამ პროდუქტის შესამენად (სურ. 6).




სურ. 5. მომხმარებელთა მზაობა იმისათვის, რომ არჩევანი გააკეთონ უფრო ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტის სასარგებლოდ, მისი ფასიდან გამომდინარე




სურ. 6 მომხმარებელთა მზადყოფნა, გააკეთონ არჩევანი უფრო ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ნაყინზე, მისი ფასიდან გამომდინარე

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მომხმარებელთა 50% მზად არის შეიძინოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტი, იმისდა მიუხედავად, რომ ამ პროდუქტის შეფუთვა ნაკლებად ფერადი, მკვეთრი და მიმზიდველი იქნება. ეს აიხსნება იმით, რომ პროდუქციის ესთეტიკურობა არ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს პროდუქციის არჩევისას. გამოკითხულთა 30% უჭირს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა და მხოლოდ 10% მზად არ არის არჩევანი გააკეთოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტის სასარგებლოდ, არასაკმარისად მიმზიდველი შეფუთვის გამო (სურ. 7).



სურ. 7. მომხმარებელთა მზადყოფნა, აირჩიონ უფრო ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქტი, მისი შეფუთვიდან გამომდინარე.

მომხმარებლებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად შეფუთვისა, გარკვეულწილად მზად არიან შეიძინონ ეკოლოგიურად სუფთა ნაყინი (37%), მაგრამ 30% მაინც არ არის მზად ამ პროდუქტზე არჩევანის გასაკეთებლად, ნაყინის შეფუთვის არასაკმარისი სიკაშკაშის, ფერადოვნებისა და მიმზიდველობის გამო. მომხმარებელთა საკმაოდ დიდ ნაწილს (33 %) გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (სურ. 8).




სურ. 8. მომხმარებელთა მზადყოფნა, არჩევანი გააკეთონ უფრო ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ნაყინზე, მისი შეფუთვიდან გამომდინარე.




კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა 50 % არ ვარაუდობს, რომ საწარმოები ნამდვილად მზად არიან აწარმოონ პროდუქტები, რომლებიც სრულად შეესაბამება გარემოსდაცვით მოთხოვნებს. ეს განპირობებულია იმით, რომ მწარმოებელი კომპანიები მომხმარებლებს არასაკმარისად აწვდიან ინფორმაციას საქონლის წარმოების ახალი ტექნოლოგიების შესახებ. გამოკითხულთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ, 35% თვლის, რომ საწარმოები სავსებით მზად არიან ეკო-მეგობრული და უსაფრთხო პროდუქციის წარმოებისთვის, მაგრამ გამოკითხულთა 15 % უარყოფს ამ მოსაზრებას (სურ. 9).

რესპონდენტების აზრით, საწარმოები სავსებით მზად არიან წარმოადგინონ სრული ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ეკოლოგიური კომპონენტების შესახებ (80%). ამისათვის საჭიროა მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება. გამოკითხულთა 15 %-ს უჭირს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა და მომხმარებელთა მხოლოდ 5% თვლის, რომ საწარმოები მზად არ არიან წარმოადგინონ ინფორმაცია პროდუქციის ეკო-მეგობრულობის შესახებ (სურ. 10).



სურ. 9. საწარმოთა მზადყოფნა, რეალურად აწარმოონ პროდუქტები, რომლებიც სრულად შეესაბამებიან გარემოსდაცვით მოთხოვნებს




სურ. 10. მწარმოებლების მზადყოფნა, წარმოადგინონ სრულყოფილი ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ეკოლოგიური შემადგენლების შესახებ

ნაყინის შესახებ მომხმარებლების ინფორმირების ყველაზე პოპულარული წყაროა ტელევიზია, ეს აღნიშნა გამოკითხულთა უმრავლესობამ - 40 %-მა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მომხმარებლების არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს რეკლამის ფსიქოლოგიური ზემოქმედება. სავაჭრო წერტილებზე განთავსება არის ნაყინის შესახებ მომხმარებლების ინფორმირების მეორე უმთავრესი წყარო პრიორიტეტულობის თვალსაზრისით (სურ. 11). ამჟამად მომხმარებლებმა უფრო აქტიურად დაიწყეს ინტერნეტის გამოყენება და ის მათთვის წარმოადგენს ერთ-ერთ წყაროს ამ პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

ამგვარად, მარკეტინგული კვლევის შედეგები, რომლებიც აფასებენ მოსახლეობის პოტენციურ მოთხოვნილებას ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციაზე ზუგდიდის და ქუთაისის მუნიციპალიტეტების მკვიდრთა შორის, მიუთითებენ იმაზე, რომ:

- ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების არჩევაზე, არის ფასი; მომხმარებლისთვის მთავარ ფაქტორებს რომლებიც განსაზღვრავენ ნაყინის არჩევანს, წარმოადგენენ ფასი, ჯანმრთელობისთვის სარგებელი და გემო;
- გამოკითხულთა უმრავლესობა არასდროს დაფიქრებულა მათ მიერ შეძენილი პროდუქციის ეკო-მეგობრულობაზე და ყურადღებას არ აქცევს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო პროდუქციის შეძენას;



სურ. 11. მომხმარებელთა ინფორმირების წყარო ნაყინის შესახებ.

o ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოხმარების დაბალი დონის ძირითად მიზეზებად მომხმარებლებმა დაასახელეს მეტისმეტად მაღალი ფასი და ახალი პროდუქციის მიმართ ნდობის ნაკლებობა;

o მომხმარებლები მზად არიან შეიძინონ ეკოლოგიურად უფრო სუფთა ნაყინი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფასის სხვაობა ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით იქნება მცირე;

ამ პრობლემის დასაძლევად მიზანშეწონილი იქნებოდა მწარმოებლების მიერ უფრო ნათლად იყოს წარმოჩენილი მწვანე პროდუქტების მოქმედების ეფექტურობა. როდესაც პროდუქტის შეფუთვაში მკაფიოდ არის ნაჩვენები პროდუქტის ძლიერმოქმედების შესახებ ინფორმაცია, გადაწყვეტილების მიღებისას მომხმარებლები ნაკლებად ეყრდნობიან პროდუქტის ნეგატიურ გავლენასა და ეთიკურობის პრინციპებს.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები საზოგადოებრივი გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, განათლების სისტემაში დანერგილი პროექტების დახმარებით, ასევე დაინერგოს გარემოსდაცვითი ინიციატივების ფინანსური წახალისების სისტემა. ამავდროულად, ეკოლოგიური მარკეტინგის ინსტრუმენტების საშუალებით აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების ეკომეგობრულობის იდეის პოპულარიზაცია, ასევე მოსახლეობის მხრიდან ეკოლოგიური მოხმარების მიმართ გაღვივებული ინტერესის ახალ დონეზე აყვანა.

ეს კვლევა აჩვენებს, რომ პროდუქტის ტიპი - ბიო-პროდუქტი ჩვეულებრივი პროდუქტის წინააღმდეგ-მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმ რაოდენობაში, რომელსაც მომხმარებელი იყენებს ერთ შემთხვევაში სასურველი შედეგის მისაღწევად.

## დასკვნა

სამივე კვლევის შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებლები ნაკლებად იყენებენ ბიო-პროდუქტს ჩვეულებრივ პროდუქტთან შედარებით მოცემული ამოცანის შესასრულებლად. გარდა ამისა, მომხმარებლები ავლენენ განსხვავებებს მწვანე და რეგულარული პროდუქტების გამოყენებაში. მომხმარებლები, რომლებიც უფრო მეტად არიან ეკო-მეგობრულები ჭარბი რაოდენობით იყენებენ ბიო-პროდუქტს, ხოლო ნაკლებად ეკო-მეგობრული მომხმარებლები არ აჩვენებენ ასეთი გამოყენების მაგალითს.

როგორც ჩანს, უფრო მეტი ბიო-პროდუქტის გამოყენების ეს ფენომენი გამოწვეულია მომხმარებლების მიერ ამ ტიპის პროდუქტის მეტი ეფექტურობის აღქმით. შესაბამისად, როდესაც ბიო-პროდუქტის აღქმული ეფექტურობა გამყარებულია სარწმუნო მტკიცებულებით, განსხვავება მწვანე და რეგულარული პროდუქტის გამოყენებას შორის ქრება. ჩვენ მოვიპოვეთ მხარდაჭერა ჩვენი კვლევის ჰიპოთეზებისთვის სამივე კვლევის ფარგლებში სხვადასხვა პროდუქტის (1. ხელის სადეზინფექციო საშუალება, პირის ღრუს მოვლის საშუალება და შუშის საწმენდი 2. ჩირი 3. ნაყინი ), პროდუქტის სიმწვანის სხვადასხვა მაჩვენებლის (მწვანე ეტიკეტის გამოყენება და კომპანიის აღწერილობები) და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით, რომლებიც აჩვენებს პროდუქტის რეალურ გამოყენებას.

ამრიგად, მწვანე შესყიდვა არის გამოხატულება იმისა, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, თავიანთი სოციალური გარემოდან გამომდინარე და ზოგადად როგორია მათი მოლოდინები. ამ თვალსაზრისით, მომხმარებლის ქცევა წარმოადგენს დიფერენციაციისა და იდენტიფიკაციის სიმბოლოს.

აუცილებელია არა მხოლოდ ბიო-პროდუქტების შექმნის მოტივაციის ფაქტორების გაანალიზება, არამედ უმნიშვნელოვანესია ბიო-პროდუქტების გამოყენების შედეგების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აკისრია ვალდებულება "გაამწვანოს" იმ სექტორების განვითარება, რომლებსაც ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება.<sup>9</sup> მწვანე ეკონომიკის დასანერგად აუცილებელია „მომხმარების მოდელის“ ცვლილება, როგორც გარემოსდაცვითი პროდუქტების წარმოებით და ბაზარზე გატანით, ასევე ადამიანის მიერ „არასაჭირო“ პროდუქციის მოხმარების შემცირებით.<sup>10</sup> მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების შემფოთება მდგრადობასთან დაკავშირებით გაიზარდა და მიიჩნევა, რომ ბიო-პროდუქტები ერთერთი გზაა შემცირდეს და შემსუბუქდეს რესურსებზე ზეწოლა, ზუგდიდისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მომხმარებლების მიერ ბიო-პროდუქტების გამოყენება ჯერ კიდევ დაბალია.

„მწვანე ზრდაზე“ გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა ღრმა კულტურული ცვლილებები საზოგადოებაში, კერძოდ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს „მწვანე პროდუქტების“ გამოყენების ზრდას.

<sup>9</sup> მსოფლიო ბანკი. კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს სანაპირო ზოლზე: მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაციის ვარიანტები. © მსოფლიო ბანკი, 2020, 8.

<sup>10</sup> მწვანე ალტერნატივა. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, 2013, 7.

**ბიბლიოგრაფია:**

1. Szabo, Szerena, Webster, Jane, Perceived Greenwashing: The Effects of Green Marketing on Environmental and Product Perceptions. *Journal of Business Ethics*. 2020;
2. Aaker, David A., *Managing brand equity: Capitalizing on the value of a brand name*. New York: The Free Press, 1991;
3. Chaudhuri, Arjun, Holbrook, Morris B, The chain of effects from brand trust and brand affect to brand performance: The role of brand loyalty. *Journal of Marketing*, 2001;
4. Oliver, Richard L. Whence consumer loyalty? *Journal of Marketing*, 1999;
5. ბალათურია, გიორგი, ჩილოღლი, ილიას, ბიზნეს კვლევის მეთოდები. თბილისი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. 2018;
6. მსოფლიო ბანკი. კლიმატის ცვლილების გავლენა საქართველოს სანაპირო ზოლზე: მოწყვლადობის შეფასება და ადაპტაციის ვარიანტები. © მსოფლიო ბანკი, 2020;
7. მწვანე ალტერნატივა. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, 2013;
8. Davari, Arezoo, Strutton, David, Marketing mix strategies for closing the gap between green consumers' pro-environmental beliefs and behaviors. London. *Journal of Strategic Marketing*, 2014;
9. მწვანე ეკონომიკა <http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 27.02.2022];
10. მერების შეთანხმება <http://com-east.eu/ka/about-us/covenant-of-mayors/> [უკანასკნელად გადამოწმდა 27.02.2022].





ISSN 2667 9892  
უკ (udc) 001.5 ბ 75

